

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2008 წელი №10

ა პ ე ლ ა ც ი ა

1. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა; სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუფასებლობის გამო
2. შეგებებული სააპელაციო საჩივარი
3. სააპელაციო სასამართლოს მიერ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად
4. სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი

1. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა; სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად დატოვება (სააპელაციო სასამართლოში)

განჩინება

#ას-886-1193-07 23 იანვარი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 9 მარტს საქართველოს სოცდაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა სარჩელი შეიტანა ტყიბულის რაიონულ სასამართლოში ე. ბ-შვილისა და სს „ტყიბულნახშირის“ მიმართ და მესამე პირებად დაასახელა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მოსარჩელემ მოითხოვა სარჩოს დანიშვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა მისი ძალაში შესვლის დღიდან და უსაფუძვლოდ გაცემული თანხების უკან დაბრუნება.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოცდაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 6 აგვისტოს ხარვეზის შესახებ განჩინებით აპელანტს დაევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეორე და მეოთხე ნაწილების შესაბამისად სააპელაციო საჩივრის ასლების წარმოდგენა იმდენ ცალად, რამდენი მხარეცაა საქმეში და სააპელაციო საჩივრის შეტანაზე შ. კ-შვილის სახელზე გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 20 სექტემბრის განჩინებით აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღით.

სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ განჩინების ასლი გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სოციალური სუბსიდიების სააგენტომ. მან მიუთითა, რომ სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდის ლიკვიდაცია მოხდა და მის ბაზაზე ჩამოყალიბდა შედარებით განსახვავებული პროფილისა და მიმართულების სოციალური სუბსიდიების სააგენტო. ახლადშექმნილი სამსახურის, როგორც რესპუბლიკური, ისე - რეგიონალური სამსახურები განთავსებულ იქნა სხვა მისამართზე. აღნიშნულის გამო მათ სასამართლოს მიერ გაგზავნილი განჩინება არ ჩაჰბარებიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის შესახებ, რომ, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდის ლიკვიდაცია მოხდა და მის ბაზაზე ჩამოყალიბდა შედარებით განსახვავებული პროფილისა და მიმართულების სოციალური სუბსიდიების სააგენტო. ახლადშექმნილი სამსახურის როგორც რესპუბლიკური, ისე - რეგიონალური სამსახურები განთავსებულ იქნა სხვა მისამართზე. აღნიშნულის გამო მათ სასამართლოს მიერ გაგზავნილი განჩინება არ ჩაჰბარებიათ.

დადგენილია, რომ სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდს სააპელაციო საჩივრის ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ განჩინება ჩაპბარდა 2007 წლის 27 სექტემბერს. აღნიშნული განჩინებით მას განემარტა, რომ, თუ იგი განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში არ შეავსებდა ხარვეზს, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩებოდა. მას ხარვეზი უნდა შეევსო 2007 წლის 4 ოქტომბრის ჩათვლით, თუმცა მას ხარვეზი არ შეუვსია ამ ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა არ შეავსო ხარვეზი განჩინებით განსაზღვრულ ვადაში და ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი და განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობა (სააპელაციო სასამართლოში)

განჩინება

#ას-837-1151-07 30 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: დავალიანების გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2005 წლის 29 ივნისს სარჩელით მიმართა მ. ნ-მემ მოპასუხე მ. ე-ურის მიმართ დავალიანების გადახდის თაობაზე. თავის მხრივ მოპასუხე მ. ე-ურმა წარმოადგინა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა 2003 წლის 12 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. ნ-მის სარჩელი, ხოლო მ. ე-ურის შეგებებულ სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ე-ურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ივლისის განჩინებით განუხილველი დარჩა მ. ე-ურის სააპელაციო საჩივარი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 21.05.2007 წ. განჩინებით აპელანტ მ. ე-ურს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა ვადა და კანონით დადგენილი წესით განემარტა ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ასევე დადგენილია, რომ სააპელაციო პალატის 2007წ. 22 ივნისის განჩინებით აპელანტ მ. ე-ურს გაუგრძელდა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაწესებული ვადა 10 დღით. აღნიშნული განჩინების ასლი მ. ე-ურსა და მის წარმომადგენელს ლ. წ-ურს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით. განჩინების ასლი ჩაბარდა აპელანტის წარმომადგენლის - ლ. წ-ურის რძალს, ხოლო თავად აპელანტ მ. ე-ურისათვის გაგზავნილი გზავნილი მასზე გადასაცემად 2007 წლის 28 ივნისს ჩაიბარა მისმა სრულწლოვანმა შვილმა შორენა სეთურაძემ.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტმა განჩინებით მითითებული ხარვეზი კანონით დადგენილ ვადაში არ შეავსო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასჩივრა მ. ე-ურმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით იგი არის უმუშევარი, ყავდა პატიმარი მეუღლე, სტუდენტი შვილები და პენსიონერი, ავადმყოფი დედამთილი, აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარადგინა სასამართლოში თან გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი ნაწილი 20 ლარის ოდენობით, ხოლო მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ შეძლო მეტის გადახდა რის გამოც ითხოვა სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლებას, სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა აღნიშნულზე ისე დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველი.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მას, მართალია, ჩაბარდა ხარვეზის შესავსებად ვადის გაგრძელების შესახებ განჩინება, მაგრამ ამ პერიოდში ციხეში გარდაეცვალა პატიმარი მეუღლე და ვერ მიიღო ვერანაირი ზომები, რის გამოც მოითხოვს გააუქმდეს სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 ივლისის განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის, თანახმად თუ სააპელაციო საჩივარზე ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. ამავე კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად კი, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წ. 21 მაისის განჩინებით აპელანტ მ. ე-ურს განჩინებით დაევალა ამ განჩინების გადაცემიდან 10 დღის ვადაში სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შევსება. ამავე პალატის 2007 წლის 22 ივნისის განჩინებით აპელანტს გაუგრძელდა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსების ვადა. აღნიშნული განჩინება მ. ე-ურს ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით. ასევე დადგენილია, რომ ამავე პალატის 2007 წლის 30 ივლისის განჩინებით მ. ე-ურის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან აპელანტმა მ. ე-ურმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი სააპელაციო პალატამ მართებულად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას, რომ მან ხარვეზის შევსება ვერ შეძლო, ვინაიდან ამ პერიოდში ციხეში გარდაეცვალა პატიმარი მეუღლე. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მ. ე-ურის მეუღლის გარდაცვალების მოწმობიდან ირკვევა, რომ იგი გარდაიცვალა 2007 წლის 26 აგვისტოს ხოლო, სააპელაციო პალატის 2007 წლის 22 ივნისის განჩინება ხარვეზის შესავსებად ვადის გაგრძელების შესახებ მ. ე-ურს ჩაბარდა 2007 წლის 28 ივნისს და იგი უნდა შეევსო ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარზე დართული მტკიცებულება არ შეიძლება ჩაითვალოს მხარის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის საპატიო მიზეზად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ე-ურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ივლისის განჩინება
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. ქ-მემ ა. ლ-მის წინააღმდეგ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ სს «ელექტრომექანიკოსმა» ის და ა. ლ-მე შეასახლა საერთო საცხოვრებელში. აღნიშნულ საერთო საცხოვრებელში განლაგებულია ქარხნის კუთვნილი ავეჯი და სხვა-დასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები. იქ ცხოვრების წესები რეგულირდება საწარმოს შინაგანაწესითა და დებულებით. 2004 წელს ა. ლ-მე დაქორწინდა და ამჟამად მეუღლესთან ერთად ცხოვრობს ბინაში. მას თვითნებურად უკავია მოსარჩელის ფართი და ინვენტარი, რის გამოც მოსარჩელეს არა აქვს ბინაში ცხოვრების შესაძლებლობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ქ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ქ-მემ, მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის განჩინებით ნ. ქ-მეს განესაზღვრა ვადა ხარვეზის შესავსებად, კერძოდ, მას სააპელაციო საჩივარზე არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

2007 წლის 9 სექტემბერს ნ. ქ-მემ სააპელაციო სასამართლოში წარმოადგინა განცხადება, რომელსაც დაურთო მისი სამუშაო ადგილის ხელმძღვანელის მიერ გაცემული ცნობა, რომლის მიხედვით, სს «ელექტრომექანიკოსის» ნ. ქ-მის სახელფასო დავალიანება შეადგენდა 1359,80 ლარს. აღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტმა მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 სექტემბრის განჩინებით ნ. ქ-მის შუამდგომლობა ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და მას ხარვეზის შევსებისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა გაუგრძელდა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღით.

ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ განჩინების ასლი აპელანტს და მის წარმომადგენელ ა. ჩ-მეს გაეგზავნათ და ა. ჩ-მეს ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით 2007 წლის 10 ოქტომბერს, რომლის თანახმადაც, აპელანტს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდა 2007 წლის 15 ოქტომბრამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით ნ. ქ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

ნ. ქ-მემ კერძო საჩივარი შეიტანა სასამართლოში და მიუთითა, რომ მას ხარვეზის განჩინება ჩაჰბარდა არა 2007 წლის 10 ოქტომბერს, როგორც სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, არამედ 2007 წლის 25 ოქტომბერს. მან კი 2007 წლის 29 ოქტომბერს გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი და არ დაურღვევია სასამართლოს მიერ ხარვეზის შევსებისთვის მიცემული ვადა. აქედან გამომდინარე, ნ. ქ-მემ მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ნ. ქ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის განჩინებით ნ. ქ-მეს განესაზღვრა ვადა ხარვეზის შესავსებად, კერძოდ, მას სააპელაციო საჩივარზე არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 სექტემბრის განჩინებით ნ. ქ-მის შუამდგომლობა ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და მას ხარვეზის შევსებისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა გაუგრძელდა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღით.

ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ განჩინების ასლი აპელანტს და მის წარმომადგენელ ა. ჩ-მეს გაეგზავნათ და ა. ჩ-მეს ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით 2007 წლის 10 ოქტომბერს, რომლის თანახმადაც აპელანტს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდა 2007 წლის 15 ოქტომბრამდე.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორს იმის შესახებ, რომ მას 10 ოქტომბერს არ ჩაჰბარებია ხარვეზის განჩინება. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მის წარმომადგენელ ა. ჩ-მეს აღნიშნული განჩინება ჩაჰბარდა 2007 წლის 10 ოქტომბერს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ნ. ქ-ძის არ წარმოდგენია სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, ნიშნავს, რომ საპროცესო მოქმედება არ შესრულებულა კანონის ნორმების დაცვით. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა არ შეავსო ხარვეზი განჩინებით განსაზღვრულ ვადაში და ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი და განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ქ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობა (სააპელაციო სასამართლოში)

განჩინება

ას-1021-276-08 10 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის“ თავმჯდომარე ლ. დ-ლმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ. და რ. ჩ-ძეების მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1990 წელს შეიქმნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილი“, რომელსაც ... ქუჩის #84-86-ში და ... ქუჩა #3-ში მცხოვრებ პირთა თანხმობის საფუძველზე ნება დაერთო, ერთსართულიანი და ამორტიზებული, სეისმურად არამდგრადი სახლების ნაცვლად, აეშენებინა 12-სართულიანი სახლი. აღნიშნულის თაობაზე ასევე გამოთქვეს სურვილი ბ. და რ. ჩ-ძეებმა იმ პირობით, რომ მიეცემოდათ საცხოვრებელი ფართი ახალი ბინის მე-7 სართულზე, ხოლო მოგვიანებით სანოტარო წესით თანხმობის გაცემაზე უარი განაცხადეს, რის გამოც ქალაქის მთავარი არქიტექტორი არ იძლევა მშენებლობის ნებართვას. მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ პროექტის მომზადებისა და შემუშავებისათვის ამხანაგობის მიერ დახარჯული 266 903 ლარი.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს იმ საფუძველით, რომ მათ კუთვნილი სახლის დანგრევაზე მოსარჩელისათვის თანხმობა არ მიუციათ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის“ თავმჯდომარე ლ. დ-ლმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 29 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, თუმცა ამავე სასამართლოს 2007 წლის 11 იანვარს ლ. დ-ლს დაევალა ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის“ თავმჯდომარის უფლებამოსილების

დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ლ. დ-ლმა სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ბ-ოვი 84-86/3-ის» დებულება, ამხანაგობა «ბ-ოვი 84-86/3-ის» წევრთა 1999 წლის 12 მარტისა და 2007 წლის 3 თებერვლის საერთო კრებების ოქმები. სააპელაციო პალატამ განუმარტა აპელანტს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება ლ. დ-ლის ამხანაგობა «ბ-ოვი 84-86/3-ის» თავმჯდომარედ ყოფნის ფაქტი, სააპელაციო საჩივარი კი შეტანილ იქნა ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის» სახელით. სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 15 ოქტომბრის საოქმო განჩინებით ლ. დ-ლს დაევალა, ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარედგინა იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ იგი სააპელაციო საჩივრის წარდგენის მომენტში და შემდგომაც ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის» წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი იყო.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ხარვეზის შესახებ განჩინება ლ.დ-ლს 2007 წლის 19 ნოემბერს ჩაბარდა და მან სასამართლოს კვლავ წარუდგინა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ბ-ოვი 84-86/3-ის» დებულება და ამხანაგობა «ბ-ოვი 84-86/3-ის» წევრთა 1999 წლის 12 მარტისა და 2007 წლის 3 თებერვლის საერთო კრებების ოქმები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ნოემბრის განჩინებით ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტია ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილი», რომლის სახელით სააპელაციო საჩივრი შეიტანა ლ. დ-ლმა. ამ უკანასკნელს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა მითითებული ამხანაგობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. ხარვეზის განჩინება ლ. დ-ლს ჩაბარდა, თუმცა ლ.დ-ლმა წარადგინა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ბ-ოვი 84-86/3-ის» დებულება და ამხანაგობის წევრთა საერთო კრების 2007 წლის 3 თებერვლის ოქმი, რომელთა მიხედვით, აღნიშნული ამხანაგობა ქ.თბილისის ვაკის რაიონის პრეფექტურის 1991 წლის 11 იანვრის #625 განკარგულებით ჩამოყალიბებული ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ბ-ოვი 84-86/3-ის» სამართალ-მემკვიდრეა. შეფასა რა დასახელებული დოკუმენტები, სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის მომენტში და შემდგომაც ლ. დ-ლს ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის» წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გააჩნდა. ამდენად, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით, 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილით და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზი გამოვლინდა მისი დასაშვებად ცნობის შემდეგ, თუმცა აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მითითებული ხარვეზი არ გამოუსწორებია. სასამართლომ მიუთითა, რომ ხარვეზის განჩინება გაეგზავნა და ჩაბარდა ასევე ამხანაგობა «ბ-ოვი 84-86/3-ის» თავმჯდომარე ლ. დ-ლის წარმომადგენელ გ. გ-შვილსაც და არ გაეგზავნა ზ. ჯ-მეს, რომლის სახელზეც მინდობილობა გასცა ფიზიკურმა პირმა ლ. დ-ლმა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის» თავმჯდომარე ლ. დ-ლმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის სააპელაციო საჩივრის არსებითად განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო: გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივარი არასწორად დარჩა განუხილველი, ვინაიდან აპელანტმა სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი გამოასწორა და ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის» წარმომადგენლობითი უფლებამოსილება დაადასტურა. სააპელაციო პალატამ განჩინებაში კანონდარღვევით იმსჯელა სულ სხვა სახელის ამხანაგობა «ბ-ოვი 84/86/3-ზე».

უდავოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 29 აგვისტოს განჩინებით ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის» თავმჯდომარე ლ. დ-ლის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. სააპელაციო საჩივრის განხილვისას სასამართლომ ჩათვალა, რომ იგი ხარვეზიანია და 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით დაავალა ლ.დ-ლს 10 დღის ვადაში ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის» წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა.

ხარვეზის შესახებ სასამართლოს განჩინება ჩაბარდა როგორც ლ. დ-ლს, ისე მის წარმომადგენელ გ. გ-შვილს. აპელანტმა წარადგინა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ბ-ოვი 84-86/3-ის» დებულება და იმავე ამხანაგობის წევრთა 1999 წლის 12 მარტისა და 2007 წლის 3 თებერვლის საერთო კრებების ოქმები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე, მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, სააპელაციო საჩივარს ხელს აწერს მისი შემტანი პირი ან წარმომადგენელი. თუ უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი საქმეში არ არის, წარმომადგენლის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარს უნდა დაერთოს სააპელაციო საჩივრის შეტანაზე მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი

მინდობილობა. თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოქანმოთვლილ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს საჩივრის შეტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მხარის სახელით სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს, რომელმაც აღნიშნული უფლებამოსილების არსებობა სათანადო მტკიცებულებით უნდა დაადასტუროს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ლ. დ-ლმა ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის» სახელით სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება ვერ დაადასტურა, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. განსახილველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა რა ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის» სარჩელზე, აპელანტ ლ. დ-ლს უნდა წარმოედგინა ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის» თავმჯდომარედ მისი რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ გაცემული მინდობილობა, რაც მას არ განუხორციელებია.

სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა ლ.დ-ლის მიერ ხარვეზის გამოსწორების მიზნით წარმოდგენილი ამხანაგობა «ბ-ოვი 84-86/3-ის» დებულება და საერთო კრების ოქმები, როდესაც მიიჩნია, რომ დასახელებული დოკუმენტები ადასტურებს ლ. დ-ლის ამხანაგობა «ბ-ოვი 84-86/3-ის» წარმომადგენლობით უფლებამოსილებას და ამ უკანასკნელს ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის» სახელით მოქმედების უფლებას არ ანიჭებს. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ აპელანტს ხარვეზის განჩინებაში მითითებული სააპელაციო საჩივრის ხარვეზი არ გამოუსწორებია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ამხანაგობა „84/86/3ა-ჯ-შვილის» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-129-407-08 10 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობით: ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ა. ხ-ძის კერძო საჩივრის გაუხილველად დატოვების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ნოემბრის განჩინებაზე. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

2006 წლის 4 სექტემბერს თ. ფ-ძემ და თ. ც-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სს «თი-ბი-სი ბანკის», მესამე პირის - შპს «გარანტი პლიუსის» მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების იპოთეკისაგან გათავისუფლება.

2006 წლის 10 ნოემბერს სს «თი-ბი-სი ბანკმა» სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების: შპს «გარანტი პლიუსის», ნ. ქ-აკის, თ. ფ-ძის, ვ. ლ-ძის, თ. ც-ძის, ლ. ი-ძის, ნ. გ-შვილისა და ა. ხ-ძის მიმართ. მოსარჩელებს მოითხოვა შპს «გარანტი პლიუსისათვის», ნ. ქ-აკის, თ. ც-ძისა და ა. ხ-ძისათვის ძირითადი დავალიანების - 150000 აშშ დოლარის, სარგებლის - 31965.16 აშშ დოლარის, პირგასამტეხლოს - 89691.71 აშშ დოლარის, სულ - 271647.87 აშშ დოლარისა და გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -

14148 ლარის დაკისრება, ასევე, მოპასუხეთა იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონების რეალიზაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 თებერვლის განჩინებით, სს «თი-ბი-სი ბანკის» შუამდგომლობის საფუძველზე, სამოქალაქო საქმე #2/13334-06 სს «თი-ბი-სი ბანკის» სარჩელისა გამო შპს «გარანტი პლიუსის», ნ. ქ-აკის, თ. ფ-ძის, ვ. ლ-ძის, თ. ც-ძის, ლ. ი-ძის, ნ. გ-შვილისა და ა. ხ-ძის მიმართ დავალიანების გადახდევინების, იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონების რეალიზაციის შესახებ და სამოქალაქო საქმე #2/13054-06 თ. ფ-ძისა და თ. ც-ძის სარჩელისა გამო მოპასუხე სს «თი-ბი-სი ბანკის» მიმართ იპოთეკის საგნის გათავისუფლების შესახებ გაერთიანდა ერთ წარმოებად და მიენიჭა ნომერი 2/13334-06.

2007 წლის 20 თებერვალს სს «თი-ბი-სი ბანკმა» დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და დამატებით მოითხოვა 271647.87 აშშ დოლარზე წლიური 20%-ის დარიცხვა დავალიანების სრულ დაფარვამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ფ-ძისა და თ. ც-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; სს «თი-ბი-სი ბანკის» სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს: შპს «გარანტი პლიუსს,» ნ. ქ-აკს, თ. ც-ძეს და ა. ხ-ძეს სს «თი-ბი-სი ბანკის» სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 271647.87 აშშ დოლარის გადახდა. მათვე სს «თი-ბი-სი ბანკის» სასარგებლოდ დაეკისრათ ყოველთვიურად 2500 აშშ დოლარის გადახდა სარჩელის შეტანის დღიდან - 2006 წლის 10 ნოემბრიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე. თანხის გადახდევინება დადგინდა იპოთეკით დატვირთული შემდეგი უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციით: ა) ვ. ლ-ძისა და თ. ც-ძის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე მისამართზე - დილომი, ტექნიკური მახასიათებლები: სარეგისტრაციო ზონა - მცხეთა, კოდი - 72, სექტორი - დილომი, კოდი - 14, კვარტლის #40, ნაკვეთის #003, ფართობი - 0,150 ჰა (დაზუსტებული), უფლება - კერძო საკუთრება, ფუნქცია - სასოფლო-სამეურნეო; ბ) თ. ფ-ძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე მისამართზე - სოფ. დილომი, ტექნიკური მახასიათებლები: სარეგისტრაციო ზონა - მცხეთა, კოდი - 72, სექტორი - დილომი, კოდი - 14, კვარტლის #43, ნაკვეთის #149, ფართობი - 0,25 ჰა (დაზუსტებული), უფლება - კერძო საკუთრება, ფუნქცია - სასოფლო-სამეურნეო; გ) თ. ფ-ძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე მისამართზე - სოფ. დილომი, ტექნიკური მახასიათებლები: სარეგისტრაციო ზონა - მცხეთა, კოდი - 72, სექტორი - დილომი, კოდი - 14, კვარტლის #38, ნაკვეთის #127, ფართობი - 0,25 ჰა (დაზუსტებული), უფლება - კერძო საკუთრება, ფუნქცია - სასოფლო-სამეურნეო; დ) ნ. გ-შვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე მისამართზე - სოფ. დილომი, ტექნიკური მახასიათებლები: სარეგისტრაციო ზონა - მცხეთა, კოდი - 72, სექტორი - დილომი, კოდი - 14, კვარტლის #43, ნაკვეთის #147, ფართობი - 0,25 ჰა (დაზუსტებული), უფლება - კერძო საკუთრება, ფუნქცია - სასოფლო-სამეურნეო; ე) ლ. ი-ძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე მისამართზე - დილომი, ტექნიკური მახასიათებლები: სარეგისტრაციო ზონა - მცხეთა, კოდი - 72, სექტორი - დილომი, კოდი - 14, კვარტლის #39, ნაკვეთის #085, ფართობი - 0,25 ჰა (დაზუსტებული), უფლება - კერძო საკუთრება, ფუნქცია - სასოფლო-სამეურნეო; მოპასუხეებს: შპს «გარანტი პლიუსს», ნ. ქ-აკს, თ. ფ-ძეს, ვ. ლ-ძეს, თ. ც-ძეს, ლ. ი-ძეს, ნ. გ-შვილს, ა. ხ-ძეს სს «თი-ბი-სი ბანკის» სასარგებლოდ დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟის - 13690 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს «გარანტი პლიუსმა», ნ. ქ-აკმა, ვ. ლ-ძემ, ლ. ი-ძემ, ნ. გ-შვილმა და ა. ხ-ძემ (წარმომადგენელი ნ. ჩ-ელი), რომელთაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვეს.

გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი ცალკე შეიტანეს ასევე თ. ფ-ძემ და თ. ც-ძემ (წარმომადგენელი ნ. ჩ-ელი), რომელთაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ნოემბრის განჩინებით შპს «გარანტი პლიუსის», ნ. ქ-აკის, ვ. ლ-ძის, ლ. ი-ძის, ნ. გ-შვილისა და ა. ხ-ძის წარმომადგენელ ნ. ჩ-ელის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული დანიშნული ხარვეზის შეუვსებლობის მოტივით.

ამავე სასამართლოს 2007 წლის 10 დეკემბრის განჩინებით ასევე განუხილველად იქნა დატოვებული თ. ფ-ძისა და თ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ნოემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. ხ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების საქმეთა პალატის 2008 წლის 18 თებერვლის განჩინებით ა. ხ-ძეს დავალა სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის გადახდა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება ა. ხ-ძეს 2008 წლის 23 თებერვალს ჩაჰბარდა, შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორს სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზი უნდა შეევსო არაუგვიანეს 2008 წლის 4 მარტისა. მიუხედავად ამისა, კერძო საჩივრის ავტორს დღემდე არ შეუვსია საკასაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ხარვეზი და არც საკასაციო სასამართლოსთვის მოუმართავს შუამდგომლობით ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების მოთხოვნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ხ-ძის კერძო საჩივარი, ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 420-ე მუხლის თანახმად.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ხ-ძის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ნოემბრის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-884-1192-07 17 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე).
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

სარჩელის დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ე-შვილმა 2003 წლის 25 სექტემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების - მ. ხ-შვილის, გ. დ-შვილის, თ. ბ-შვილის, მესამე პირის - ი. ქ-ელის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეების გამოსახლება ქ. გორში, ... ქ. #34-ში მდებარე ბინიდან და მოსარჩელისათვის ბინის თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით მ. ე-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა: მ. ხ-შვილს, გ. დ-შვილს და თ. ბ-შვილს აეკრძალათ მ. ე-შვილისათვის უკანონო ხელშეშლა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინაზე, მდებარე ქ. გორში, ... ქ. #34-ში. მ. ხ-შვილი, გ. დ-შვილი და თ. ბ-შვილი გამოსახლდნენ აღნიშნული ბინიდან და ბინა გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩელეს.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ხ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ივნისის განჩინებით მ. ხ-შვილს დაევალა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. განჩინებით მასვე განემარტა, რომ ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განჩინებით მ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ივნისის განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ აპელანტს ხელზე ჩაბარდა 2007 წლის 17 ივლისს, ხოლო აღნიშნული განჩინების გზავნილი - 2007 წლის 19 ივლისს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 2007 წლის 17 ივლისის ჩაბარებიდან აპელანტს ხარვეზის შევსების ვადა ამოეწურა 2007 წლის 27 ივლისს, აპელანტმა კი ხარვეზის შევსების შესახებ განცხადება გორის ფოსტას ჩააბარა 2007 წლის 30 ივლისს - ხარვეზის შევსების ვადის გასვლის შემდეგ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ დარჩება განუხილველი. ამავე კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ

იქნება შევსებული, საჩივარი აღარ მიიღება და დარჩება განუხილველი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ გამოასწორა, რის გამოც სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივართ გაასაჩივრა მ. ხ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღება. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ივნისის განჩინება ხარვეზის შესახებ აპელანტს ხელზე ჩაჰბარდა 2007 წლის 19 ივლისს. 2007 წლის 19 ივლისის ჩაბარებიდან აპელანტს ხარვეზის შევსების ვადა ამოეწურა 2007 წლის 29 ივლისს. კერძო საჩივრის ავტორი ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლზე, სადაც აღნიშნულია, რომ თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩათვლება მისი მომდევნო სამუშაო დღე. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ვინაიდან 2007 წლის 28 ივლისი იყო შაბათი, ხოლო 2007 წლის 29 ივლისი - კვირა, ე.ი უქმე დღე, მომდევნო სამუშაო დღე იყო 2007 წლის 30 ივლისი. მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითარი გორის ფოსტას ჩაჰბარდა 2007 წლის 30 ივლისს. ამდენად, მას არ გაუშვია საპროცესო ვადა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ხ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ივნისის განჩინება, რომლითაც მ. ხ-შვილს სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსება დაევა, აპელანტს პირადად ჩაბარდა 2007 წლის 17 ივლისს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 10-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2007 წლის 18 ივლისს და დამთავრდა 2007 წლის 27 ივლისს, რომელიც იყო სამუშაო დღე - პარასკევი. აღნიშნულ ვადაში სააპელაციო საჩივრის ხარვეზი აპელანტს არ შეუვსია.

საკასაციო სასამართლო მ. ხ-შვილისათვის ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ჩაბარების ვადის ათვლის დასაწყისად ვერ მიიჩნევს 2007 წლის 19 ივლისს, როგორც ამაზე კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს. 2007 წლის 19 ივლისს კერძო საჩივრის ავტორს განმეორებით ჩაბარდა ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება და ამ დროისათვის ხარვეზის შევსების ვადის დინება პირველი ჩაბარებიდან - 2007 წლის 17 ივლისიდან უკვე დაწყებული იყო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ვინაიდან მ. ხ-შვილმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო სააპელაციო საჩივრის ხარვეზი, ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ხ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუსვებლობის გამო

განჩინება

#ას-15-301-08

2 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკატრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 20 მარტს ს. დ-იამ და ც. მ-მემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების - ე. და დ. დ-იების მიმართ და მოითხოვეს აწ გარდაცვლილ რ. დ-იას მემკვიდრეებად ცნობა და თბილისში, ... ქ. #51^ბ-ში მდებარე ნ. დ-იას სახელზე რიცხული უძრავი ქონების 1/2-ის აღრიცხვა ც. მ-ძისა და ს. დ-იას სახელზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით ს. დ-იასა და ც. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. დ-იასა და ც. მ-ძის წარმომადგენელმა - რ. კ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით, ც. მ-ძისა და ს. დ-იას წარმომადგენელ რ. კ-მეს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სსსკ-ის 440-ე მუხლის საფუძველზე ადვოკატთა ტესტირების გავლისა და ადვოკატთა ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტის, დავის საგნის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტისა და შესაბამისად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განჩინებით, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუსვებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, რომელზეც კერძო საჩივარი შეიტანა ც. მ-ძისა და ს. დ-იას წარმომადგენელმა - რ. კ-მემ განჩინების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების მოთხოვნით, იმ მოტივით, რომ ც. მ-მემ და ს. დ-იამ ბაჟი დროულად გადაიხადეს, მაგრამ, ვერ შეძლეს მისთვის მიეწოდებინათ სახელმწიფო ბაჟის ქვითარი, რის გამოც სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ვერ შეძლო მისი წარმოდგენა და ხარვეზი ერთი დღის დაგვიანებით შეავსო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადააგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ც. მ-ძისა და ს. დ-იას წარმომადგენელ რ. კ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით, ც. მ-ძისა და ს. დ-იას წარმომადგენელ რ. კ-მეს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სსსკ-ის 440-ე მუხლის საფუძველზე ადვოკატთა ტესტირების გავლისა და ადვოკატთა ასოციაციის წევრობის

აბონენტსა და მოპასუხეს შორის წინასწარ შეთანხმებით არ ყოფილა დადგენილი, რომ მრიცხველის მოშლის ან დაზიანების შემთხვევაში გამოყენებული იქნებოდა მოპასუხის მიერ დადგენილი ფორმულა ელექტროენერჯის ღირებულების გამოსაყვანად ან დასაანგარიშებლად.

მოპასუხე თანხის დარიცხვისას დაეყრდნო ამავე კომპანიის 2004 წლის 20 აპრილის #25 ბმრანებით დამტკიცებული ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმებისა და დარიცხვის მეთოდებისა და პროცედურების (კომპანიის შიდა განაწესით) დადგენილ ფორმულას, რაც არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს, იგი არ არის რეგისტრირებული საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში.

უდავოა ის გარემოება, რომ მოსარჩელე არ იტაცებდა ელექტროენერჯიას, რაც დასტურდება მოპასუხის 2005 წლის 8 სექტემბრის წერილით. ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ არ არსებობს მისთვის 19849,2 ლარის გადახდის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება ზემოთ მითითებული მეთოდის გამოყენების თაობაზე. 2006 წლის 29 ივნისს მოსარჩელე სს „არქეოპოლისმა“ დააზუსტა სარჩელი და მოითხოვა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების #01584 აქტით დადგენილი დარღვევის და ამ დარღვევის აქტზე დარიცხვის ცენტრალური კომისიის მიერ გამოცემული 2005 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით არქეოპოლისზე დარიცხული თანხის 19849,2 ლარის არაკანონიერად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით სს „არქეოპოლისის“ სარჩელი სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ წინააღმდეგ სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მიერ 2004 წლის აგვისტოს თვის ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების #01584 აქტით დადგენილი დარღვევის და ამ აქტის საფუძველზე დარიცხვის ცენტრალური კომისიის მიერ გამოცემული 2005 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით სს „არქეოპოლისზე“ დარიცხული 19849,2 ლარის არაკანონიერად აღიარების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „არქეოპოლისის“ წარმომადგენელმა ა. გ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინებით სს „არქეოპოლისის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 სექტემბრის განჩინებით სს „არქეოპოლისის“ სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და განსაზღვრული იქნა 10 დღიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად; პალატამ მიიჩნია, რომ ხარვეზის შესახებ განჩინება აპელანტს ჩაჰბარდა 2007 წლის 24 სექტემბერს, ხოლო მის წარმომადგენელს - 2007 წლის 21 სექტემბერს; საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2007 წლის 28 ნოემბრისათვის ხარვეზი გამოსწორებული არ იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სს „არქეოპოლისის“ წარმომადგენელმა ა. გ-იამ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში მათ მიერ მთლიანად გადახდილი იყო სახელმწიფო ბაჟი. ამჟამად სააქციო საზოგადოება «არქეოპოლისი» განიცდის ეკონომიკურ სიმწიფეებს და მატერიალურად გაჭირვებულ მდგომარეობაშია, რის გამოც ვერ შეძლეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს, საქმის მასალებს, და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 სექტემბრის განჩინებით, სს „არქეოპოლისის“ სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნული გაჩინება აპელანტს ჩაჰბარდა 2007 წლის 24 სექტემბერს, ხოლო მის წარმომადგენელს 21 სექტემბერს. მხარეს ხარვეზი არ გამოუსწორებია დადგენილ ვადაში, რის გამოც სააპელაციო პალატამ 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინებით სს „არქეოპოლისის“ სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი.

პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს, ხოლო 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე და საქმეზე დადგენილი გარემოებების შესაბამისად, სს „არქეოპოლისის“ მხრიდან ხარვეზის დროულად შეუვსებლობა წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის

განუხილველად დატოვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან სააქციო საზოგადოება მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია და ვერ შეძლო სახელმწიფო ბაჟის გადახდა, აღნიშნულ გარემოებაზე მითითება შეიძლება გახდეს სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინების გაუქმების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, რადგან მხარემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, შესაბამისად დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება. აქედან გამომდინარე, არ არსებობს საჩივარში მითითებული გარემოების, კერძოდ, მისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველი, მით უმეტეს, რომ მას რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება ამისა არც წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს მისი უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ს.ს. «არქეოპოლისის» წარმომადგენლის ა. გ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-50-334-08 10 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 22 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა მ. ხ-იკმა მოპასუხეების: ნ. მ-შვილის, თ., ა. ს-ძეების და „ბინსოცბანკის» მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებზე სოლიდარულად 4700 აშშ დოლარის დაკისრება.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 1996 წლის 11 მარტს მასა და „ბინსოცბანკის» ფილიალს შპს „მარსი-96-ის» ადმინისტრაციას შორის დადებული იქნა ხელშეკრულება ფულადი სახსრების ანაზრის შენახვის შესახებ ყოველთვიურად 8%-ის დარიცხვით. ხელშეკრულების თანახმად, მის მიერ ანაზრის სახით შეტანილი იქნა 1000 აშშ დოლარი, ხოლო 1996 წლის 14 აპრილს 3300 აშშ დოლარი, სულ - 4300 აშშ დოლარი.

მოსარჩელემ ასევე განმარტა, რომ მოპასუხეებმა მიუხედავად მათი დაპირებისა პირნათლად შესრულებდნენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. 1996 წელს მიითვისეს მეანაზრეთა თანხები და მიიძალნენ. აღნიშნულის შემდეგ მიმართავდა სამართალდამცავ ორგანოებს და ითხოვდა თანხების დაბრუნებაში დახმარებას, მაგრამ მის განცხადებებს სამართალდამცავი ორგანოებიდან რეაგირება არ მოყოლია.

მხარის მტკიცებით 1999 წლის 27 იანვარს შპს „მარსი-96-ის» პრეზიდენტმა ნ. მ-შვილმა მისცა ხელწერილი ვალის ანაზღაურების შესახებ, რომლის თანახმადაც, 4700 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა 1999 წლის 1 სექტემბრამდე, მაგრამ მიუხედავად აღნიშნული ხელწერილისა მოპასუხეები კვლავ გაუჩინარდნენ და მიითვისეს მეანაზრეთა თანხები.

საქმის სასამართლოში წარმოებისას მოსარჩელემ განცხადებით მომართა სასამართლოს და მოითხოვა „ბინსოცბანკის» მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ აღნიშნული ბანკი აღარ

არსებობს და მის მიმართ მოთხოვნა არ აქვს. სასამართლოს მიერ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ბინსოგბანკის მიმართ მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა.

2007 წლის 25 იანვარს სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე, რის გამოც დაკმაყოფილდა მოპასუხეების წარმომადგენლის შუამდგომლობა და საქმეზე გამოტანილი იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2007 წლის 1 მარტის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე მ. ხ-იკის საჩივარი, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 25 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე განხილული იქნა არსებითად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით მ. ხ-იკის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ხ-იკმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინებით მ. ხ-იკის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილი სასამართლოს გზავნილითა და საფოსტო განყოფილებიდან დაბრუნებული შეტყობინებით ირკვევა, რომ აპელანტს, 2007 წლის 20 აგვისტოს განჩინება ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით 2007 წლის 21 სექტემბერს, რომლის თანახმადაც, აპელანტს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდა 2007 წლის 21 ნოემბრამდე. მიუხედავად აღნიშნულისა აპელანტმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეავსო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ხ-იკმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ მიცა ვადა ხარვეზის შევსების შესახებ, რომლის თანახმად, ევალეზოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. იმის გამო, რომ მოპასუხეებს ფაქტობრივად ჩადენილი აქვთ დანაშაული თაღლითობა და სხვისი ქონების მითვისება-გაფლანგვა, საჩივრით არაერთხელ მიმართა აჭარის ა/რ პროკურატურას, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ მოპასუხეების წინააღმდეგ, მაგრამ უარი უთხრეს. მან გაასაჩივრა გენერალურ პროკურატურაში, რომელმაც საჩივარი გადაუგზავნა აჭარის პროკურატურას, საიდანაც კვლავ მიიღო უარი დამნაშავე პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე.

იმის გამო, რომ ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი საკითხი დამნაშავე ჯგუფის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და პასუხისგებაში მიცემის შესახებ, განცხადებით მიმართა სააპელაციო პალატას საქმის წარმოების შეჩერების შესახებ.

პალატამ ორი თვით გაუგრძელა ვადა, მაგრამ ამ ვადაში გენერალური პროკურატურიდან დღემდე არ მიუღია პასუხი. მიუხედავად ამისა, სააპელაციო პალატამ მისი საჩივარი დატოვა განუხილველი.

ასევე კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული საქმის ირგვლივ საერთოდ არ იყო აღძრული სისხლის სამართლის საქმე და ჩატარებული წინასწარი გამოძიება. სამართალდამცავმა ორგანომ მენაბრეები დატოვა სახელმწიფო დაცვის გარეშე. ამავე დროს აქტიურად მფარველობენ დამნაშავე პირებს, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონებს. წლების მანძილზე შეტანილი საჩივრები იხილებოდა ფორმალურად, კანონების უხეში დარღვევით. ამის გამო საჩივრით მიმართა გენერალურ პროკურატურას და საქართველოს პარლამენტს. იმედოვნებდა, რომ გენერალური პროკურატურა აღძრავდა სისხლის სამართლის საქმეს დამნაშავე პირების წინააღმდეგ, რასაც მისთვის ექნება არსებითი მნიშვნელობა.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ შეზღუდა მისი კანონიერი უფლებების განხორციელება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო კერძო საჩივარს და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 მაისის განჩინებით აპელანტს სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად განესაზღვრა 7-დღიანი ვადა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან. ამავე წლის 20 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარზე მ. ხ-იკს ხარვეზის შესავსებად გაუგრძელდა ვადა განჩინების ჩაბარებიდან ორი თვით.

ზემოაღნიშნული განჩინების ასლი აპელანტს ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინებით მ. ხ-იკის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარზე ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალეზს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. ამავე კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად კი,

თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებული ნორმებით მართებულად იხელმძღვანელა და სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა, ვინაიდან აპელანტს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, რადგან მხარემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, შესაბამისად, დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას, რომ გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმის აღძრის შემდეგ იგი ცნობილი იქნებოდა დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ, რის საფუძველზეც გათავისუფლდებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან სისხლის სამართლის წარმოების წესით საქმის განხილვის შესაძლებლობა არ შეიძლება მიჩნეული იქნეს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის საპატიო მიზეზად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. ხ-იკის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ხ-იკის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-165-433-08

14 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ს-ძის სარჩელი მოპასუხეების: შპს «გაზეთ ალია ჰოლდინგის», რ. მ-ძისა და თ. რ-შვილის მიმართ პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფისა და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მათთვის 200 000 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელე ზ. ს-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით ზ. ს-ძეს, სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად, დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში 8 000 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრისა და დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის წარმოდგენა. განჩინების ასლი აპელანტს ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ნოემბრის განჩინებით აპელანტს 10 დღით გაუგრძელდა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსების ვადა, ვინაიდან მან ხარვეზი ნაწილობრივ გამოასწორა, კერძოდ, წარმოადგინა სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი, მაგრამ არ მიუთითა, თუ რაში მდგომარეობდა

გადაწყვეტილების უსწორობა, კერძოდ, რას ხდიდა იგი სადავოდ - სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა თუ სამართლებრივ შეფასებებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო 2008 წლის 14 იანვრის განჩინებით, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუსვებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, რომელზეც კერძო საჩივარი შეიტანა ზ. ს-მემ განჩინების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადააგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ზ. ს-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ დროს მოქმედი 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილზე. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზ. ს-მეს, სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად, დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში 8 000 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრისა და დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის წარმოდგენა.

დადგენილია, რომ კერძო საჩივრის ავტორს გაუგრძელდა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა, კერძოდ, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ნოემბრის განჩინებით აპელანტს 10 დღით გაუგრძელდა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსების ვადა, ვინაიდან მან ხარვეზი ნაწილობრივ გამოასწორა, კერძოდ, წარმოადგინა სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი, მაგრამ არ მიუთითა, თუ რაში მდგომარეობდა გადაწყვეტილების უსწორობა, კერძოდ, რას ხდიდა იგი სადავოდ, სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, თუ სამართლებრივ შეფასებებს.

ასევე დადგენილია, რომ აღნიშნული განჩინების ასლი ზ. ს-მესა და მის წარმომადგენელს გაეგზავნათ და ჩაჰბარდათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, ზ. ს-მეს ჩაჰბარდა 2007 წლის 26 დეკემბერს, შესაბამისად, ხარვეზის შევსების ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების თანახმად, იყო 2008 წლის 8 იანვარი. ზ. ს-მემ ხარვეზი არა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, არამედ ვადის გასვლის შემდგომ, 2008 წლის 14 იანვარს გამოასწორა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

ზ. ს-მე კერძო საჩივარში განმარტავს, რომ მას განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ თავად არ ჩაუბარებია და არც ის იცის, ვინ მოაწერა ხელი მის მაგივრად, ამასთან, უთითებს, რომ მისმა მეზობელმა კონვერტის გარეშე გადასცა სასამართლოდან მოსული წერილი და, ვინაიდან ხანდაზმულია, ვერ გაიხსენა როდის მიიღო გზავნილი და სად არის კონვერტი. აღნიშნულ განმარტებას საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად ვერ მიიჩნევს, ვინაიდან საქმეში არსებული საფოსტო შეტყობინებით დასტურდება, რომ ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი პირადად მას ჩაჰბარდა 2007 წლის 26 დეკემბერს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუსვებლობის გამო, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო კერძო საჩივარი უსაფუძველო და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ზ. ს-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 იანვრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-200-465-08 14 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია**

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 14 აგვისტოს ლ. ა-იამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს «თბილისის მეტროპოლიტენის» მიმართ შრომითი ხელშეკრულების აღდგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. ა-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა მოსარჩელე ლ. ა-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებით ლ. ა-იას, სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად, დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში 150 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი აპელანტს ჩაბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.

2008 წლის 4 იანვარს ლ. ა-იამ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ უსახსრობის გამო არ შეეძლო ხარვეზის გამოსწორება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 იანვრის განჩინებით აპელანტს 7 დღით გაუგრძელდა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსების ვადა.

2008 წლის 28 იანვარს ლ. ა-იამ კვალვ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის განჩინებით ლ. ა-იას განცხადება დაკმაყოფილდა და აპელანტს კიდევ ერთხელ გაუგრძელდა სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადა.

2008 წლის 6 თებერვალს ლ. ა-იამ განმეორებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს საპროცესო ვადის გაგრძელების მოთხოვნით იმ მოტივით, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დროულად ვერ შეძლო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 თებერვლის განჩინებით, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, რომელზეც კერძო საჩივარი შეიტანა ლ. ა-იამ განჩინების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადააგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ლ. ა-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ აპელანტ ლ. ა-იას სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბ-

რის განჩინებით დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში 150 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა.

ასევე დადგენილია, რომ კერძო საჩივრის ავტორს რამდენჯერმე გაუგრძელდა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა, კერძოდ, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, ლ. ა-ის 2008 წლის 4 იანვრის განცხადების საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2008 წლის 11 იანვრის განჩინებით აპელანტს 7 დღით გაუგრძელა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსების მიზნით, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის ან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების კანონით გათვალისწინებული ცნობის წარმოდგენის ვადა.

ასევე, ლ. ა-ის 2008 წლის 28 იანვრის განმეორებითი განცხადების საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს კიდევ ერთხელ გაუგრძელდა სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადა.

2008 წლის 6 თებერვალს ლ. ა-იამ განმეორებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს საპროცესო ვადის გაგრძელების მოთხოვნით იმ მოტივით, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დროულად ვერ შეძლო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

სააპელაციო სასამართლომ აღარ გაიზიარა ლ. ა-ის მოთხოვნა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის კიდევ ერთხელ გაგრძელების შესახებ, ვინაიდან განცხადებელმა ვერ დაასაბუთა თუ როდის შეძლებდა საჭირო ცნობის მოპოვებასა და მის კონკრეტულად განსაზღვრული ვადაში სასამართლოში წარმოდგენას, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო იზიარებს და თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო კერძო საჩივარი უსაფუძვლო და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ლ. ა-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 თებერვლის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-263-521-08 14 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონულ სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისს მიმართა ც. ხ-შვილის წარმომადგენელმა ნ. მ-ძემ მოპასუხე თ. ბ-ძის მიმართ გამარტივებული წესით თანხის დაკისრების თაობაზე. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 ივნისის გადახდის ბრძანებით თ. ბ-ძეს ც. ხ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 10000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა. აღნიშნულ გადახდის ბრძანებაზე მოპასუხის მიერ შეტანილი იქნა შესაგებელი, რის საფუძველზეც გადახდის ბრძენება გაუქმდა და დადგინდა მოთხოვნის სასარჩელო წარმოების წესით განხილვა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ც. ხ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 10000 დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა თ. ბ-ძის წარმომადგენელმა თ. პ-შვილმა და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ნოემბრის განჩინებით თ. ბ-ძის წარმომადგენლის თ. პ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა - ძალაში დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ბ-ძის წარმომადგენელმა თ. პ-შვილმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 3 იანვრის განჩინებით აპელანტ თ. ბ-ძეს განესაზღვრა ვადა ხარვეზის შესავსებად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 თებერვლის განჩინებით თ. ბ-ძის წარმომადგენლის თ. პ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

პალატამ დადგინილად მიიჩნია რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 იანვრის განჩინებით აპელანტს დაევალა 400 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის - სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და თ. პ-შვილის ადვოკატთა ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენა.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 იანვრის განჩინება სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შევსების შესახებ თ. ბ-ძეს და მის წარმომადგენელ თ. პ-შვილს გაეგზავნათ მათ მიერ მითითებულ მისამართებზე.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით და სასამართლო კურიერის მიერ შედგენილი აქტით დასტურდება თითქოს აპელანტ თ. ბ-ძეს პირადად ჩაჰბარდა განჩინება 2008 წლის 25 იანვარს, ხოლო მის წარმომადგენელს - 6 თებერვალს. მხარეს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. ბ-ძის წარმომადგენელმა თ. პ-შვილმა

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, აღნიშნული სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან თ. ბ-ძე უკვე რვა თვეა საქართველოში არ იმყოფება, ხოლო მისი ინტერესების დასაცავად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად საქმეში წარმომადგენლად არის ჩართული თ. პ-შვილი.

აღნიშნულიან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო თ. ბ-ძის წარმომადგენლის თ. პ-შვილის კერძო საჩივარს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 3 იანვრის განჩინებით აპელანტ თ. ბ-ძეს განესაზღვრა ვადა ხარვეზის შესავსებად. აღნიშნული განჩინება აპელანტ თ. ბ-ძეს ჩაჰბარდა პირადად 25 იანვარს, ხოლო მის წარმომადგენელს - 6 თებერვალს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 თებერვლის განჩინებით თ. ბ-ძის წარმომადგენლის თ. პ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განჩინების სამართლებრივ საფუძვლებს და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლი განსაზღვრავს მხარისათვის უწყების გაგზავნის წესს, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში ვადის ათვლა დაიწყო 2008 წლის 25 იანვრიდან, როცა მხარეს, კერძოდ თ. ბ-ძეს ჩაბარდა განჩინება.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის თ. პ-შვილის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ თ. ბ-ძე რვა თვეა არ იმყოფება საქართველოში და შესაბამისად განჩინება პირადად მას არ ჩაბარებია, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელს - თ. პ-შვილს რაიმე სახის მტკიცებულება, რაც გამორიცხავდა საქმეში არსებული დოკუმენტის სიზუსტეს და დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ განჩინების ჩაბარების მომენტისათვის თ. ბ-ძე არ იმყოფებოდა საქართველოში, მას საკასაციო სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია.

აღნიშნულიდან გამომდინარე და საქმეზე დადგენილი გარემოებების შესაბამისად, მხარის მიერ ხარვეზის დროულად შეუსვებლობა წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, რადგან მხარემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, შესაბამისად, დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი სააპელაციო საჩივარი და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

თ. ბ-ძის წარმომადგენლის თ. კ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-215-476-08 22 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია**

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით ნოტარიუს გ. გ-შვილის სარჩელი ა. კ-ინას მიმართ პატივის, ღირსებისა და პროფესიული რეპუტაციის შელახვის გამო მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით მოპასუხისათვის 5000 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა ა. კ-ინას შეგებებული სარჩელი გ. გ-შვილის მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. დაკმაყოფილდა ა. კ-ინას მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. რუსთავში, ... ქ. #61-71-ში მდებარე ბინაზე დადებული ყადაღის მოხსნის თაობაზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ა. კ-ინამ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ერთდროულად, როგორც თავისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, ასევე, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის.

გ. გ-შვილმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით ა. კ-ინას სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად დაევალა, განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მიხედვით დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის წარმოდგენა. განჩინების ასლი აპელანტს გაეგზავნა და ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განჩინებით, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, რომელზეც კერძო საჩივარი შეიტანა ა. კ-ინამ განჩინების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების მოთხოვნით იმ საფუძველით, რომ მას სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შევსების ვადა არ დაურღვევია და, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი განუხილველად არ უნდა დარჩენილიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადააგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ა. კ-ინას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად დარჩება განუხილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ დროს მოქმედი 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ა. კ-ინას, სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად, დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მიხედვით დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის წარმოდგენა.

ასევე დადგენილია, რომ აღნიშნული განჩინების ასლი ა. კ-ინას გაეგზავნა და ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, ჩაჰბარდა 2007 წლის 26 ოქტომბერს, შესაბამისად, ხარვეზის შევსების ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების თანახმად, იყო 2007 წლის 5 ნოემბერი. ა. კ-ინამ ხარვეზი არა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, არამედ - ვადის გასვლის შემდგომ, 2007 წლის 9 ნოემბერს გამოასწორა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

ა. კ-ინა კერძო საჩივარში განმარტავს, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება არც მას და არც მის ოჯახის წევრებს არ ჩაჰბარებიათ და, შესაბამისად, მან ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში გამოასწორა. აღნიშნულ განმარტებას საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად ვერ მიიჩნევს, ვინაიდან საქმეში არსებული საფოსტო შეტყობინებით დასტურდება, რომ ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი ჩაჰბარდა მის დეიდას 2007 წლის 26 ოქტომბერს, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გზავნილი ჩაბარებულად ითვლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, სააპელაციო სასამართლომ ა. კ-ინას სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო კერძო საჩივარი უსაფუძვლო და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

- ა. კ-ინას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო მოქმედების შესრულების უფლების გაქარწყლება

განჩინება

#ას-345-597-08 28 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის გადახდევინება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა მ. ჩ-იანმა მოპასუხე ნოტარიუს ს. ბ-ძის მიმართ თანხის გადახდევინების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. ჩ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობის გამო.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა მ. ჩ-იანმა და მოითხოვა საქმის წარმოების განახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 სექტემბრის განჩინებით მ. ჩ-იანის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. ჩ-იანმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის განჩინებით მ. ჩ-იანის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატის 2007 წლის 16 ნოემბრის განჩინებით მ. ჩ-იანს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარმოდგენა. 2007 წლის 17 დეკემბრის განჩინებით აპელანტს გაუგრძელდა სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადა 7 დღით და დაევალა სახელმწიფო ბაჟის სახით 1120 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანის წარმოდგენა.

2008 წლის 17 მარტს აპელანტმა, მ. ჩ-იანმა მიმართა სასამართლოს განცხადებით, რომლითაც მოითხოვა მისი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება, ვინაიდან იგი ითხოვდა დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას, ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძველზე გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან აპელანტს არ წარმოუდგინია კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც დადგენილი იქნებოდა მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, შესაბამისად, მისი განცხადება არ უნდა დაკმაყოფილებულიყო და მას სააპელაციო საჩივარზე უნდა გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი 1120 ლარის ოდენობით.

საქმეზე წარმოდგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2004 წლის 15 ოქტომბრის განჩინებასთან დაკავშირებით პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული გაჩინებით მ. ჩ-იანის საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო და თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ივლისის დადგენილება ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის მიერ 2004 წლის 9 ივნისს მ. ბ-ძის, გ. ბ-ძისა და ს. ბ-ძის მიმართ გამოტანილი სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილების გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ დარჩა ძალაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ გამოასწორა, რაც მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ჩ-იანმა.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სააპელაციო პალატამ განჩინებაში შეგნებულად ან დაუდევრობით არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

მისივე განმარტებით პროკურატურაში იგი ითხოვდა ს. ბ-ძისა და სხვა პირთა პასუხისგებაში მიცემას თაღლითობის მუხლით, რომელთაც მიაყენეს 18 000 ლარის მატერიალური ზიანი, მაგრამ პროკურატურამ ჩათვალა, რომ ს. ბ-ძემ ჩაიდინა სამსახურებრივი დანაშაული სსკ-ის 342-ე მუხლის I ნაწილით, მაგრამ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო იგი არ იქნა პასუხისგებაში მიცემული.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ და ასევე საქართველოს უზენაეს სასამართლომ დადგენილად ჩათვალა და პირდაპირ მიუთითა განჩინებაში რომ ნოტარიუსმა ს. ბ-ძემ არაჯეროვნად შეასრულა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ამ შემთხვევაში ფიზიკური პირის - მ. ჩ-იანის უფლებების არსებით დარღვევა გამოიწვია და მისი დანაშაულებრივი ქმედება სწორად იქნა დაკვალიფიცირებული 342-ე მუხლის I ნაწილით. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის „გ« პუნქტის საფუძველზე იგი განთავისუფლებული უნდა იყოს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მ. ჩ-იანმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თვლის, რომ მ. ჩ-იანის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მ. ჩ-იანს სააპელაციო საჩივარზე განესაზღვრა ხარვეზი და დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის სასამართლოსთვის წარმოდგენა. მხარემ დადგინდა ვადაში ხარვეზი არ შეავსო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის განჩინებით, მ. ჩ-იანის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

ამავე კოდექსის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ერთერთ პირობას წარმოადგენდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითრის სასამართლოსთვის წარმოდგენა. ვინაიდან მხარემ სასამართლოს მიერ მიცემულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი აპელანტის სააპელაციო საჩივარი ზემოთ მითითებული საფუძველით.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის განჩინების სამართლებრივ მოტივაციას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა გარემოებები და კანონიერად არ მიიღო მხედველობაში მხარის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი, საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2004 წლის 15 ოქტომბრის განჩინება, რომლის შესაბამისად, აპელანტი უნდა განთავისუფლებულიყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან იმ საფუძველით, რომ ის ითხოვდა დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აპელანტის მიერ წარმოდგენილი განაჩენი არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო როგორც ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების საფუძველი, ვინაიდან აღნიშნული განაჩენით მ. ჩ-იანის საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძველობის გამო და თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ივლისის დადგენილება ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის მიერ 2004 წლის 9 ივნისს მ. ბ-ძის, გ. ბ-ძის და ს. ბ-ძის მიმართ გამოტანილი სისხლის სამართლის საქმის არადგვრის დადგენილების გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ დარჩა ძალაში. შესაბამისად არც მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი დადასტურებულა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რადგან მხარემ სასამართლოს მიერ დადგინდა ვადაში არ შეავსო ხარვეზი, შესაბამისად, დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს მისი დაუსაბუთებლობისა და უსაფუძველობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ჩ-იანის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-392-641-08

28 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 13 დეკემბერს ჯ. გ-მემ სარჩელით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს ზესტაფონის #... საჯარო სკოლის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის მიერ მიღებული #33 და #53 ბრძანებების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით ჯ. გ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოებისა და დაუსაბუთებლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. გ-მემ და მოითხოვა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 აპრილის განჩინებით ჯ. გ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 29 თებერვლის განჩინება სააპელაციო საჩივრზე ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება აპელანტს გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით პირადად 2008 წლის 15 მარტს, რაც დადასტურებულია გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე არსებული მისივე ხელმოწერით. მხარეს ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა ამოეწურა 2008 წლის 25 მარტს.

სააპელაციო საჩივრის ავტორმა 2008 წლის 1 აპრილს ანუ სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდგომ მიმართა სასამართლოს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით.

პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან ჯ. გ-მემ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 აპრილის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. გ-მემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ხარვეზის განჩინება მას ჩაბარდა 2008 წლის 27 მარტს რაც დასტურდება სახალხო ფოსტის ოპერატორ ი. ნ-მის მიერ გაცემული ცნობა. რეალურად სააპელაციო სასამართლოს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ მას ჩაბარდა 2008 წლის 27 მარტს, შესაბამისად, მას ვადა არ გაუშვია, ადგილი არ ჰქონია, ხოლო სახალხო ფოსტის შეტყობინებაზე ხელმოწერის გასწვრივ მითითებული, თარიღი (15.03) მის მიერ არაა გაკეთებული. იგი ფოსტის მიერ დაშვებული ტექნიკური შეცდომაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო კერძო საჩივარს და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგინილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 29 თებერვლის განჩინებით აპელანტს სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად განესაზღვრა 7-დღიანი ვადა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან. ზემოაღნიშნული განჩინების ასლი გაეგზავნა და ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 აპრილის განჩინებით ჯ. გ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარზე ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. ამავე კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად კი, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებული ნორმებით მართებულად იხელმძღვანელა და სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა, ვინაიდან აპელანტს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რადგან მხარემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, შესაბამისად, დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას, რომ მას რეალურად სააპელაციო სასამართლოს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ ჩაჰბარდა არა 2008 წლის 15 მარტს, არამედ - 2008 წლის 27 მარტს, რასაც ადასტურებს სახალხო ფოსტის ოპერატორ ი. ნ-მის მიერ გაცემული ცნობით, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქმეზე წარმოდგენილი საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ

შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ ჯ. გ-მეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 29 თებერვლის ხარვეზის განჩინება პირადად ჩაბარდა ამა წლის 15 მარტს. შესაბამისად საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარზე დართული მტკიცებულება არ შეიძლება ჩაითვალოს მხარის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის საპატიო მიზეზად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი ჯ. გ-მის სააპელაციო საჩივარი და, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ჯ. გ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 აპრილის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

ას-349-601-08 23 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სოლიდარული პასუხისმგებლობის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

სს «სილკიმპექსჯორჯიასა» და სს «კოლხური აბრეშუმის» გაკოტრების მმართველმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «ლაგუნას» მიმართ სოლიდარული პასუხისმგებლობის დადგენის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო: მოსარჩელეს გააჩნია შეუსრულებელი ვალდებულებები იმ პირთა მიმართ, ვის სასარგებლოდაც სასამართლომ მოსარჩელეს დააკისრა საპენსიო თუ სხვაგვარი კომენსაციის გადახდა. ასევე მოსარჩელეს გააჩნია სს «იბერია-ბანკის» მიმართ დავალიანება 250 000 ლარის ოდენობით. სს «სილკიმპექსჯორჯიას» მიმართ გაკოტრების საქმის გახსნამდე, 1999 წელს, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოებას გამოეყო ყოფილი სასწავლო საქსოვი წარმოება და იგი დარეგისტრირდა როგორც სს «ლაგუნა». აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოხსენებულ ვალდებულებათა გამო, სოლიდარული პასუხისმგებლობა უნდა განაწილდეს სს «სილკიმპექსჯორჯიაზე», სს «კოლხური აბრეშუმზე», სს «ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკასა» და სს «ლაგუნაზე».

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 თებერვლის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 7 დღის ვადაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ», «დ», «ე», «ვ» და «თ» ქვეპუნტების, მეორე ნაწილის, 177-ე და 367-ე მუხლების შესაბამისად შედგენილი სააპელაციო საჩივრის წარდგენა და სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

2008 წლის 28 თებერვალს სს «სილკიმპექსჯორჯიასა» და სს «კოლხური აბრეშუმის» გაკოტრების მმართველმა, ხარვეზის გამოსწორების მიზნით, განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება აპელანტს ჩაჰბარდა 2008 წლის 19 თებერვალს, ხარვეზის შევსების ვადა ამოიწურა 2008 წლის 26 თებერვალს, აპელანტმა კი, ხარვეზის გამოსწორების მიზნით, სასამართლოს მიმართა 2008 წლის 28 თებერვალს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მხარეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი არ წარმოუდგენია. ამდენად, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის

მეხუთე ნაწილით, 63-ე, 374-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ აპელანტს ხარვეზი სასამართლოს მიერ მითითებულ ვადაში არ გამოუსწორებია, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სს «სილვიმპექსჯორჯიასა» და სს «კოლხური აბრეშუმის» გაკოტრების მმართველის წარმომადგენელმა ვ.პ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა აპელანტის წარმომადგენელ ვ. პ-მეს და ჩაბარდა ადვოკატ ე.ნორაკისთან მომუშავე სტაჟიორს ა. ხ-მეს, რომელმაც იგი ადრესატს 2008 წლის 28 თებერვალს გადასცა. აღნიშნულიდან გამომდინარე აპელანტი მოკლებული იყო შესაძლებლობას, 2008 წლის 27 თებერვალმდე გამოესწორებინა ხარვეზი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სს «სილვიმპექსჯორჯიასა» და სს «კოლხური აბრეშუმის» გაკოტრების მმართველის სააპელაციო საჩივარი დაეწერა მოსამართლე ლ. შ-ულს, რომელმაც დაუდგინდა მას ხარვეზი, ხოლო განუხილველად სააპელაციო საჩივარი დატოვა მოსამართლე თ. ს-მემ.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 თებერვლის განჩინებით სს «სილვიმპექსჯორჯიასა» და სს «კოლხური აბრეშუმის» გაკოტრების მმართველის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა 7 დღის ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ», «დ», «ე», «ვ» და «თ» ქვეპუნტების, მეორე ნაწილის, 177-ე და 367-ე მუხლების შესაბამისად შედგენილი სააპელაციო საჩივრის წარსადგენად და სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად.

ზემოხსენებული ხარვეზის განჩინება გაეგზავნა როგორც აპელანტს, ისე - მის წარმომადგენელ ვ. პ-მეს. საქმის მასალებში წარმოდგენილი ხელწერილებით დასტურდება, რომ სასამართლო გზავნილი 2008 წლის 19 თებერვალს მხარისათვის გადასაცემად ჩაბარდა ს.ციბაძეს, ხოლო ამავე წლის 20 თებერვალს - ა. ხ-მეს ვ. პ-მისათვის გადასაცემად.

სს «სილვიმპექსჯორჯიასა» და სს «კოლხური აბრეშუმის» გაკოტრების მმართველმა, ხარვეზის გამოსწორების მიზნით, განცხადებით სააპელაციო სასამართლოს მიმართა 2008 წლის 28 თებერვალს.

2008 წლის 5 მარტის განჩინებით სააპელაციო სასამართლომ ხარვეზის შევსების ვადა აითვალა 2008 წლის 20 თებერვლიდან და მითითებული სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «სილვიმპექსჯორჯიასა» და სს «კოლხური აბრეშუმის» გაკოტრების მმართველის წარმომადგენელ ვ. პ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ ხარვეზის გამოსწორების ვადა 2008 წლის 20 თებერვლიდან მართებულად აითვალა, ვინაიდან აღნიშნულ დროს სასამართლო გზავნილი ჩაბარდა ვ. პ-მის მიერ მითითებულ მისამართზე მყოფ პირს - ა. ხ-მეს, რასაც თავად მხარეც ადასტურებს და სადავოდ არ ხდის. ამასთან, ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ ა. ხ-მემ ზემოხსენებული ხარვეზის განჩინება მას 2008 წლის 28 თებერვალს გადასცა, რადგან აღნიშნული გარემოება საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს და მხარის მიერ სათანადოდ დადასტურებული არ არის.

აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის ზემოხსენებული არგუმენტის გაზიარების შემთხვევაშიც მითითებული გარემოება სადავო სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის საფუძველი ვერ გახდება, რადგან აპელატს ხსენებული განჩინებით განსაზღვრული ხარვეზი არ გამოუსწორებია, რაც გულისხმობდა სათანადო ფორმითა და საფუძვლების დაცვით შედგენილი სააპელაციო საჩივრის, ასევე სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის წარმოდგენას.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება ასევე ის გარემოებაც, რომ სს «სილვიმპექსჯორჯიასა» და სს «კოლხური აბრეშუმის» გაკოტრების მმართველის სააპელაციო საჩივარი დაეწერა მოსამართლე ლ. შ-ულს, რომელმაც დაუდგინდა მას ხარვეზი, ხოლო განუხილველად სააპელაციო საჩივარი დატოვა მოსამართლე თ. ს-მემ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს ისეთ ნორმას, რომლითაც აკრძალულია, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობასა და საფუძვლიანობაზე იმსჯელოს სხვადასხვა სასამართლო შემადგენლობამ.

განსახილველ კერძო საჩივარს დაერთო სახელმწიფო ბაჟის - 150 ლარის გადახდის ქვითარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა 50 ლარს შეადგენს, ამდენად, სს «სილკიმპექსჯორჯიასა» და სს «კოლხური აბრეშუმის» გაკოტრების მმართველ მ. წ-ელს უნდა დაუბრუნდეს ვ. პ-ძის მიერ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

სს «სილკიმპექსჯორჯიასა» და სს «კოლხური აბრეშუმის» გაკოტრების მმართველის წარმომადგენელ ვ. პ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

სს «სილკიმპექსჯორჯიასა» და სს «კოლხური აბრეშუმის» გაკოტრების მმართველ მ. წ-ელს დაუბრუნდეს ვ. პ-ძის მიერ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 100 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-115-393-08 25 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი**

დავის საგანი: ~~სესხის ხელშეკრულების შესრულება და ზიანის ანაზღაურება~~

აღწერილობითი ნაწილი:

საკრედიტო კავშირმა „იმედმა» 2004 წლის 29 აპრილს სარჩელით მიმართა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს შპს „ნაცარას» დირექტორ თ. ნ-შვილის მიმართ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელე განმარტავს, რომ 2000 წლის 24 მაისს შპს „ნაცარას» დირექტორის - თ. ნ-შვილის განცხადების საფუძველზე, რომელიც მეცხოველეობის ფერმის განვითარებისათვის ითხოვდა სესხს, საკრედიტო კავშირმა „იმედმა» გამოყო და გასცა სესხის სახით 8000 ლარი. საპროცენტო განაკვეთი მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა 3%-ით, სესხის ვადა განისაზღვრა 10 თვით. შპს „ნაცარას» დირექტორმა თ. ნ-შვილმა სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად საკრედიტო კავშირთან დადო გირაოს ხელშეკრულება და სესხის დაბრუნების გარანტიად ჩადო მის მიერ პრივატიზებული ფერმა, რომელიც მხარეთა შეთანხმებით შეფასდა 40 000 ლარად.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ სესხისა და გირაოს ხელშეკრულების თანახმად, სესხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, საკრედიტო კავშირს მიენიჭა დაგირავებული ქონების გაყიდვის უფლება, მოპასუხემ სესხის მხოლოდ პროცენტი დაფარა, ისიც - არასრულყოფილად, მოსარჩელის მრავალჯერადი მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხე თავს არიდებდა სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რამაც გაკოტრებამდე მიიყვანა საკრედიტო კავშირი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ქონების დაყადაღდება, სესხის - 8000 ლარისა და პროცენტის გადაუხდელობით გამოწვეული ზარალის - 6113 ლარის, სულ - 14133 ლარის გადახდა.

2004 წლის 28 სექტემბრის განჩინებით სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ შეაჩერა საქმის წარმოება და მასალები სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად გადაეცა რაიონულ პროკურატურას.

2006 წლის 28 ნოემბრის განჩინებით განახლდა საქმის წარმოება.

საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ჩაება ვ. პ-მე, რომელმაც მოითხოვა საკრედიტო კავშირ „იმედის» სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება და შპს „ნაცარამი» თ. ნ-შვილის წილი ქონებიდან.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით საკრედიტო კავშირ „იმედის» სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ნაცარას» დირექტორს თ. ნ-შვილს დაე-

კისრა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 8000 ლარისა და სესხის პროცენტის გადაუხდელობით გამოწვეული ზარალის - 13,313 ლარის, ე.ი. სულ 21,313 ლარის გადახდა საკრედიტო კავშირ „იმედის“ სასარგებლოდ, დაკმაყოფილდა ც. კ-მის მოთხოვნა და თ. ნ-შვილის მიმართ დაკისრებული თანხის გადახდა განისაზღვრა შპს „ნაცარაში“ მისი წილი ქონებიდან; თ. ნ-შვილს ც. კ-მის სასარგებოდ დაეკისრა 58,284 ლარის გადახდა მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

დაუსრულებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა თ. ნ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ვანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის განჩინებით თ. ნ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება და დაუსრულებელი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ნ-შვილმა და მათი გაუქმება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 იანვრის განჩინებით თ. ნ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. ნ-შვილმა. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ნოემბრის ხარვეზის განჩინება მას ჩაჰბარდა გვიან, კერძოდ, 2007 წლის 19 დეკემბერს. მან კი სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა 2007 წლის 28 დეკემბერს. აქედან გამომდინარე, მას არ დაურღვევია სახელმწიფო ბაჟის გადახდისთვის სამართლოს მიერ მიცემული 10-დღიანი ვადა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ თ. ნ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 26 ნოემბრის განჩინებით თ. ნ-შვილის სააპელაციო საჩივარი მიიჩნია ხარვეზიანად სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო. მას ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 10-დღიანი ვადა მხარისათვის განჩინების ასლის ჩაბარების დღიდან.

თ. ნ-შვილს განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2007 წლის 13 დეკემბერს, მაგრამ აპელანტმა სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეავსო, არ გადაიხადა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟი, კერძოდ, მას სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოედგინა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, ე.ი. 2007 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით. თ. ნ-შვილმა კი სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა 2007 წლის 28 დეკემბერს. ვინაიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული, სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი თ. ნ-შვილმა დაგვიანებით წარმოადგინა, ითვლება, რომ საპროცესო მოქმედება არ შესრულებულა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა არ შეავსო ხარვეზი განჩინებით განსაზღვრულ ვადაში და ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი და განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

თ. ნ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 იანვრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

ას-422-666-08 30 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ყ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ა-შვილის მიმართ ზიანის - 1500 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2001 წლის 18 აგვისტოს თიანეთის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე ი. ა-შვილის დავალებით მოსარჩელის სახლის მიმდებარე არხში დამონტაჟდა 30 მმ სიგანის მილი, რომლის გაუმართაობის გამო დაიტბორა ზ. ყ-შვილის ეზო და სარდაფი, დაუზიანდა პროდუქტი. მოსარჩელემ არაერთგზის უშედეგოდ მიმართა მოპასუხეს ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით ზ. ყ-შვილის სააპელაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა ხარვეზიანად და აპელანტს დაევა 10 დღის ვადაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» და «ვ» ქვეპუნქტების, მეორე ნაწილის, ასევე 177-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ნიმუშის დაცვით შედგენილი სააპელაციო საჩივრის წარდგენა.

ხარვეზის განჩინება აპელანტს ჩაჰბარდა და მან, ხარვეზის გამოსწორების მიზნით, სააპელაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილით და მიიჩნია, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია, ვინაიდან მხარის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი კანონის დანაწესს არ პასუხობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ზ. ყ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა იმ საფუძველით, რომ მან სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ხარვეზი გამოასწორა და სასამართლომ შესაბამისი კანონის ნორმა არ გამოიყენა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით ზ. ყ-შვილის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა 10-დღიანი ვადა მის გამოსასწორებლად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» და «ვ» ქვეპუნქტების, მეორე ნაწილის, ასევე 177-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ნიმუშის დაცვით შედგენილი სააპელაციო საჩივრის წარსადგენად.

სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში აპელანტმა წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა. ამასთან, აღნიშნული სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა დაბეჭდილი სახით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ნიმუშის დაცვის გარეშე.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 მარტის განჩინებით ზ. ყ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ყ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად იხელმძღვანელა კანონის ზემოხსენებული ნორმით, როდესაც ზ. ყ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში აპელანტს ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებაში დასახელებული მითითებები არ შეუსრულებია და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» და «ვ» ქვეპუნქტების, ასევე, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნათა მიხედვით შედგენილი სააპელაციო საჩივარი სასამართლოსათვის არ წარუდგენია. რაც შეეხება ხარვეზის გამოსწორების მიზნით ზ. ყ-შვილის მიერ წარდგენილ სააპელაციო საჩივარს, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას და მიიჩნევს, რომ იგი კანონით გათვალისწინებული ფორმითა და საფუძვლებით შეტანილი არ არის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. ყ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-589-816-08 10 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ლ-შვილმა სარჩელით მიმართა ქობულეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აჭარის სააღსრულებო ბიუროსა და ც. კ-შვილის მიმართ და მოითხოვა მოვალის ქონების აღწერისა და დაყადაღების სიიდან მისი კუთვნილი ნივთების ამორიცხვა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით ს. ლ-შვილის სარჩელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აჭარის სააღსრულებო ბიუროსა და ც. კ-შვილის მიმართ ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა მოცემულ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შეჩერებულ იქნა სადავო ყადაღადადებულ ქონებაზე აღსრულება და აღნიშნულ ქონებაზე განახლდა აღსრულება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ლ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 მაისის განჩინებით ს. ლ-შვილს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაევალი განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინებით, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ს. ლ-შვილმა განჩინების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების მოთხოვნით იმ მოტივით, რომ მან ბაჟი დროულად

გადაიხადა, მაგრამ იმის გამო, რომ ცხოვრობს ქობულეთის რაიონის შორეულ სოფელში თავად ვერ შეძლო გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა სასამართლოში და გამოატანა სამარშრუტო ავტობუსის მძღოლს, რომელმაც მისთვის დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მიიტანა იგი სასამართლომდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ს. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილზე. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 მაისის განჩინებით ს. ლ-შვილს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა.

ასევე დადგენილია, რომ აღნიშნული განჩინების ასლი ს. ლ-შვილსა და მის წარმომადგენელ კ. ნ-ძეს გაეგზავნათ და ჩაჰბარდათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, აპელანტ - ს. ლ-შვილს ჩაჰბარდა 2008 წლის 8 მაისს, ხოლო მის წარმომადგენელს - 2008 წლის 12 მაისს, შესაბამისად, განჩინების შევსების ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების თანახმად, იყო 2008 წლის 15 მაისი. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ს. ლ-შვილმა ხარვეზი არ გამოასწორა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ რომ მან ბაჟი დროულად გადაიხადა, მაგრამ, იმის გამო, რომ ცხოვრობს ქობულეთის რაიონის შორეულ სოფელში თავად ვერ შეძლო გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა სასამართლოს და გამოატანა სამარშრუტო ავტობუსის მძღოლს, რომელმაც მისთვის დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მიიტანა იგი სასამართლომდე, შესაბამისად, ს. ლ-შვილმა მოითხოვა, დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობა სასამართლოს საპატიოდ მიეჩნია, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან აპელანტს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი სააპელაციო სასამართლოში არ წარუდგენია სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. ამასთან, ს. ლ-შვილს ჰყავდა წარმომადგენელი და თუ თავად ვერ შეძლებდა წარმოედგინა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითარი, აღნიშნული შეეძლო მის წარმომადგენელს გაეკეთებინა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ს. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინება;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ი. გ-მე-გ-მის მოთხოვნა სამედიცინო განყოფილების მიერ მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შპს „ქობულეთის სამშობიარო სახლს» მოსარჩელე ი. გ-მე-გ-მის» მიმართ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ქობულეთის სამშობიარო სახლმა» და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის არ დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მაისის განჩინებით შპს «ქობულეთის სამშობიარო სახლის» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტს შპს „ქობულეთის სამშობიარო სახლს» ხარვეზის განჩინება გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით 2008 წლის 11 თებერვალს, რომლის თანახმადაც, აპელანტს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდა 2008 წლის 18 თებერვლამდე. აპელანტმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეავსო.

ზემოაღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ვ-მემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული გარემოება, რომ «სამშობიარო სახლს» ხარვეზის განჩინება გაეგზავნა და ჩაჰბარდა 2007 წლის 11 თებერვალს, არ შეიძლება მომხდარიყო, რადგანაც მათ მიერ გასაჩივრებულ იქნა 2007 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება. მათ განჩინება ხარვეზის შევსების თაობაზე მიიღეს არა 2007 წლის 11 თებერვალს, არამედ 2008 წლის 11 თებერვალს და 2008 წლის 13 თებერვალს „ქობულეთის სამშობიარო სახლის» სახელით სახელმწიფო ხაზინის ბანკში ქობულეთის რ-ში, შეიტანეს თანხა 150 ლარის ოდენობით. აღნიშნულზე ბანკის მიერ გაცემული ქვითარი მათთვის გაუგებარი მიზეზების გამო აღმოჩნდა დაწესებულების ბუღალტერთან. ქვითარის გადაგზავნის საკითხი, როგორც ტექნიკური მხარე გამორჩათ მხედველობიდან. მათ ხელთ აქვთ ბაჟის გადახდის ქვითარი 2008 წლის 13 თებერვლის თარიღით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს, საქმის მასალებს და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ნოემბრის განჩინებით შპს «ქობულეთის სამშობიარო სახლის» სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნული განჩინება აპელანტს ჩაჰბარდა 2008 წლის 11 თებერვალს მხარეს ხარვეზი არ გამოუსწორებია დადგენილ ვადაში, რის გამოც სააპელაციო პალატამ 2008 წლის 5 მაისის განჩინებით შპს «ქობულეთის სამშობიარო სახლის» სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი

პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადასაც უნიშნავს, ხოლო, 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე და საქმეზე დადგენილი გარემოებების შესაბამისად, შპს «ქობულეთის სამშობიარო სახლის» მხრიდან ხარვეზის დროულად შეუვსებლობა წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2008 წლის 13 თებერვალს „ქობულეთის სამშობიარო სახლის» სახელით სახელმწიფო ხაზინის ბანკში ქობულეთის რაიონში შეიტანეს თანხა 150 ლარის ოდენობით და ბანკის მიერ გაცემული ქვითარი მათთვის გაუგებარი მიზეზების გამო აღმოჩნდა დაწესებულების ბუღალტერთან, ქვითარის გადაგზავნის საკითხი, როგორც ტექნიკური მხარე გამორჩათ მხედველობიდან. აღნიშნულს საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან ხარვეზის განჩინების

დადგენილებით ნაწილში მხარეს დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინა სასამართლოში, რაც არ მომხდარა, შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება არ შეიძლება გახდეს სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის განჩინების გაუქმების და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს «ქობულეთის სამშობიარო სახლის» დირექტორის - ნ. ვ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მაისის განჩინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-526-759-08 23 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: პატივისა და ღირსების გამო მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. ლ-ძემ მოპასუხეების ვ. ა-შვილის და ნ. ა-ძის მიმართ და მოითხოვა პატივისა და ღირსების შელახვის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის გადაწყვეტილებით ლ. ლ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ლ. ლ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მაისის განჩინებით ლ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატა 2008 წლის 1 აპრილის განჩინებით დაუდგინა ხარვეზი, ვინაიდან მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ იყო წარდგენილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177.2 მუხლით დადგენილი წესით. პალატის 2008 წლის 29 აპრილის განჩინებით ლ. ლ-ძეს დამატებით მიეცა 7 დღის ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

მხარის მიერ სრულად არ იქნა გამოსწორებული ხარვეზი, რის გამოც პალატამ ლ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ. ლ-ძემ და მოითხოვა აღნიშნული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო ლ. ლ-ძის კერძო საჩივარს და თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 მაისის განჩინებით ლ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. ამავე კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ სარჩელი (განცხადება) შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით და უნდა

პასუხობდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს მითითებას გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს, და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ლ. ლ-მის მიერ სრულად არ იქნა შევსებული სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი, ხოლო მის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი შინაარსობრივად არ შეესაბამებოდა ზემოთმითითებულ ნორმათა მოთხოვნებს, რაც სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

რაც შეეხება კერძო საჩივარს, მხარე კერძო საჩივარში არ მიუთითებს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების მოტივებზე და ვერ ასაბუთებს ისეთი საპატიო გარემოებების არსებობას, რამაც განაპირობა ხარვეზი სრულად შეუვსებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას და მიაჩნია, რომ ლ. ლ-მემ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საპროცესო მოთხოვნები, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძველია.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ლ. ლ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

ას-868-1082-08 3 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. კ-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ინდივიდუალური მეწარმე «მ. გ-ანის» მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძველებით: 2006 წლის 5 ივლისს მოსარჩელემ კუთვნილი ავტომანქანა გააჩერა მოპასუხის ავტოსადგომზე. მომდევნო დღეს აღმოჩნდა, რომ მ. კ-იანის ავტომანქანა მოპარულია, რაზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მოსარჩელემ არაერთხელ უშედეგოდ მიმართა მოპასუხეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ დასაბუთებით, რომ აღნიშნულ ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის წარმოება არ დასრულებულა. ამასთან, მოსარჩელის ავტომანქანა ავტოსადგომის დარაჯის ჟურნალში არ დარეგისტრირებულა და მ. კ-იანს არც სადგომის ღირებულება არ გადაუხდია, რის გამოც მოპასუხე თავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით მ. კ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა - მ. გ-ანს მის სასარგებლოდ დაეკისრა 15 300 ლარისა და მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 459 ლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივლისის განჩინებით მ. გ-ანის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის - 612 ლარის ჩარიცხვის ქვითრის სასამართლოსათვის წარმოდგენა. საფოსტო გზავნილის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების

ასლი 2008 წლის 10 ივლისს მ.გ-ანს ჩაჰბარდა, თუმცა მხარეს ხარვეზი არ გამოუსწორებია. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 59-ე, 63-ე, 374-ე მუხლებით და ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. გ-ანმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა იმ საფუძველით, რომ აპელანტს ხარვეზის შევსების ვადა ჰქონდა 2008 წლის 21 ივლისამდე. ამავე წლის 19 ივლისს მ. გ-ანმა სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა, თუმცა მისთვის ცნობილი არ იყო, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი სასამართლოში უნდა წარედგინა.

კერძო საჩივარს დაერთო 2008 წლის 19 ივლისს სახელმწიფო ბაჟის - 612 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

მოცემული საქმის მასალებით ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის განჩინებით მ. გ-ანის სააპელაციო საჩივარი ცნობილ იქნა ხარვეზიანად და აპელანტს დაევალა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის - 612 ლარის გადახდის ქვითრის სასამართლოსათვის წარდგენა.

საქმეში წარმოდგენილი საფოსტო მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, ხარვეზის დადგენის თაობაზე სასამართლოს განჩინება აპელანტს ჩაჰბარდა 2008 წლის 10 ივლისს, თუმცა მ. გ-ანს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-ანის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს მოცემული მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

მოცემულ შემთხვევაში მ. გ-ანს არც სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში და არც შემდგომ ხარვეზის გამოსწორების მიზნით სასამართლოსათვის არ მიუმართავს, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველი.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის ავტორების მოსაზრება, რომ მან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში - 2008 წლის 19 ივლისს სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა, თუმცა არ იცოდა, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითარი სააპელაციო პალატისათვის უნდა წარედგინა.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის ხარვეზის განსაზღვრის თაობაზე განჩინების სარეზოლუციო ნაწილით აპელანტს გარკვევით განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ევალეზობდა სახელმწიფო ბაჟის - 612 ლარის გადახდის ქვითრის სასამართლოსათვის წარდგენა, რაც აპელანტს არ განუხორციელებია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონის მე-6 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, მ. გ-ანს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს შ. ჩ-უას მიერ 2008 წლის 19 ივლისს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 612 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. გ-ანის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

მ. გ-ანს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს შ. ჩ-უას მიერ 2008 წლის 19 ივლისს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 612 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობა

განჩინება

#ას-651-873-08

7 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილებით გ. ი-ოვას სარჩელი მ. ნ-იანისა და ზ. ჯ-ოვას მიმართ თანამესაკუთრედ ცნობისა და შვილებთან ერთად ბინაში შესახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელე გ. ი-ოვამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. გ. ი-ოვამ სააპელაციო საჩივარს დაურთო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა და ითხოვა სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის განჩინებით გ. ი-ოვას, სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად, დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში 400 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის ან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტის მიხედვით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ იგი იღებდა საარსებო შემწეობას.

აღნიშნული განჩინების ასლი კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა და ჩაჰბარდა, როგორც გ. ი-ოვას, ისე - მის წარმომადგენლებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო 2008 წლის 2 ივლისის განჩინებით, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუსვებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, რომელზეც კერძო საჩივარი შეიტანა გ. ი-ოვას წარმომადგენელმა ი. ა-იამ განჩინების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადააგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ გ. ი-ოვას წარმომადგენელ ი. ა-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილზე. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. ი-ოვას, სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში 400 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტის მიხედვით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ აპელანტი იღებდა საარსებო შემწეობას.

ასევე დადგენილია, რომ აღნიშნული განჩინების ასლი გ. ი-ოვასა და მის წარმომადგენლებს გაეგზავნათ და ჩაჰბარდათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, გ. ი-ოვას ჩაჰბარდა 2008 წლის 23 ივნისს, მის წარმომადგენელ ვ. კ-შვილს 2008 წლის 16 ივნისს, ხოლო ი. ა-იას - 2008 წლის 2 ივლისს. ხარვეზის შევსების ვადის ათვლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დაიწყო ვ. კ-შვილისათვის განჩინების ჩაბარებიდან მეორე დღეს და, შესაბამისად, ხარვეზის შევსების ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების თანახმად, იყო 2008 წლის 26 ივნისი. გ. ი-

ოვამ ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ გამოასწორა. მან 2008 წლის 30 ივნისს, ვადის გასვლის შემდგომ, განცხადებით მიმართა სასამართლოს და წარმოადგინა სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა, თუმცა რაიმე დოკუმენტი იმის დასადასტურებლად, რომ იღებდა საარსებო შემწეობას არ წარმოუდგენია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების უფლება გაქარწყვლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

გ. ი-ოვას წარმომადგენელი ი. ა-ია კერძო საჩივარში განმარტავს, რომ სასამართლომ არასწორად დაიწყო განჩინების ჩაბარების თარიღის ათვლა, ვინაიდან ვ. კ-შვილს საერთოდ არ ჩაბარებია განჩინება კანონის მოთხოვნათა დაცვით და ამასთან, იგი გ. ი-ოვას წარმომადგენლობას აღარ ახორციელებდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარების დროის ათვლა უნდა დაეწყო თავად გ. ი-ოვასათვის განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან, ანუ 2008 წლის 23 ივნისიდან.

აღნიშნულ განმარტებას საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად ვერ მიიჩნევს, ვინაიდან გ. ი-ოვა სააპელაციო საჩივარში საკონტაქტო პირად თავადვე უთითებდა ვ. კ-შვილს და ამასთან, საქმეში არსებული ნოტარიულად დამოწმებული რწმუნებულების თანახმად, ვ. კ-შვილი განჩინების მიღებისა და გაგზავნის დროისთვის ახორციელებდა გ. ი-ოვას წარმომადგენლობას. საქმეში არ მოიპოვება რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ ვ. კ-შვილს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის მიხედვით შეწყვეტილი ჰქონდა წარმომადგენლის უფლებამოსილება, და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლით გათვალისწინებული წარმომადგენლის საქმიანობის შეზღუდვის საფუძველები განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს. გარდა ამისა, საფოსტო შეტყობინებით დასტურდება, რომ ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი ვ. კ-შვილის მეუღლეს ჩააბარდა და, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გზავნილი ვ. კ-შვილისათვის ჩაბარებულად ითვლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო კერძო საჩივარი უსაფუძვლო და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ი-ოვას წარმომადგენელ ი. ა-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივლისის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობა

განჩინება

#ას-739-955-08 10 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: მოძრავი ნივთების მიკუთვნება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 18 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით, ხოლო მოგვიანებით დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა შ. ტ-მემ მოპასუხეების - შ. და ქ. ც-ავების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სამოქალაქო კოდექსის 1452-ე, 1469-ე მუხლების საფუძველზე თბილისში, ... ქ. #25-ში, ბინა 35-ში მდებარე მოძრავი ქონების

გაყოფა მასა და მოპასუხეებს, როგორც გარდაცვლილი შ. ტ-ძის მემკვიდრეებს შორის, ასევე, სამკვიდრო ქონების (მოძრავი ნივთების) 1/2-ზე მესაკუთრედ ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით შ. ტ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - შ. ტ-ძე ცნობილ იქნა შ. ტ-ძის სამკვიდრო ქონების: ძველებური, XIX საუკუნის ფრანგული ავეჯის (11 ნაჭრის), სვანური მაშხვის სკამის, სარკის (ზომით 3X1.4), ნახატების: «ბუნება», «მდინარის პირი», «ზამთრის ტბა», ძველი გერმანული თიხის «კრუშონიცის» თიხის თევზით, არაბული კაბინეტის (2 ნაჭრის), 2 ცალი გარდნერის ფაიფურის «ბლუდის», პატარა ბროლის სახილე ვერცხლით, ვერცხლის კოვზების (15 ცალის), 6-კაციანი ინგლისური სერვიზი (ფაიენსი), ძველებური ფერადი მინის, 40 ცალი ჭიქის (რუსული და ვენეციური), «კრუშონიცა» ბროლის 12 ჭიქით და კოვზით (ჩეხური), ვიდეოკამერის ფეხით (პანასონიკი), ტელევიზორის ვიდეოთი (პანასონიკი), სადილის ჩეხური სერვიზის, 1/2-ის მესაკუთრედ, შ. ტ-ძის სარჩელი ნივთების გაყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შ. ტ-ძემ და შ. ც-ავმა, რომელთაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის განჩინებით შ. ტ-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განჩინებით შ. ც-ავის სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა ხარვეზის შეუვსებლობის მოტივით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შ. ც-ავმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის მიღების სტადიიდან განსახილველად საქმის თბილისის სააპელაციო სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მას 2 ივლისს ჩაჰბარდა განჩინება, რომლითაც ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული იყო 15 დღე, შესაბამისად, 17 ივლისს გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი კი ჩააბარა საპროცესო ვადის დაცვით თბილისის სააპელაციო სასამართლოს მისაღებს ნომრით #2/4508. მიუხედავად ამისა, 2008 წლის 23 ივლისს მან მაინც მიიღო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ამავე წლის 16 ივლისის განჩინება. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტში მითითებულ ციფრს «15» აშკარად ეტყობოდა მარკერით გადაკეთების კვალი, ამასთან, მისთვის გაურკვეველია, თუ რა წერია თეთრად გადაღებული გრაფების ქვეშ. გარდა ამისა, თავად კერძო საჩივრის ავტორის მისამართი კონვერტზე იყო გადაკეთებული და შემდგომ სწორი მისამართი იყო დაწერილი. კერძო საჩივრის ავტორი ასევე შუამდგომლობს ექსპერტიზის დანიშვნას იმის გასარკვევად, თუ ვის მიერ იქნა განჩინებასა და კონვერტზე მონაცემები გადაკეთებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შ. ც-ავის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ივნისის განჩინებით შ. ც-ავს განესაზღვრა სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად 10 დღის ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან. აღნიშნული განჩინება შ. ც-ავს პირადად ჩაჰბარდა 2 ივლისს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის შესაბამისად, დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა 14 ივლისს ამოიწურა. დროის ამ მონაკვეთში აპელანტს ხარვეზი არ შეუვსია და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სააპელაციო სასამართლოსთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განჩინებით შ. ც-ავის სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლისა და 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით იქნა განუხილველად დატოვებული.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 ივლისის განჩინებით ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული იყო 15 დღე და რადგან 2 ივლისს ჩაჰბარდა განჩინება, 17 ივლისამდე ჰქონდა ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტში ხარვეზის ვადის აღმნიშვნელ ციფრს «15» აშკარად ეტყობა მარკერით გადაკეთების კვალი განჩინების იმ ეგზემპლარზე, რომელიც თავად შ. ც-ავის მიერ წარდგენილ კერძო საჩივარს ერთვის დანართის სახით, ხოლო საქმეში არსებულ განჩინების დედანში მითითებულია 10 დღეზე ყოველგვარი გადასწორების გარეშე. აღნიშნულის გამო საკასაციო სასამართლო სარწმუნოდ ვერ მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ მისთვის ჩაბარებული განჩინების ასლზე სარეზოლუციო ნაწილში ტექსტი გადასწორებული იყო. ამასთან, ის გარემოება, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ განჩინების ასლზე ხარვეზის ვადის აღმნიშვნელი ციფრი გადასწორებულია, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ შ. ც-ავს განჩინება სწორედ აღნიშნული და არა საქმეში არსებული სახით (გადასწორების

გარეშე) ჩაჰბარდა. ასეთ ვითარებაში კერძო საჩივრის ავტორის შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ საფუძველს მოკლებულია.

საფოსტო კონვერტზე შ. ც-ავის რეკვიზიტის (საცხოვრებელი ბინის მისამართი) გადასწორება, როგორც ამაზე კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, ასევე ვერ ასაბუთებს იმ გარემოებას, რომ ამ უკანასკნელისათვის ჩაბარებული განჩინების ასლზე სარეზოლუციო ნაწილში ხარვეზის ვადის აღმნიშვნელი ციფრი იყო გადასწორებული. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორი ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ასლის მისთვის ჩაბარებას სადავოდ არ ხდის, რის გამოც მისთვის გაგზავნილ საფოსტო კონვერტზე არსებული მისამართის გადასწორება მოცემული დავის შედეგზე გავლენას ვერ მოახდენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შ. ც-ავის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-926-1133-08 12 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ნივთების დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 8 მაისს მ. ც-შვილმა და მისმა წარმომადგენელმა ზ. ც-ძემ ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრეს ა. ე-ძის მიმართ და მოითხოვეს ოქროს სამკაულების დაბრუნება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ც-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა მ. ც-შვილის წარმომადგენელმა ზ. ც-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინებით მ. ც-შვილის წარმომადგენლის ზ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებაზე ხარვეზის შეუვსებლობის გამო დარჩა განუხილველი.

პალატამ მიიჩნია, რომ 2008 წლის 1 აგვისტოს ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი აპელანტს და მის წარმომადგენელს გაეგზავნათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ზ. ც-ძეს და მ. ც-შვილს განჩინების ასლი ჩაჰბარდათ 2008 წლის 5 აგვისტოს, აღნიშნულს ადასტურებს საქმეში არსებული ჩაბარების დასტურები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა მ. ც-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით მათ მიერ 2008 წლის 9 აგვისტოს სრულად შეავსეს ხარვეზი და გადაიხადეს სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით. რაც გარკვეულ მიზეზთა გამო დროულად ვერ იქნა წარმოდგენილი სააპელაციო სასამართლოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო კერძო საჩივარს და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 1 აგვისტოს განჩინებით აპელანტს სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად განესაზღვრა 7-დღიანი ვადა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან. ზემოაღნიშნული განჩინების ასლი გაეგზავნა და ჩააბარდა კანონით დადგენილი წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინებით მ. ც-შვილის წარმომადგენლის ზ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარზე ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. ამავე კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად კი, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე და საქმეზე დადგენილი გარემოებების შესაბამისად, მ. ც-შვილის მხრიდან ხარვეზის დროულად შეუვსებლობა წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას, რომ მათ მიერ 2008 წლის 9 აგვისტოს სრულად შეავსო ხარვეზი და გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით. ხოლო ბანკის მიერ გაცემული ქვითარი გარკვეული მიზეზის გამო დროულად ვერ იქნა წარდგენილი სააპელაციო სასამართლოში. აღნიშნულს საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მხარემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, შესაბამისად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ამდენად საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარზე დართული მტკიცებულება არ შეიძლება ჩაითვალოს მხარის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის საპატიო მიზეზად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი მ. ც-შვილის სააპელაციო საჩივარი და, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ც-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-759-975-08

28 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 თებერვლის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს «საქართველოს ბანკის» სარჩელი მ. და უ. ქ-შვილების მიმართ საკრედიტო ხელშეკრულების მოშლის, მსესხებელზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაკისრებისა და იპოთეთ დატვირთული და დაგირავებული უძრავ-მოძრავი ქონების იძულებითი რეალიზაციის თაობაზე დაკმაყოფილდა, გაუქმდა ინდივიდუალური მეწარმე მ. ქ-შვილსა და სს «საქართველოს ბანკს» შორის 2005 წლის 15 სექტემბერსა და 21 ოქტომბერს გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებები, მ. ქ-

შვილს სს «საქართველოს ბანკის» სასარგებლოდ დაეკისრა 48 978 ლარის გადახდა, საკრედიტო დავალიანების დაფარვის მიზნით, დადგინდა მ. ქ-შვილისა და უ. ქ-შვილის კუთვნილი იპოთეკითა და გირაოთი დატვირთული უძრავ-მოძრავი ქონების იძულებითი რეალიზაცია.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს მ. და უ. ქ-შვილებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინებით მ. და უ. ქ-შვილებს სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად დაევალიათ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში 1959,12 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა.

აღნიშნული განჩინების ასლი კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა და ჩაჰბარდათ აპელანტებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინებით, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუსვებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, რომელზეც კერძო საჩივარი შეიტანეს მ. და უ. ქ-შვილებმა და მოითხოვეს განჩინების გაუქმება და საქმის განხილვის განახლება შემდეგი საფუძველით: კერძო საჩივრის ავტორთა განმარტებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე ბაჟის გადახდა სავალდებულო არ იყო, ვინაიდან მათ სააპელაციო საჩივარი შეიტანეს მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ითხოვეს არა საქმის არსებითი განხილვა, არამედ კანონის უხეში დარღვევით მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, შესაბამისად, მათ სახელმწიფო ბაჟი სააპელაციო საჩივარზე არ უნდა გადაეხადათ. ამასთან, აღნიშნეს, რომ განიცდიან მძიმე ეკონომიურ გაჭირვებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადააგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ მ. და უ. ქ-შვილების კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ უ. და მ. ქ-შვილებს სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად დაევალიათ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში 1959,12 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა.

ასევე დადგენილია, რომ აღნიშნული განჩინების ასლი მ. და უ. ქ-შვილებს გაეგზავნათ და ჩაჰბარდათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, მ. და უ. ქ-შვილებს ჩაჰბარდათ 2008 წლის 12 ივნისს. შესაბამისად, ხარვეზის შევსების ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების თანახმად, იყო 2008 წლის 23 ივნისი. მ. და უ. ქ-შვილებმა ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ გამოასწორეს, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, დაუშვებლობის გამო.

კერძო საჩივრის ავტორები განმარტავენ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე ბაჟის გადახდა სავალდებულო არ იყო, ვინაიდან მათ სააპელაციო საჩივარი შეიტანეს მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ითხოვეს არა საქმის არსებითი განხილვა, არამედ კანონის უხეში დარღვევით მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, შესაბამისად, მათ სახელმწიფო ბაჟი სააპელაციო საჩივარზე არ უნდა გადაეხადათ. აღნიშნულ გარემობას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო წესით (სსსკ-ის 366-ე მუხლი), რომელზეც ვრცელდება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესები. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე და 47-ე მუხლებით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუსვებლობის გამო, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილ-

ველად და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო კერძო საჩივარი უსაფუძვლო და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. და უ. ქ-შვილების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-905-1113-08 22 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: სესხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ქ-ელმა სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. ა-შვილის მიმართ სესხისა და პროცენტის - 38 118,4 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეთა შორის დაიდო ზეპირი სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა 8500 აშშ დოლარი, ყოველთვიურად 2,5%-ის დარიცხვით. რ. ა-შვილმა თანხა დროულად არ დააბრუნა, რის გამოც უნდა დაეკისროს როგორც ძირითადი თანხის, ასევე - პროცენტის გადახდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მას ი. ქ-ელის ვალი არ აქვს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ი. ქ-ელის სარჩელი დაკმაყოფილდა და რ. ა-შვილს მის სასარგებლოდ დაეკისრა 38 118,4 აშშ დოლარის გადახდა, რაც გაასაჩივრა მოპასუხემ. ამავე სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის განჩინებით რ. ა-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, რაც საჩივრის ავტორმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისის განჩინებით რ. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2008 წლის 30 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მისი გამოსწორება. 2008 წლის 23 ივნისის განცხადებით რ. ა-შვილმა მოითხოვა ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადის 5 დღით გაგრძელება, რაც ამავე პალატის 2008 წლის 26 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა და მხარეს მიეცა 14 დღის ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნული განჩინების ასლი რ. ა-შვილს 2008 წლის 2 ივლისს პირადად ჩაჰზარდა, თუმცა აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია და არც აღნიშნულის საპატიო მიზეზის შესახებ უცნობებია სასამართლოსათვის. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, 374-ე მუხლით და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე რ. ა-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის დადგენისას არ გაითვალისწინა, რომ აპელანტი არის მარტოხელა დედა, უმუშევარი და იმყოფება ნათესავის კმაყოფაზე. მას გააჩნია წილი გარკვეულ ობიექტზე, კერძოდ, რესტორანზე, თუმცა ისიც იპოთეკითაა დატვირთული და მთელი შემოსავალი ბანკს ერიცხება. აღნიშნულის გამო რ. ა-შვილს არ გააჩნია სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესაძლებლობა, თუმცა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლების შესახებ. ამასთან, სააპელაციო პალატამ სახელმწიფო ბაჟის წარსადგენად მას გონივრული ვადა არ მისცა. კერძო საჩივარს დაერთო 2008 წლის 7 აგვისტოს 2142,60 ლარის გადახდის ქვითარი.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის განჩინებით რ. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა ხარვეზიანად და მხარეს დაევალა 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის - 1524,72 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ჩარიცხვის ქვითრის წარდგენა.

2008 წლის 23 ივნისის განცხადებით რ. ა-შვილმა მოითხოვა ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადის 5 დღით გაგრძელება, რაც ამავე პალატის 2008 წლის 26 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა და მხარეს მიეცა 14 დღის ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნული განჩინების ასლი რ. ა-შვილს 2008 წლის 2 ივლისს პირადად ჩაჰზარდა, თუმცა აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია და არც რაიმე შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ა-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს მოცემული მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

მოცემულ შემთხვევაში რ. ა-შვილს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველი.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის ავტორების მოსაზრება, რომ სასამართლომ ხარვეზის სახით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრებისას არ გაითვალისწინა აპელანტის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ვინაიდან რ. ა-შვილს სათანადო მტკიცებულების წარდგენის გზით თავისი გადახდისუუნარობა არ დაუდასტურებია. ასევე დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლომ მას ხარვეზის გამოსასწორებლად გონივრული ვადა არ მისცა, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სააპელაციო პალატამ არსებული ხარვეზის შესავსებად ჯერ 10-დღიანი ვადა განუსაზღვრა მხარეს, ხოლო შემდეგ აპელანტის მიერ მოთხოვნილი 5 დღის ნაცვლად, აღნიშნული ვადა 14 დღით გაუგრძელა. ამდენად, აპელანტს სავსებით გონივრული ვადა მიეცა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად, რაც მან მხოლოდ 2008 წლის 7 აგვისტოს, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შემდეგ განახორციელა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონის მე-6 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, რ. ა-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 2142,6 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

რ. ა-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

რ. ა-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 2142,6 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-992-1192-08

22 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

სარჩელის დავის საგანი: რეპუტაციის შელახვისათვის ბოდიშის მოხდის დაკისრება, ნივთების ღირებულების ანაზღაურება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 2 ივნისს ქედის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ს. დ-მემ მოპასუხე ე. კ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან რეპუტაციის შელახვის გამო საჯაროდ ბოდიშის მოხდა და ქორწინებამდე ნაჩუქარი ნივთების დაბრუნება.

რაიონული სასამართლოს მთავარ სხდომაზე სარჩელის მეორე მოთხოვნა დაზუსტდა და საბოლოოდ ქორწინებამდე ნაჩუქარი ოქროს ნივთების დაბრუნების ნაცვლად მოთხოვნილ იქნა აღნიშნული ნივთების ღირებულების ანაზღაურება.

ქედის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით ს. დ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა - ე. კ-ძეს ს. დ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა ქორწინებამდე ნაჩუქარი ოქროს ნივთების ღირებულების - 2390 ლარის ანაზღაურება, მასვე დაევალა ს. დ-ძისათვის მორალური ზიანის მიყენებისა და რეპუტაციის შელახვის გამო ბოდიშის მოხდა აჭარის რეგიონალურ გაზეთ «მთიანეთის» მეშვეობით.

მითითებული გადაწყვეტილება ე. კ-მემ (წარმომადგენლები: რ. ბ-ძე, თ. ჭ-ძე) სააპელაციო წესით გაასაჩივრა, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ივლისის განჩინებით ე. კ-ძეს დაევალა აღნიშნული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. განჩინებით მასვე განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუსვებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

2008 წლის 4 სექტემბერს ე. კ-მემ ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და 300 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი წარადგინა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით ე. კ-ძის (წარმომადგენლები: რ. ბ-ძე, თ. ჭ-ძე) სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ე. კ-ძეს დაუბრუნდა სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ე. კ-ძეს სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების ვადა ამოწურა 2008 წლის 19 აგვისტოს, ხოლო მის წარმომადგენლებს რ. ბ-ძესა და თ. ჭ-ძეს - 2008 წლის 18 აგვისტოს. განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ აპელანტის წარმომადგენლებმა საქართველოს ფოსტის ფილიალ «აჭარის ფოსტაში» შეიტანეს 2008 წლის 4 სექტემბერს, სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის ამოწურვიდან 16 დღის დარღვევით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამავე კოდექსის 364-ე მუხლის მიხედვით, თუ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის პირობა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ ე. კ-ძესა და მის წარმომადგენლებს რ. ბ-ძესა და თ. ჭ-ძეს ხარვეზი არ შეუვსიათ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მათი სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

ზემოაღნიშნული განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ე. კ-მემ (წარმომადგენლები: გ. წ-ძე, რ. ბ-ძე, თ. ჭ-ძე), რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღება მოითხოვა. იმავდროულად, კერძო საჩივრის ავტორი შუამდგომლობს მოცემულ დავასთან დაკავშირებით გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარებას და მოწმეთა დაკითხვას.

კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, ხარვეზის დადგენის შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 ივლისის განჩინება აპელანტის წარმომადგენლებს - რ. ბ-ძესა და თ. ჭ-ძეს 2008 წლის 8 აგვისტოს ვერ ჩაჰბარებოდათ. საფოსტო კონვერტზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან აღნიშნული გზავნილის გასვლის თარიღად მითითებულია 2008 წლის 8 აგვისტო, რაც იმავე დღეს ბათუმში მცხოვრები ადრესატებისათვის მის ჩაბარებას გამოიციხავს.

გარდა ამისა, კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ საქართველოში საომარი მოქმედებების დაწყების გამო 2008 წლის 9 აგვისტოდან შეწყვეტილი საფოსტო გადაზიდვები მხოლოდ 27 აგვისტოს განახლდა, რაც ასევე გამოიციხავდა რ. ბ-ძისა და თ. ჭ-ძისათვის სასამართლო გზავნილის 2008 წლის 8 აგვისტოს ჩაბარებას. აღნიშნული მიზეზით ასაბუთებს კერძო საჩივრის ავტორი მისთვის ხარვეზის

შესახებ განჩინების ასლის 2008 წლის 9 აგვისტოს ჩაბარების შეუძლებლობას. ამასთან დაკავშირებით კერძო საჩივრის ავტორი დამატებით მიუთითებს, რომ საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინება მის ხელმოწერას არ შეიცავს და იგი გაყალბებულია, რასაც შესაბამისი კურიერიც (მისი დაკითხვის შემთხვევაში) დაადასტურებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. კ-ძის (წარმომადგენლები: გ. წ-ძე, რ. ბ-ძე, თ. ჭ-ძე) კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ივლისის განჩინება სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შევსების შესახებ აპელანტსა და მის წარმომადგენლებს გაეგზავნათ მათ მიერ მითითებულ მისამართებზე. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ ე. კ-ძეს ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 9 აგვისტოს, ხოლო წარმომადგენელთათვის საადვოკატო ბიუროს მისამართზე გაგზავნილი განჩინების ასლის ჩაბარება მოხდა 2008 წლის 8 აგვისტოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 10-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში ამოიწურა 2008 წლის 18 აგვისტოს. დროის აღნიშნულ მონაკვეთში სააპელაციო საჩივრის ხარვეზი აპელანტს არ შეუვსია, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარუდგენია.

ის გარემოება, რომ საფოსტო კონვერტზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან გზავნილის გასვლის თარიღად მითითებულია 2008 წლის 8 აგვისტო, სრულიად არ გამორიცხავს ბათუმში მყოფ ადრესატთათვის მოცემული გზავნილის იმავე დღეს, ხოლო ქედაში მყოფი ადრესატისთვის მეორე დღეს ჩაბარების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორის შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ საფუძველს მოკლებულია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ვინაიდან ე. კ-ძემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო სააპელაციო საჩივრის ხარვეზი, მითითებული ნორმის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ე. კ-ძის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ე. კ-ძის (წარმომადგენლები: გ. წ-ძე, რ. ბ-ძე, თ. ჭ-ძე) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. შეგებებული სააპელაციო საჩივარი

შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-9-295-08

26 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს «უტას» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას შპს «უტას» სასარგებლოდ დაეკისრა 330 209 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «უტამ» და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის შეგებებული სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 10-დღიანი ვადის დარღვევის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ, მოითხოვა მისი გაუქმება და შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა იმ საფუძველით, რომ კომპანიას შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 10-დღიანი ვადა არ დაურღვევია და, შესაბამისად, არ არსებობდა საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული აქვს თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ განიხილება.

სააპელაციო საჩივრის გადაცემის მომენტად ითვლება სააპელაციო საჩივრის ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ კომპანიას შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 10-დღიანი ვადა არ დაურღვევია და, შესაბამისად, არ არსებობდა საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის წარმომადგენელმა - ე. გ-მემ 2007 წლის 27 სექტემბერს განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას საქმის გაცნობისა და საქმიდან ქსეროასლების მიღების თაობაზე. 2007 წლის 28 სექტემბერს ე. გ-მე გაეცნო საქმის მასალებს და ამავე დროს ჩაჰბარდა საქმის მასალების ასლები, მათ შორის, შპს «უტას» სააპელაციო საჩივარი, ამიტომ, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის ასლის ჩაბარების თარიღად სწორად მიიჩნია 2007 წლის 28 სექტემბერი, შესაბამისად, შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეტანილია კანონით დადგენილი 10-დღიანი ვადის დარღვევით, რაც მისი დაუშვებლად ცნობისა და განუხილველად დატოვების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო კერძო საჩივარი უსაფუძველო და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

ამასთან, «საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ» საერთაშორისო ხელშეკრულების 8.1 პუნქტის თანახმად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, რის გამოც კერძო საჩივრის ავტორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინება შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;
კერძო საჩივრის ავტორს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით საქართველოს სახელმწიფო ხაზინის (კოდი: 220101222) საბიუჯეტო შემოსავლების #300773150 სახაზინო კოდით ძველი თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900 ანგარიშიდან;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შეგებებული სააპელაციო საჩივარი

განჩინება

#ას-155-424-08 7 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ჯ-მემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში მა., მე. და რ. მ-ილების მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებისათვის მატერიალური და მორალური ზიანისა და ალიმენტის გადახდის დაკისრება, ქონების დაბრუნების დავალდებულება, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და საცხოვრებელი ბინით სარგებლობის უფლების მიცემა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ჯ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც ნ. ჯ-მის წარმომადგენელმა, ასევე - მოპასუხეებმაც.

ნ. ჯ-მის წარმომადგენელმა რ. ფ-მემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

მოპასუხეებმა - მა., მე. და რ. მ-ილებმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ორივე მხარეს განჩინებით განუსაზღვრა ვადა. სააპელაციო საჩივრებზე ხარვეზის შესავსებად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ნ. ჯ-მის წარმომადგენელ რ. ფ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება მხარეს კერძო საჩივრით არ გაუსაჩივრებია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით მა., მე. და რ. მ-ილების სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში განსახილველად.

2007 წლის 29 ნოემბერს ნ. ჯ-მემ შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განჩინებით ნ. ჯ-მის შეგებებული სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან ნ. ჯ-მის სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შეუვსებლობის გამო დარჩა განუხილველად, სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში გადაწყვეტილება უკვე კანონიერ ძალაში იყო შესული და განმეორებით იმავე გადაწყვეტილების გასაჩივრება აღარ შეიძლებოდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ნ. ჯ-ძის წარმომადგენელმა - რ. ფ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა იმ საფუძველზე, რომ სააპელაციო სასამართლომ განჩინების მიღებისას არასწორად განმარტა შეგებებული სააპელაციო საჩივრის არსი და მისი პროცესუალური მნიშვნელობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადააგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ნ. ჯ-ძის წარმომადგენელ რ. ფ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 370-ე მუხლის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე სასამართლოს ან მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი ფორმით განუცხადებს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება.

მითითებული ნორმის თანახმად, სააპელაციო გასაჩივრებაზე უარის თქმა მხარის უფლებაა, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც მხარე კარგავს უფლებას გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისა, თუმცა იგი კვლავ მოიპოვებს ამ უფლებას, თუ მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც უარი არ უთქვამს გასაჩივრებაზე, შემოიტანს სააპელაციო საჩივარს შეგებებული სააპელაციო საჩივრის ფორმით კანონით დადგენილ ვადაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული აქვს თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ განიხილება.

მითითებული მუხლის თანახმად, შეგებებული სააპელაციო საჩივარი ორგანულადაა დაკავშირებული ძირითად სააპელაციო საჩივართან, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ აპელანტი უარს იტყვის თავის სააპელაციო საჩივარზე (სსკ-ის 378-ე მუხლი), მაშინ შეგებებული სააპელაციო საჩივარიც კარგავს თავის დანიშნულებას და ისიც უარყოფილ უნდა იქნეს, შესაბამისად, თუ სასამართლო ამა თუ იმ მიზეზის გამო სააპელაციო საჩივარს განუხილველად დატოვებს, მან განუხილველად უნდა დატოვოს შეგებებული სააპელაციო საჩივარიც.

თავისი ხასიათით, შეგებებული სააპელაციო საჩივარი არის ძირითადი სააპელაციო საჩივრის გამო და მის წინააღმდეგ მიმართული საჩივარი, რომლის მიზანია ამ ძირითადი სააპელაციო საჩივრის პარალიზება და გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა აპელანტის მოთხოვნა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაზე ნ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შეუფესებლობის გამო.

დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით მა., მე. და რ. მ-ილების სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში განსახილველად.

ასევე დადგენილია, რომ ნ. ჯ-ძემ, მა., მე. და რ. მ-ილების სააპელაციო საჩივრის ჩაბარებიდან კანონით დადგენილ 10-დღიან ვადაში, შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში განმარტა, რომ, ვინაიდან ნ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი, ხარვეზის შეუფესებლობის გამო დარჩა განუხილველად, სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში გადაწყვეტილება უკვე კანონიერ ძალაშია შესული და, შესაბამისად, განმეორებით იმავე გადაწყვეტილების გასაჩივრება დაუშვებელი იყო. აღნიშნულს საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, ვინაიდან, მან ხარვეზის შეუფესებლობით გაცნობიერებულად თქვა უარი თავისი სააპელაციო საჩივრის განხილვაზე, მიუხედავად იმისა, რომ ნ. ჯ-ძეს უკვე ჰქონდა წარდგენილი სააპელაციო საჩივარი. აღნიშნულით მან დაკარგა სააპელაციო წესით გადაწყვეტილების კვლავ გასაჩივრების უფლება, თუმცა არ დაუკარგავს უფლება ძირითადი სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანისა. ამრიგად, კანონით დადგენილ ვადაში შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანით, ნ. ჯ-ძემ გამოხატა თავისი, როგორც მხარის, საპროცესო უფლება. კერძოდ, მან შეგებებული სააპელაციო საჩივარი მიმართა მა., მე. და რ. მ-ილების ძირითადი სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ, აღნიშნული სააპელაციო საჩივრის პარალიზებისა და გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმების მიზნით, რომლითაც სასარჩელო მოთხოვნა აპელანტთა სასარგებლოდ გადაწყდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ნ. ჯ-ძის წარმომადგენელ რ. ფ-ძის კერძო საჩივარი დასაბუთებულია და შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან საქმე განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ჯ-ძის წარმომადგენელ რ. ფ-ძის კერძო საჩივარი დაკამყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განჩინება შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე და შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შეგებებული სააპელაციო საჩივარი

განჩინება

#ას-153-422-08

13 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: წყალსაწრეტი არხის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება

კერძო საჩივრის დავის საგანი: შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 18 იანვარს აბაშის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ჯ. კ-ავამ მოპასუხე ე. ნ-იას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის თვითნებურად გაუქმებული წყალსაწრეტი არხის აღდგენისა და 6 წლის განმავლობაში მიყენებული მატერიალური ზიანის - 4800 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, ე. ნ-იამ 1989 წელს მის საკარმიდამო მიწის ნაკვეთთან გაიყვანა წყალსაწრეტი არხი, რამაც ამოავსო ძველი არხი და განაპირობა ჯ. კ-ავას საკარმიდამო ნაკვეთის გარკვეული ნაწილის დატბორვა. დაჭაობების შედეგად 0.6 ჰა მიწის ნაკვეთი უნაყოფო გახდა. აღნიშნულის თაობაზე ჯ. კ-ავამ განცხადებით მიმართა რესპუბლიკის მიწის რესურსების და მიწის კადასტრის დეპარტამენტს და უკანონოდ გაუქმებული საერთო სარგებლობის წყალსაწრეტი არხის აღდგენა და საკარმიდამო ფართობში გაყვანილი სადრენაჟო არხის ამოვსება მოითხოვა. მიწის რეფორმის კომისიის გადაწყვეტილებით ე. ნ-იას დაევალა წყალსაწრეტი და სადრენაჟო არხების წესრიგში მოყვანა 1996 წლის ივნისამდე, მაგრამ მიწის რეფორმის კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით არაერთგზისი მიმართვის მიუხედავად, ადგილობრივმა მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებმა სათანადო რეაგირება არ მოახდინეს. დატბორილ ნაკვეთზე აღარ მოდის სიმინდი, სოიო და ლობიო, რაც მოსარჩელეს წლის განმავლობაში 805 ლარის ოდენობით ზიანს აყენებს.

აბაშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით ჯ. კ-ავას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ე. ნ-იას დაეკისრა საკარმიდამო ნაკვეთებს შორის მდებარე ჩიხში გამავალი წყალსაწრეტი არხის აღდგენა და მოსარჩელის სასარგებლოდ მიყენებული ზიანის - 296 ლარის ანაზღაურება.

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ჯ. კ-ავას საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი მდებარეობს აბაშა-მარტვილის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს. ნაკვეთს მარჯვენა მხრიდან ესაზღვრება ჩიხი, რომლის სიგრძე 90 მეტრია. ჩიხის მარჯვენა მხარეს გაყვანილია წყალგამტარი არხი, რომელიც ამოვსებულია შლამით და ვერ უზრუნველყოფს წყლის გატარებას. არხის მარჯვენა საზღვარზე მდებარეობს ე. ნ-იას კუთვნილი ღობე რკინა-ბეტონის საძირკვლით. მეზობლებს შორის დავა წყალსაწრეტი არხთან დაკავშირებით წლების წინ დაიწყო. 2004 წელს ე. ნ-იას დაევალა ჯ. კ-ავას ნაკვეთის უკან გამავალი არხის ამოვსება და ჩიხში არსებული არხის გაწმენდა. საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ჯ. კ-ავას საყანე ფართობი იტბორება და მისი ფართი 800 კვ.მ-ს შეადგენს. მიწის დატბორვა გამოწვეულია იმით, რომ ნაკვეთის გვერდით არსებულ ჩიხში მოწყობილი არხი მცირე კვეთის და სიღრმის გამო ვერ უზრუნველყოფს გრუნტის წყლების მიღებას და გატარებას.

აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩიხში არსებული არხის გაუქმების გამო დაიტბორა არა 0.6 ჰა, არამედ - 800 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ამასთან, სამი წლის მანძილზე მოსარჩელემ მიიღო 660 კგ სიმინდისა და 120 კონა ჩალის დანაკლისი, სულ - 296 ლარის ოდენობით, რომლის ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად ე. ნ-იას ეკისრებოდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ჯ. კ-ავამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ასევე ე. ნ-იამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. მოგვიანებით ჯ. კ-ავამ შეამცირა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში და საბოლოოდ მოითხოვა ე. ნ-იასათვის 1091 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრება. აპელანტმა ასევე მოითხოვა მოპასუხისათვის წყალსაწრეტი არხის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის დავალება ისე, რომ გამორიცხულიყო მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის დატბორვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ნოემბრის განჩინებით ე. ნ-იას სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული დაუშვებლობის გამო.

2007 წლის 15 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა ე. ნ-იამ, რომელმაც ჯ. კ-ავას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ჯ. კ-ავას სააპელაციო საჩივარი და ე. ნ-იას შეგებებული სააპელაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და დარჩა განუხილველი, ხოლო აბაშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ვინაიდან ჯ. კ-ავამ ზიანის ანაზღაურების ნაწილში შეამცირა მოთხოვნა და მოპასუხისათვის 1091 ლარის დაკისრება მოითხოვა, საიდანაც 296 ლარის ოდენობით ზიანის ნაწილში მისი მოთხოვნა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უკვე დაკმაყოფილებული იყო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო 795 ლარის დაუკისრებლობის კანონშესაბამისობაზე ვერ იმსჯელებდა. რაც შეეხებოდა სააპელაციო საჩივრის მეორე მოთხოვნას - არხის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას - სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ერთი მხრივ, ამ შემთხვევაში დავის საგანი გაიზარდა, რაც სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელი იყო, ხოლო მეორე მხრივ - გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა სწორედ ისე, როგორც მან თავად ჩამოაყალიბა. მხარის მიერ თავის სასაგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება კი არ დაიშვებოდა. სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის გამო შეგებებული სააპელაციო საჩივარი ასევე დაუშვებლად ცნობას ექვემდებარებოდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ე. ნ-იამ, რომელმაც შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად აბაშის რაიონული სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, 2007 წლის 8 აგვისტოს აბაშის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც წყალსაწრეტი არხის აღდგენა და 296 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება დააკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილება მან სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მაგრამ სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად იქნა დატოვებული. გადაწყვეტილებაზე ჯ. კ-ავამ ასევე შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომელზეც ე. ნ-იამ შეგებებული სააპელაციო საჩივარი წარადგინა. იმის გამო, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება 1000 ლარს არ აღემატებოდა, ამასთან, აპელანტმა გაზარდა დავის საგანი, რაც სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელი იყო, სასამართლომ განუხილველად დატოვა ჯ. კ-ავას სააპელაციო საჩივარი და შესაბამისად, მისი შეგებებული სააპელაციო საჩივარიც.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მოდავეთა სახლებს შორის არსებული ჩიხი დახრილი ფერდობია, რომელიც, სამეგრელოსათვის დამახასიათებელი ხშირი წვიმების გამო, წარმოშობს ეზობებში წყლის შესვლის საშიშროებას, მაგრამ ვინაიდან ორივე ნაკვეთი ბეტონის ღობეებით არის შემოსაზღვრული, ქუჩაში დაგროვილი წყლის ეზოში შესვლა გამორიცხულია. საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებამ ვერ უზრუნველყო საკითხის ყოველმხრივი გამოკვლევა, რის გამოც დასკვნა არასრულყოფილია, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება - არაობიექტური. უსაფუძვლოდ არ იქნა გაზიარებული მისი შუამდგომლობა კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე, ასევე, არც ერთმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის შესახებ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში სასამართლო დაეყრდნო ექსპერტის არასრულყოფილ დასკვნას, რომელშიც დატბორილი ფართობი, 80 კვ.მ-ის ნაცვლად, 800 კვ.მ-ით არის განსაზღვრული. სასამართლომ გაითვალისწინა მხოლოდ ჯ. კ-ავას ჩვენებები და იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მოსარჩელეს, თითქოსდა, დაჭაობებული ბაღიდან მიუღებელი სიმინდის მოსავლის გამო მიადგა, მას მაინც დააკისრა, მიუხედავად იმისა, რომ თავად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლზე,

რომლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა 3 წელია იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. გარდა ამისა, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი დადგა ზიანის მიმყენებლის ბრალეული ქმედების შედეგად, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამასთან, განჩინება გაუგებარია მისი სარჩელის განუხილველად დატოვების გამოც.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ნ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ჯ. კ-ავას სააპელაციო საჩივარი და ე. ნ-იას შეგებებული სააპელაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და დარჩა განუხილველი. ე. ნ-იას შეგებებული სააპელაციო საჩივრის გაუხილველად დატოვების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლის მოთხოვნით, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ განიხილება. ჯ. კ-ავას აღნიშნული განჩინება არ გაუსაჩივრებია და მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლი იმპერატიული შინაარსისაა, რაც მისი სხვაგვარი გამოყენების შესაძლებლობას არ იძლევა. აღნიშნული გამომდინარეობს თავად შეგებებული სააპელაციო საჩივრის არსიდან, რაც გამოიხატება იმაში, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივარი ორგანულადაა დაკავშირებული ძირითად სააპელაციო საჩივართან. სწორედ ამის გამო, თუკი აპელანტი უარს იტყვის ძირითად სააპელაციო საჩივარზე ან სააპელაციო სასამართლო განუხილველად დატოვებს მას, მაშინ შეგებებული სააპელაციო საჩივარი კარგავს თავის დანიშნულებას და ძირითადი სააპელაციო საჩივრის ბედს იზიარებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების გამო შეგებებული სააპელაციო საჩივრის ასევე განუხილველად დატოვების თაობაზე და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ასევე განუმარტავს კერძო საჩივრის ავტორს, რომ ამ ეტაპზე სასამართლო ვეღარ იმსჯელებს მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მართლზომიერებაზე, რამდენადაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 13 ნოემბრის განჩინება, რომლითაც ე. ნ-იას სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული ხარვეზის შეუსვებლობის გამო, ე. ნ-იას კერძო საჩივრით არ გაუსაჩივრებია და აღნიშნული განჩინება კანონიერ ძალაშია შესული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ე. ნ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეგებებული სააპელაციო საჩივარი

განჩინება

#ას-293-550-08

9 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: მესაკუთრედ აღრიცხვა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ჯ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «არგოს» და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ქ. სამტრედიაში, ... ქუჩა #6-ში მდებარე 16,92 მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობის მესაკუთრედ აღრიცხვის, უძრავი ნივთის აღდგენისათვის 6768 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის - 1000 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვ-ლებით: 1995 წლის 28 დეკემბერს მოსარჩელესა და სამტრედიის რაიონული სამმართველოს შორის დაიდო ქ. სამტრედიაში, ... ქუჩა #6-ში მდებარე საწარმო «თოლიას» სახელოსნოს შენობის ნასყიდობის ხელშეკრულება, ობიექტი გადაეცა მიღება-ჩაბარების აქტით და ი. ჯ-მე, როგორც ინდივიდუალური მეწარმე, შეუდგა საქმიანობას. 2007 წელს მოსარჩელემ მიმართა საჯარო რეესტრს სადავო უძრავი ნივთის საკუთარ სახელზე აღრიცხვის მოთხოვნით, რაზეც მიიღო უარი, ვინაიდან მიწის ნაკვეთი, რომელზეც მოსარჩელის კუთვნილი შენობა იყო აღმართული, საკუთრების უფლებით ირიცხებოდა შპს «არგოს» სახელზე. შპს «არგომ», როგორც მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ მოსარჩელის კუთვნილი შენობა მისი ნებართვის გარეშე სხვა ადგილას გადაიტანა, სადაც იგი დაიწვა და განადგურდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ქ. სამტრედიაში, ... ქუჩა #6-ში მდებარე მიწის ნაკვეთი შპს «არგოს» საკუთრებაა, რის გამოც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «არგოს» ი. ჯ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 1500 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაასაჩივრა შპს «არგომ», ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში - ი. ჯ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინებით ი. ჯ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ხოლო ამავე პალატის 12 თებერვლის განჩინებით შპს «არგოს» სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

2008 წლის 4 მარტს ი. ჯ-მემ შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის ნაწილში რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის განჩინებით ი. ჯ-მის შეგებებული სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე, 379-ე მუხლით და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი შეგებებული სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია, ვინაიდან სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება ი. ჯ-მემ უკვე გამოიყენა და მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ი. ჯ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა იმ საფუძველით, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლი. ფაქტობრივად, შპს «არგოს» სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, შესაბამისად, სასამართლოს წარმოებაში უნდა მიეღო და განეხილა ასევე ი. ჯ-მის შეგებებული სააპელაციო საჩივარიც.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე ი. ჯ-მის სააპელაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინებით დარჩა განუხილველი, რაც მხარეს არ გაუსაჩივრებია.

რაიონული სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებაზე შპს «არგოს» მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივარი კი მიღებულ იქნა წარმოებაში.

2008 წლის 4 მარტს ი. ჯ-მემ შეგებებული სარჩელით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რაც სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის განჩინებით ცნობილ იქნა დაუშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძველები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნევს, რომ ი. ჯ-მის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე და 379-ე მუხლების თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული აქვს თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ განიხილება.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებს უფლება აქვთ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეიტანონ სააპელაციო საჩივარი, ან მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ კანონით კონკრეტულად

განსაზღვრულ ვადაში მიმართონ სასამართლოს შეგებებული სააპელაციო საჩივრით. სააპელაციო და შეგებებულ სააპელაციო საჩივრებს შორის არსებობს გარკვეული განსხვავება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანა ხდება მხარის მიერ დამოუკიდებლად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე მხარის მიერ გასაჩივრების მიუხედავად და მისი განხილვაც მიმდინარეობს მოწინააღმდეგე მხარის სააპელაციო საჩივრის სამართლებრივი ბედის გაუთვალისწინებლად, მაშინ, როცა შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანა ხდება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ, მის საწინააღმდეგოდ, რაც ფაქტობრივად მიუთითებს, რომ ძირითადი სააპელაციო საჩივრის შეუტანლობისას შეგებებული სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა აღძრული არ იქნებოდა.

ცხადია, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივარი ორგანულადაა დაკავშირებული ძირითად სააპელაციო საჩივართან, რასაც ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ძირითადი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება ან მასზე უარის თქმა შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას გამოიწვევს.

ასევე, ძირითადი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეს კანონით მინიჭებული აქვს უფლება, წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი მიუხედავად იმისა, ნათქვამი აქვს თუ არა მას უარი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე. კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონი მოწინააღმდეგე მხარეს უფლებას ანიჭებს, სააპელაციო საჩივარს დაუპირისპიროს შეგებებული აპელაცია. ამდენად, შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებაზე გავლენას ვერ იქონიებს ის გარემოება, რომ მხარის მიერ შეტანილი ძირითადი სააპელაციო საჩივარი ამა თუ იმ მიზეზით დატოვებულ იქნა განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ ი.ჯ-ძის შეგებებული სააპელაციო საჩივარი არასწორად დატოვა განუხილველი იმ საფუძველზე, რომ აპელანტმა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე ძირითადი სააპელაციო საჩივრის შეტანით ამ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება უკვე გამოიყენა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ი.ჯ-ძის ძირითადი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შემდეგ, ამავე რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება კერძო საჩივრის ავტორს წარმოეშვა სააპელაციო სასამართლოს მიერ შპს «არგოს» სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საფუძველზე. ამდენად, სადავო შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანით ი.ჯ-ძემ განახორციელა თავისი კანონიერი საპროცესო უფლება, რაც გასაჩივრებული განჩინებით არასწორად იქნა შეფასებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი.ჯ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. სააპელაციო სასამართლოს მიერ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად

განჩინება

#ას-683-1013-07 10 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უპირატესი შესყიდვის უფლების აღიარება, ხელშეკრულების დადების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 2 სექტემბერს ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ო. ზ-იანმა მოპასუხეების - ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივისა და ჰ. გ-იანის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა 2004 წლის 18 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება ხორცის მაღაზიის ნასყიდობის ნაწილში, აღნიშნული მაღაზიის შესყიდვაზე მისი უპირატესი უფლების ცნობა და მოპასუხე სამომხმარებლო კოოპერატივისათვის სადავო ობიექტის ნასყიდობის ხელშეკრულების მასთან დადების დავალება.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

ო. ზ-იანი 1966 წლის 28 მარტიდან მუშაობს ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივის სხვადასხვა სექციებში გამყიდველად. 1984 წლიდან მუშაობს ხორცის მაღაზიაში. იმავდროულად, არის კოოპერატივის მეპაიე წევრი. მაღაზიით სარგებლობისათვის ყოველთვიურად იხდის 20 ლარს, რის თაობაზეც გააჩნია ქვითრები. 2003 წლის ივნის-ივლისში მიმართა ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივს აგრარული ბაზრის ხორცის რიგის შესყიდვის მოთხოვნით, მაგრამ კოოპერატივის თავმჯდომარემ აცნობა, რომ ხორცის რიგი, მათ შორის, ხორცის მაღაზია, არ ექვემდებარებოდა გაყიდვას და დაპირდა, თუ გადაწყდებოდა მაღაზიის გაყიდვის საკითხი, პირველ რიგში, მას მიჰყიდდნენ. ამის შემდგომ მოსარჩელემ აღნიშნული მოთხოვნით არაერთხელ მიმართა მოპასუხეს, მაგრამ პასუხი ყოველთვის უარყოფითი იყო. საფუძველად უთითებდნენ იმ გარემოებას, რომ მაღაზია არ იყიდებოდა.

2004 წლის ივნისში ო. ზ-იანმა ჰ. გ-იანისაგან შეიტყო, რომ ხორცის მაღაზია მან შეიძინა. ო. ზ-იანის განმარტებით, იგი მოატყუეს და აღნიშნული მაღაზია, სადაც 20 წლის განმავლობაში მუშაობდა და ამჟამადც მუშაობს, მისგან ფარულად გაყიდეს. მოსარჩელემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მის გარდა 1984 წელს აშენებულ მაღაზიაში გამყიდველად არავის უმუშავია, მისი სახსრებით მაღაზიას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი და იგი სამოქალაქო კოდექსის 170-ე-172-ე მუხლების საფუძველზე წარმოადგენს მაღაზიის სადავო ნაწილის მესაკუთრეს. ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარემ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით კანონმდებლობით გათვალისწინებული აუქციონის ან კონკურსის გამოცხადების გარეშე გაყიდა მაღაზია, რითაც შეილახა მისი ინტერესები.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით ო. ზ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგინდად მიიჩნია, რომ ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარე არტიუმ გ-იანსა და ჰ. გ-იანს შორის დაიდო აგრარული ბაზრის ხორცის რიგის ნასყიდობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ჰ. გ-იანი სარეგისტრაციო სამსახურში აღირიგხა ამ ქონების მესაკუთრედ. ხორცის რიგის ტერიტორიაზე 10.29 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ხის მაღაზია, რომელიც როგორც დამოუკიდებელი უძრავი ნივთი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის და იგი რეგისტრირებულია, როგორც შენობის ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილი.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ ო. ზ-იანი 1984 წლიდან მუშაობდა ხორცის მაღაზიაში და თავისი ძალებითა და საშუალებებით მაღაზიას ჩაუტარა კაპიტალური რემონტი, სამოქალაქო კოდექსის 170-ე-172-ე მუხლების საფუძველზე, მას ამ მაღაზიის მესაკუთრედ ვერ აქცევდა. ამასთან, მოსარჩელემ ვერ შეძლო სასამართლოსათვის წარედგინა იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ თავისი ძალებით ჩაატარა მაღაზიის კაპიტალური რემონტი, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო, რომ მან მოიპოვა საკუთრების უფლება მაღაზიის ნაწილზე.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლზე, რომლის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვების საფუძველი არის სანოტარო წესით დამოწმებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და საჯარო რეესტრში მესაკუთრის რეგისტრაცია.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგინდად მიიჩნია, რომ ხორცის მაღაზია აშენებულია სათანადო პროექტის და შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის გარეშე და იგი არ ირიცხებოდა არც კოოპერატივის და არც კოოპერატივის ბალანსზე, როგორც ძირითადი საშუალება. დადგინდად იქნა მიჩნეული, რომ სადავო ხორცის მაღაზია წარმოადგენს უკანონო ნაგებობას და მისი ფორმალური მესაკუთრეა აგროსამრეწველო სავაჭრო ფირმა «ხვავის» ცეკავშირის ახალქალაქის ფილიალი. აღნიშნულის გათვალისწინებით, რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა, რომ მას გააჩნია სადავო მაღაზიის უპირატესი შესყიდვის უფლება.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიწის საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის საჭიროა პირს გააჩნდეს: მიწით სარგებლობის უფლებისა და მიწასთან დაკავშირებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმეში არსებული მასალებით დგინდებოდა, რომ ო. ზ-იანი იყო აგრარულ-სამრეწველო ფირმა «ხვავის» ცეკავშირის მუშაკი, აღნიშნული ფირმა წარმოადგენდა დამოუკიდებელ იურიდიულ პირს და ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივის შემადგენლობაში არ შედიოდა. შესაბამისად, მოსარჩელე არ წარმოადგენდა არც ხორცის რიგის და არც აგრარული ბაზრის მუშაკს.

«სამომხმარებლო კოოპერაციაში გამოუყენებელი და ზედმეტი ძირითადი საშუალებების და სხვა ქონების გაყიდვის დროებითი დებულების» (დამტკიცებულია ცეკავშირის გამგეობის 1996 წლის 28 ივნისის #40 დადგენილებით, ხოლო ცვლილებები შეტანილია ცეკავშირის გამგეობის 1997 წლის 27 ნოემბრის #91 დადგენილებით) მე-4 თავის მე-5 პუნქტის თანახმად, კოოპერაციის ქონება შეიძლება პირდაპირ მიეყიდოს შრომით კოლექტივს, თუკი ქონების შეძენის სურვილს გამოთქვამს კოლექტივის მუშაკთა 50%-ზე მეტი. თუკი საქონლის შემძენთა რიცხვი შეადგენს შრომითი კოლექტივის 50%-ზე ნაკლებს, მაშინ შრომითი კოლექტივი ქონების შესაძენად მონაწილეობს კონკურსში ან აუქციონში.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ აგრარული ბაზრის ხორცის რიგი წარმოადგენს განცალკევებულ ობიექტს და ჰყავს თავისი შრომითი კოლექტივი, ოთხი წევრის შემადგენლობით. ხორცის რიგის შრომითი კოლექტივის მუშაკებმა: ჰ. გ-იანმა, მ. ი-იანმა და ა. პ-იანმა თავიანთ ახსნა-განმარტებებში აჩვენეს, რომ, როგორც კი შეიტყვეს ხორცის რიგის მომავალი პრივატიზაციის შესახებ, თხოვნით მიმართეს ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობას, რათა ხორცის რიგი მიეყიდა მისი შრომითი კოლექტივისათვის. მოგვიანებით, როცა მ. ი-იანმა და ა. პ-იანმა შეიტყვეს, რომ საპრივატიზაციო ობიექტის გამოსასყიდი ფასი მთლიანად უნდა გადაეხადათ 90 დღის და არა ერთი წლის განმავლობაში, როგორც ამას ითვალისწინებდა თავდაპირველად მოქმედი სამომხმარებლო კოოპერაციის ქონების რეალიზაციის წესი, მათ გადაიფიქრეს ხორცის რიგის პრივატიზაციაში მონაწილეობა. იმავედროულად, მათ ჰ. გ-იანს დაუთმეს უპირატესი შესყიდვის მათი უფლება, იმ პირობით, რომ ობიექტის შეძენის შემთხვევაში ჰ. გ-იანი შეინარჩუნებდა ობიექტის მუშაობის პროფილს, ისინი გააგრძელებდნენ ობიექტზე მუშაობას თავიანთ თანამდებობებზე მანამდე, ვიდრე თავად არ გადაწყვეტდნენ შრომითი ხელშეკრულების მოშლას თავიანთი ინიციატივით. აღნიშნული პოზიცია ხორცის რიგის თანამშრომლებმა გამოხატეს შრომითი კოლექტივის შეკრებაზე და დააფიქსირეს წერილობით ოქმში, რომლის ამონაწერიც დართულია საქმეზე. აღნიშნულს ასევე ადასტურებდა ა. გ-იანი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობას არ დაურღვევია სამომხმარებლო კოოპერაციაში გამოუყენებელი და ზედმეტი ძირითადი საშუალებების და სხვა ქონების გაყიდვის დროებითი დებულების მე-4 თავის მე-5 პუნქტის მოთხოვნა - ქონების შრომით კოლექტივზე პირდაპირი (კონკურსის გარეშე, აუქციონის გარეშე) უპირატესობის წესით რეალიზაციის დასაშვებობის თაობაზე, როცა კოლექტივის ნახევარზე მეტი გამოთქვამს ამ ქონების შეძენის სურვილს.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. ზ-იანმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

რაიონულმა სასამართლომ სრულყოფილად არ შეისწავლა საქმის მასალები. სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ო. ზ-იანი არ წარმოადგენდა არც ხორცის რიგის და არც აგრარული ბაზრის მუშაკს. აღნიშნული დასკვნის გამოტანისას სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია მისი შრომის წიგნაკი, აგრეთვე მეპაიეთა სია ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციაში. შრომის წიგნაკში მისთვის შეუტყობინებლად გაკეთებულია ჩანაწერი მისი გათავისუფლების შესახებ, თითქოს პირადი განცხადების საფუძველზე, რაც არასწორია.

2001 წლის 1 ოქტომბერს ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელობასა და ო. ზ-იანს შორის მოხდა საქმიანი შეთანხმება, რომელიც მოსარჩელეს ავალდებულებდა კოოპერაციის ხელმძღვანელობისათვის გადაეხადა ქონების, მიწის და სხვა სახის გადასახადები. ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეების მიერ და დამტკიცებულია ბეჭდით ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის თავმჯდომარის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის განჩინებით ო. ზ-იანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 18 ივნისს ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის თავმჯდომარეს არტიუმ გ-იანსა და ჰ. გ-იანს შორის დაიდო აგრარული ბაზრის ხორცის რიგის ნასყიდობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ჰ. გ-იანი სარეგისტრაციო სამსახურში აღირიცხა ამ ქონების მესაკუთრედ. ხორცის რიგის ტერიტორიაზე მდებარე 10.29 კვ.მ უძრავი ნივთი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო არა დამოუკიდებლად, არამედ როგორც შენობის ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილი. რაიონულმა სასამართლომ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ხორცის მაღაზია აშენებულია სათანადო პროექტისა და შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის გარეშე და იგი არ ირიცხებოდა არც კოოპერაციის და არც კოოპერატორის ბალანსზე, როგორც ძირითადი საშუალება. აქედან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ხორცის მაღაზია წარმოადგენდა უკანონო ნაგებობას, ხოლო მის ფორმალურ მესაკუთრეს განეკუთვნებოდა ფირმა «ხვავი». ამ გარემოებაზე მითითებით რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მას გააჩნდა სადავო მაღაზიის უპირატესი შესყიდვის უფლება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ზემოაღნიშნული გარემოება - წარმოადგენს თუ არა ნაგებობა კანონიერს, შეიძლება დადასტურდეს შესაბამისი სამსახურების მიერ გაცემული წერილობითი

მტკიცებულებებით და არა მოწმეთა ჩვენებებით. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხის განხილვისას (2004 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა) პირველ რიგში უნდა დადგინდეს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი დავის საგნის მიმართ, კერძოდ, შეესაბამება თუ არა ამგვარი აღიარებითი სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელის სამართლებრივ ინტერესს და შეძლებს თუ არა იგი ამ გზით მისი მიზნის (სადავო ობიექტის მესაკუთრედ აღრიცხვა) მიღწევას.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის შინაარსის გათვალისწინებით მიუთითა საქალაქო სასამართლოს, რომ მას შემდეგ, რაც გასაგებად და ამომწურავად იქნება მითითებული ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, სასამართლომ უნდა მიუთითოს იმ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმაზე (ნორმებზე), რომლის მიხედვითაც შეაფასა მან დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, აგრეთვე დაასაბუთოს ამ ნორმის გამოყენების მიზანშეწონილობა. მითითებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად გამოყენებული ნორმის შესაბამისი ნაწილი, პუნქტი, ქვეპუნქტი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ საქმეზე რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით, გარკვევით არ არის მითითებული შესაბამისი მტკიცებულების გამოყენებით დადგენილად ცნობილ ფაქტებზე, მტკიცებულებათა ანალიზზე, კანონებზე, რომელთა საფუძველზეც მოახდინა სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული შეფასება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ჰ. გ-იანმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების გამოტანით ახალქალაქის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხორცის მაღაზია ცალკე უფლების ობიექტი არ არის. უძრავი ნივთი, რომელიც ცალკე უფლების ობიექტად საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული, ხოლო ამ ნივთის ქვეშ არსებული მიწა სხვა უძრავი ნივთის შემადგენელ ნაწილადაა რეგისტრირებული, კანონიერი ვერ იქნება. სწორედ აღნიშნულს ემყარებოდა რაიონული სასამართლოს დასკვნაც. კერძოდ, ნაგებობის უკანონობის ფაქტი სასამართლომ დამტკიცებულად მიიჩნია იმის საფუძველზე, რომ არ არსებობდა საჯარო რეესტრში ამ უძრავ ნივთზე ცალკე ჩანაწერი, მაშინ როდესაც თავად მის ქვეშ არსებული მიწა სხვა უძრავი ნივთის შემადგენელ ნაწილად არის რეგისტრირებული. მოწმეთა ჩვენებებით სასამართლომ დაადგინა, თუ რატომ არ აღირიცხა ეს უკანონო ნაგებობა კოოპერატივის ბალანსზე, როგორც ძირითადი საშუალება.

კასატორის მითითებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული და რომ მასში არ ჩანს მტკიცებულებათა გამოკვლევა და სამართლის ნორმის შეფარდება. სააპელაციო პალატის შენიშვნები არ არის შესაბამისი და მათზე დაყრდნობით სასამართლომ გამოიყენა საპროცესო ნორმები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილი), რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამორკვევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის განჩინება, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, თუკი არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე, როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილების შეუზღუდაობას პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებასთან მიმართებაში. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება ეფექტური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს, რითაც მოცემულ შემთხვევაში შეზოჭილია სააპელაციო სასამართლო, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა მისი დაუსაბუთებლობის გამო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის საფუძველზე. კერძოდ, საქმის უკან დაბრუნების აუცილებლობა სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგი სამი ძირითადი გარემოებით: რაიონულმა სასამართლომ სადავო ხორცის მაღაზიის, როგორც უკანონო ნაგებობის არსებობა დადგინდად მიიჩნია მხოლოდ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, რაც უნდა დადასტურებულიყო შესაბამისი სამსახურების მიერ გაცემული წერილობითი მტკიცებულებებით; რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში გარკვევით არ არის მითითებული შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით დადგინდად ცნობილ ფაქტებზე, მტკიცებულებათა ანალიზზე, კანონებზე, რომელთა საფუძველზეც მოახდინა სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული შეფასება; რაიონულ სასამართლოს არ გამოურკვევია სადავო ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოსარჩელის იურიდიული ინტერესი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოებები, რასაც სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად უთითებს, არ განეკუთვნება ისეთ გარემოებებს, რომლის გამოც გამართლებული იქნებოდა მოცემულ შემთხვევაში საქმის უკან გადაგზავნა. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი გადაწყვეტილება არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხების თავად გამორკვევის, სამართლის ნორმის შეფარდების, მოსარჩელის იურიდიული ინტერესის საკითხის თავად შემოწმების შეუძლებლობაზე, რამაც რაიონულ სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა განაპირობა. სააპელაციო სასამართლოს სავსებით შეეძლო, თავად შეემოწმებინა და გამოერკვია აღნიშნული საკითხები.

რაც შეეხება მოსარჩელის იურიდიულ ინტერესის საკითხს, საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელის დავის საგანია: ა. 2004 წლის 18 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება ხორცის მაღაზიის ნასყიდობის ნაწილში; ბ. აღნიშნული მაღაზიის შესყიდვაზე ო. ზ-იანის უპირატესი უფლების ცნობა; გ. სამომხმარებლო კოოპერატივისათვის სადავო ობიექტის ნასყიდობის ხელშეკრულების ო. ზ-იანთან დადების დავალება. ამდენად, ამ შემთხვევაში მოსარჩელეს აღიარებით სარჩელთან ერთად, მიკუთვნებითი სარჩელიც აქვს აღძრული. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ მას აღიარებითი სარჩელის აღძვრა არ შეეძლო და იურიდიული ინტერესი არ გააჩნია. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში ო. ზ-იანი სარჩელის დაკმაყოფილებას ითხოვს იმ მოტივით, რომ მას ჰქონდა სადავო მაღაზიის შესყიდვის უფლება, აღნიშნული მაღაზიის ფარულად გასხვისების შედეგად კი წაერთვა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო სადავო ობიექტის შესყიდვის პროცესში და დაირღვა მისი ეს უფლება, რის აღდგენასაც იგი ასევე ითხოვს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნების აუცილებლობა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის თავად გადაწყვეტის შეუძლებლობა.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დავის არსებითად გადაწყვეტის გზით ახალი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, საკასაციო სასამართლო მოკლებულია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა საკასაციო სასამართლოს მიერ პროცესუალურად შეუძლებელია, ვინაიდან საქმეზე ჯერ არ არსებობს არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო საკასაციო სასამართლო მის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს წვეტს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შემდგომ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ა-ძემ, მ. გ-შვილმა და ლ. კ-იანმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ქ. თბილისის ტექნიკური ინჟინერების სამსახურის მიმართ მოსარჩელეთა მფლობელობაში არსებული ფართის მესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ქ. თბილისში, ... ქ. #6-ში მდებარე სახლთმფლობელობა წარმოადგენს ორსართულიან საცხოვრებელ სახლს, რომელიც განთავსებულია 757 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული სახლთმფლობელობის 41/71 საკუთრების უფლებით ირიცხება ნ. დ-ელიას, 18/71 - დ. ბ-ანიას, ხოლო 13/72 - ი. უ-ძის სახელზე. ამავე სახლთმფლობელობის #1-4 14,60 კვ.მ საცხოვრებელი ოთახი, მის წინ მდებარე 12,78 კვ.მ შემინული #3 აივანი, სულ 27,38 კვ.მ, მ. ა-ძის მფლობელობაშია. #1-2 8,25 კვ.მ და #11-3 8,32 კვ.მ საცხოვრებელი ოთახების, სულ - 16 კვ.მ, წინ მდებარე შემინული აივნით 2.1 - 11,44 კვ.მ, მთლიანად 27,81 კვ.მ-ს მფლობელია მ. გ-შვილი, ხოლო 15,54 კვ.მ #1-1 საცხოვრებელ ოთახს, #1.1 12,48 კვ.მ წინ მდებარე შემინული აივანს, სულ - 28,02 კვ.მ-ს ფლობს ლ. კ-იანი. აღნიშნულ ფართს მოსარჩელები ფლობენ ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ქ. თბილისის ტექნიკური ინჟინერების სამსახურის ჩანაწერებით ირკვევა, რომ აღნიშნული ფართი არ შედის ნ. დ-ელიას, დ. ბ-ძის, ი. უ-ძისა და მ. ხ-შვილის კუთვნილ წილში, ხოლო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვის წილში შედის აღნიშნული ფართი, ტექნიკური ინჟინერების ბიუროს არ გააჩნია. ამდენად, აღნიშნულ ფართზე საკუთრების დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 15 იანვრის განჩინებით მესამე პირებად საქმეში ჩაბმულ იქნენ დ. ბ-ძე, ი. უ-ძე და ნ. დ-ელია, ამავე სასამართლოს 2003 წლის 18 აპრილის განჩინებით კი - ზ. ხ-შვილი და ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - მოსარჩელები ცნობილ იქნენ სადავო ფართის მესაკუთრეებად და დადგინდა მათ სარგებლობაში არსებული ფართის მოსარჩელების სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. დ-ელიამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. მ. ა-ძემ, მ. გ-შვილმა, ლ. კ-იანმა შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართეს სააპელაციო პალატას სანოტარო მოქმედებების გაუქმებისა და მათ საფუძველზე ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ შესრულებული ჩანაწერის გაუქმების თაობაზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 28 მარტის განჩინებით მოპასუხე ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ამავე სასამართლოს 2007 წლის 15 თებერვლის განჩინებით თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ დადგინდნენ იქნა ძველი თბილისის გამგეობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მარტის განჩინებით თავდაპირველი მოპასუხე იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნაცვლად, მოპასუხეთა სახით საქმეში ჩაებნენ დ. ბ-ძე, ნ. დ-ელია, ი. უ-ძე და ზ. ხ-შვილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მარტის განჩინებით ნ. დ-ელიას სააპელაციო საჩივარი, ასევე მ. ა-ძის, ლ. კ-იანის, მ. გ-შვილის შეგებებული სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომლის 2007 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით მ. გ-შვილის, მ. ა-ძისა და ლ. კ-იანის შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ« პუნქტის საფუძველზე საქმის წარმოება შეწყდა. ამავე სასამართლოს 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ზ. ხ-შვილის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება ნ. ბ-ძე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 აპრილის განჩინებით მ. გ-შვილის, მ. ა-ძის, ლ. კ-იანის სარჩელი ი. უ-ძის, დ. ბ-ძისა და ნ. ბ-ძის მიმართ დარჩა განუხილველი, ხოლო ამავე თარიღის განჩინებით ნ. დ-ელიას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაიონული სასამართლოს 2003 წლის 27 მაისის გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემული დავა ეხება ქ. თბილისში, ... ქ. #6-ში მდებარე სახლთმფლობელობის მფლობელებად და მესაკუთრეებად ცნობას. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა «საერთო სასამართლოების შესახებ» ორგანული კანონის მე-16 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და მიიჩნია,

რომ განსახილველი დავა მიეკუთვნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით განსახილველ დავათა კატეგორიას და უნდა გადაწყდეს სამოქალაქო საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესების დაცვით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კი გამოტანილია ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნორმებზე დაყრდნობით. ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საქმის განხილველმა პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლი მეორე ნაწილის „ა« და „ბ« ქვეპუნქტების თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა «რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ» - საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის #649 ბრძანებულებაში 2005 წლის 12 აპრილის საქართველოს პრეზიდენტის #213 ბრძანებულებით შეტანილ ცვლილებებზე, რომელთა ძალითაც ლიკვიდირებულ იქნა თბილისის რაიონული სასამართლოები და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული განსჯადობის წესების დარღვევით ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის არაგანსჯადი საქმის განხილვა იწვევს საქმის განხილველი სასამართლოს არაკანონიერ შემადგენლობას, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია, ამავ კოდექსის 385-ე მუხლის შესაბამისად კი საქმე განსახილველად უნდა დაუბრუნდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნ. დ-ელიამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ გააუქმა რა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, არ გაითვალისწინა, რომ მოცემული საქმე პირველი ინსტანციის წესით განიხილა მოსამართლე შ.კ-იამ, რა დროსაც სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები არ არსებობდა და დასახელებული მოსამართლე უფლებამოსილი იყო, განეხილა როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო საქმეები. ამდენად, გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა საქმის არაკანონიერი სასამართლო შემადგენლობის მიერ განხილვის შესახებ დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის #649 ბრძანებულება 2005 წლის 12 აპრილის ცვლილებამდე არსებული რედაქციით, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს სასამართლო მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების მომენტისათვის, 2003 წლისათვის, ცხადია, ზემოხსენებულ ბრძანებულებაში 2005 წლის 12 აპრილის ცვლილება ჯერ შეტანილი არ იქნებოდა. ასევე ნიშნავს, რომ სააპელაციო პალატას არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი და საქმე ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში კი არ უნდა დაებრუნებინა, არამედ თავად განეხილა იგი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. დ-ელიას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2008 წლის 2 აპრილის განჩინებით ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება გააუქმა იმ მოტივით, რომ მოცემული დავა პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა განსჯადობის წესების დარღვევით, კერძოდ, სამოქალაქო სამართალწარმოების ნაცვლად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. სასამართლომ მიიჩნია, რომ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული განსჯადობის წესების დარღვევით ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის არაგანსჯადი საქმის განხილვა იწვევს საქმის განხილველი სასამართლოს არაკანონიერ შემადგენლობას, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატას არ შეუფასებია საქმისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი გარემოებები:

«რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის #649 ბრძანებულების შესაბამისად, მოცემული საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვის მომენტისათვის სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები არ არსებობდა და დადგენილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში ყოველი მოსამართლე უფლებამოსილი იყო პირველი ინსტანციის წესით განეხილა როგორც სამოქალაქო, ისე - ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეები. აღნიშნული უფლებამოსილება შეიზღუდა და სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 12 აპრილის #213 ბრძანებულებით 1997 წლის 14 ნოემბრის #649 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის შემდგომ.

ამდენად, დასაბუთებულია კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლოს ზემოხსენებული დანაწესების საფუძველზე სათანადოდ არ შეუფასებია პირველ ინსტანციაში საქმის განხილველი მოსამართლე სადავო

დროის პერიოდში უფლებამოსილი იყო თუ არა, განეხილა საქმეები როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განხილვა დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლომ საქმის პირველი ინსტანციით განხილვისას თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 178-ე და 179-ე მუხლებს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში რაიონულ სასამართლოს საქმის განხილვისას ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა არ გამოუყენებია.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატას გასაჩივრებული განჩინებით საქმეზე არსებითი გადაწყვეტილება არ მიუღია, საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ დაუდგენია და არც სამართლებრივ საკითხებზე უმსჯელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატას უფლება აქვს, გააუქმოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და შესაბამისი მითითებებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს, თუმცა ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო პალატას შეუძლია არ გადაუგზავნოს საქმე რაიონულ სასამართლოს და თვითონ გადაწყვიტოს იგი. ამრიგად, რაიონულ სასამართლოში ხელახლა განსახილველად საქმის უკან დაბრუნება, ისევე, როგორც საქმის დაუბრუნებლად დავის არსებითად გადაწყვეტა სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა. ამასთან, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მართლმსაჯულების დროულად განხორციელების, სასამართლო დავების ოპერატიულად გადაწყვეტისა და საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, სააპელაციო პალატამ შეძლებისდაგვარად თავი უნდა შეიკავოს ხელახლა განსახილველად საქმის რაიონულ სასამართლოში დაბრუნებისაგან და არსებითად თავად განიხილოს იგი, თუკი არ არსებობს საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების კანონით გათვალისწინებული აუცილებლობა.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოცემულ საქმეზე მხარემ სარჩელით სასამართლოს მიმართა 2002 წლის 20 დეკემბერს, რაიონული სასამართლოს მიერ საქმეზე გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 2003 წლის 27 მაისს, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილებაზე სააპელაციო სასამართლოს განჩინება მიღებულია 2008 წლის 2 აპრილს, სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 5 წლის შემდეგ.

«ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ» ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამოკვლევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება დავის დროულად და გონივრულ ვადაში გადაწყვეტასაც გულისხმობს. ამ დებულების მიზანი ის არის, რომ სამართალწარმოებაში მოხდეს მხარის ინტერესების დაცვა საქმის განხილვის გაჭიანურებისაგან, რაც ხელყოფს მართლმსაჯულების ეფექტურობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრევედენტული სამართლის მიხედვით (Koenig ვ. გერმანე, მილასი ვ. იტალიე, ბოტტაზუნი ვ. იტალიე) პროცესის უსაფუძვლო და განგრძობადი გაჭიანურება კონვენციასთან შეუთავსებელ ადამიანის უფლებათა დარღვევას წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორ ნ.დ-ელის მოსაზრებას გასაჩივრებული განჩინების გაუქმების თაობაზე და მიიჩნევს, რომ დავის დროულად განხილვისა და უსაფუძვლოდ გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, საქმე არსებითად განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. დ-ელის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 აპრილის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი

საქართველოს უზენაესი სასამართლო

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ას-802-1122-07

22 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: სამოსახლო მიწის ნაკვეთის, მასში არსებული ქონების საკომპენსაციო თანხისა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 25 მარტს გ. ა-მემ სარჩელით მიმართა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის» წინააღმდეგ და მოითხოვა სამოსახლო მიწის ნაკვეთის, მასში არსებული ქონების საკომპენსაციო თანხისა და მორალური ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელემ განმარტა, რომ 1982 წლიდან იდგა ბინის მიღების რიგში, მაგრამ ბინის სანაცვლოდ გამოუყვეს 900 კვ.მ სამოსახლო მიწის ნაკვეთი რუსთავსა და თბილისს შორის. მან მიწის ნაკვეთი დაამუშავა, შეღობა, შეიყვანა სამანქანო გზა, დარგო და გააშენა მრავალწლიანი ნარგავები: კაკალი, ვაშლი, მსხალი და სხვა ჯიშები. წლების განმავლობაში ამუშავებდა და მოჰყავდა ოჯახისათვის საჭირო პროდუქტი, გარდა ამისა, იგი აპირებდა საცხოვრებელი სახლის აშენებას.

შემდგომში აღმოჩნდა, რომ ხსენებული მიწის ნაკვეთი მოჰყვა მილსადენის ზოლში და ექვემდებარებოდა შესყიდვა-კომპენსაციას. მოსარჩელემ კომპანიისაგან 5421 ლარად მიწის ნაკვეთის შესყიდვის წინადადება მიიღო, რაზედაც იგი არ დასთანხმდა, ვინაიდან 900 კვ.მ-ის ნაცვლად გათვალისწინებული იყო 791 კვ.მ ნარგავების გარეშე. მიწის ნაკვეთი სამმა კომისიამ დაათვალიერა და 27 ძირი 7, 8 და 10-წლიანი კაკლის ხეების არსებობის ფაქტი დაადასტურა. კომპანიამ მოსარჩელეს სათანადო კომპენსაციის გადახდა სამჯერ შესთავაზა, მაგრამ შეთავაზების სამივე წერილში არასწორი მონაცემი იყო შეტანილი, კერძოდ, მიწის ნაკვეთის ფართობად 900 კვ.მ-ის ნაცვლად 791 კვ.მ იყო მითითებული, ხოლო კაკლის ხეების რაოდენობად 27 ძირის ნაცვლად, 6 ძირი იყო აღნიშნული, რის გამოც გ. ა-მემ მოლაპარაკებაზე უარი განაცხადა. მოპასუხე მხარემ აღიარებითი სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს და მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებისაგან, მათ შორის, მოსარჩელისაგანაც, სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის საფუძველზე, აუცილებელი გზის უფლების აღიარება მოითხოვა. რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2004 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით აღიარებითი სარჩელი დააკმაყოფილა.

ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე მოსარჩელემ საკომპენსაციოდ მოითხოვა:

1. 7 560 ლარი - მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ;
2. 55200 ლარი - 27 ძირი 6, 8 და 10-წლიანი კაკლის ხის სანაცვლოდ;
3. 3054 ლარი - ორსართულიანი სახლის პროექტის ღირებულების სანაცვლოდ;
4. 2000 ლარი - მიწის ნაკვეთში შეყვანილი სამანქანო გზის მოწყობის ხარჯებისათვის;
5. 85 ლარი - ექსპერტების ხარჯებისათვის;
6. 500 ლარი - მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე გაწეული ხარჯებისათვის;
7. 100 ლარი - აუდიტორული მომსახურებისათვის;
8. 50 000 ლარი - მორალური ზიანის ასანაზღაურებლად,

ზემოაღნიშნულმა თანხამ ჯამში 118 600 ლარი შეადგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით გ. ა-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოპასუხე «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას» მოსარჩელის სასარგებლოდ მიწის ნაკვეთის დაკარგვით მიყენებული ზიანის 5378 ლარისა და 21 თეთრის ოდენობით ანაზღაურება დაეკისრა; მოსარჩელის მოთხოვნა კაკლის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს გ. ა-მის სასარგებლოდ 40 800 ლარის გადახდა დაეკისრა; კომპანიასვე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 1154 ლარის გადახდა.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის (მილსადენის კომპანიის) პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან მოსარჩელე ვერ უთითებდა ვერც ერთ ნორმაზე. სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, მოსარჩელე სარჩელში და ახსნა-განმარტებაში იყენებს ტერმინ «ზიანის ანაზღაურებას», მაგრამ თავისი სარჩელის სამართლებრივ საფუძველად იგი სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლს უთითებს; ამასთან, მოპასუხე შესაგებელში აღნიშნავდა, რომ აუცილებელი გზის სანაცვლოდ გადასახდელი კომპენსაციის მაქსიმალური ჯამური თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს აღნიშნული ქონების საბაზრო ღირებულებას. ამდენად, მოპასუხე თავად იზიარებდა იმ პოზიციას, რომ საკომპენსაციო თანხა ქონების ღირებულებას უნდა შეესაბამებოდეს;

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების მიხედვით, «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის» წარმომადგენელი ადასტურებდა კომპანიის მზადყოფნას, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებისთვის გადაეხადა სათანადო კომპენსაცია «კომპენსაციის სახელმძღვანელოს» პირობების შესაბამისად. ამდენად, თავად კომპანია ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ მზად იყო აუცილებელი გზის უფლების სანაცვლოდ მიწის მესაკუთრეებისთვის გაეცა კომპენსაცია იმ წესების საფუძველზე, როგორც ხდებოდა საკომპენსაციო თანხის გამოთვლა მიწის ნაკვეთების ექსპროპრიაციისას. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე გ. ა-მ სწორედ ამ სახით აყენებდა თავის მოთხოვნას; ამასთან, მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა და თანხმობა განაცხადა მოპასუხის მიერ შეთავაზებული თანხის, 5378,21 ლარის, მიღებაზე.

რაც შეეხება მოსარჩელის მეორე მოთხოვნას, 27 ძირი სხვადასხვა ასაკის კაკლის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის - 55 200 ლარის ანაზღაურების თაობაზე, სასამართლოში წარდგენილ იქნა სხვადასხვა შინაარსის რამდენიმე წერილობითი მტკიცებულება, კერძოდ:

1) ქონების აღწერის დოკუმენტი, ხელმოწერილი მხარეებისა და მოწმეების მიერ, რომელშიც დაფიქსირებულია 10 ძირი კაკლის ნერგი - 8 წლის; 15 ძირი კაკლის ნერგი - 6 წლის;

2) რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადგილზე დათვალიერების ოქმი, რომელშიც მითითებულია 24 ძირი კაკლის ხე სხვა ხეებთან ერთად;

3) სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პროექტების, დანერგვისა და სწავლების ცენტრის დასკვნა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ნაკვეთში ფიქსირდება 27 ძირი კაკლის მსხმოიარე ნარგაობა. ექსპერტული შემოწმება-შეფასებით, კაკლის ნარგავები კონდიციურია, არ ხასიათდება დაზიანებულ ფესვთა სისტემით, ნერგები გადახრილი ან მორყეული არ არის. დარგვის სიხშირე-სიმჭიდროვე ნორმით დასაშვებია;

4) მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის რუსთავის მონაკვეთის გასხვისების ზოლში მოქცეული კერძო მესაკუთრეთა ნაკვეთების საველე-დათვალიერება-აღწერის ანგარიში, რომლის დანართში გ. ა-მის მიწის ნაკვეთზე დაფიქსირებულია 25 ძირი კაკალი - 8 წლის 10 ძირი და 6 წლის - 15.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ქონების აღწერის დოკუმენტის საფუძველზე მოპასუხეს მხოლოდ 25 ძირი (10 ძირი კაკლის ნერგი - 8 წლის; 15 ძირი კაკლის ნერგი - 6 წლის) კაკლის ხის საკომპენსაციო თანხა უნდა დაკისრებოდა, რადგან აღნიშნულ დოკუმენტში ასახული მონაცემების ნამდვილობა თავიანთი ხელმოწერით ორივე მხარემ დაადასტურა. ამასთან, როგორც მოპასუხის შესაგებელში იყო აღნიშნული, კომპანიამ მოსარჩელეს მხოლოდ 6 ძირი კაკლის ნერგის კომპენსაცია შესთავაზა. ამდენად, მოპასუხე თანახმა იყო კაკლის ხის ნარგავების საკომპენსაციო თანხის გადახდაზე «კომპენსაციის სახელმძღვანელოს» პირობების შესაბამისად, მაგრამ არა ყველა ნერგისთვის, არამედ ნაწილზე. რაც შეეხება შპს «მელქვას» ანგარიშზე დაყრდნობით მოპასუხის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიწის ნაკვეთში არსებული კაკლის ნერგები იყო არაკონდიციური, ხასიათდებოდა დაზიანებული ფესვთა სისტემით, იყო მორყეული, დანერგვის სიხშირე 4,5-ჯერ აღემატებოდა ნორმას და სავარაუდოდ ყველა ნერგი გახმებოდა, სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი იყო საწინააღმდეგო მონაცემების მქონე დოკუმენტები: ზემოთ მითითებულ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პროექტების, დანერგვისა და სწავლების ცენტრის დასკვნა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის პასუხი ქ. რუსთავის საკრებულოს მიმართვაზე.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის» წარმომადგენლებმა ნ. ღ-მემ და ო. ყ-მემ. აპელანტებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლება, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისათვის» სახელმწიფო ბაჟის - 1154 ლარის დაკისრების ნაწილში გაუქმდა, დანარჩენ ნაწილში კი სააპელაციო პალატა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით სრულად დაეთანხმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის» წარმომადგენლებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს, სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე, 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორებმა თავიანთი მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველად მიუთითეს შემდეგ გარემოებებზე:

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში იკითხება შემდეგი: მოპასუხე «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას» დაეკისროს გ. ა-ძის სასარგებლოდ მიწის ნაკვეთის დაკარგვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება; მოსარჩელის მოთხოვნა კაკლის ხის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

აღნიშნული პირდაპირ ეწინააღმდეგება მოსამართლის მიერ სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულ განცხადებას, თითქოსდა მოსარჩელე მოითხოვდა და მოსამართლემ განიხილა არა ზიანის ანაზღაურების, არამედ აუცილებელი გზის კომპენსაციის საკითხი. ზემოთ ციტირებული სარეზოლუციო ნაწილი ცხადყოფს, რომ მოსარჩელე მოითხოვდა და სასამართლომ მას მიაკუთვნა სწორედ ზიანის ანაზღაურება და არა აუცილებელი გზის კომპენსაცია.

კომპანია მოსარჩელის მიწის ნაკვეთზე შევიდა სრულიად კანონიერად - სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაბამისად, არ არსებობს ბრალი და ქმედების მართლწინააღმდეგობა, რაც სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე კომპანიის მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოვალეობას სრულიად გამოირიცხავს.

სასამართლო შეეცადა ზიანის ანაზღაურებას და არა სკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული აუცილებელი გზის სათანადო კომპენსაციის შეფასებას. კომპანიის წარმომადგენელთა მითითებით, ის განაკვეთები და კომპენსაციის გამოთვლის წესი, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა, კომპანიის მიერ მხოლოდ ნებაყოფლობითობის პირობებში გამოიყენება და მხოლოდ ამა თუ იმ ქონების საკუთრების უფლების (ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების) სანაცვლოდ. სასამართლომ უმართებულოდ შეაფასა კომპანიის მიერ მოსარჩელისათვის მიცემული შეთავაზებები, რომლებიც ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას ითვალისწინებდა და არა აუცილებელი გზის უფლების კომპენსაციას;

იმდენად, რამდენადაც საკითხი საჭიროებდა სპეციალურ ცოდნას, სასამართლო ვალდებული იყო, აუცილებელი გზის უფლების სანაცვლოდ გადასახდელი სათანადო კომპენსაციის დასადგენად დაენიშნა შესაბამისი ექსპერტიზა. პირველი ინსტანციის სასამართლომ თავისი განჩინებით დანიშნა ექსპერტიზა მიწის საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით, რომელიც ყოველგვარი საპროცესო საფუძვლის გარეშე გააუქმა;

2. კასატორები აბსურდულად მიიჩნევენ «კაკლის ხის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის» დაკისრებას, რადგან მილსადენის მშენებლობის დასრულებისთანავე მოსარჩელეს ექნება თავის მიწის ნაკვეთში კაკლის ნერგების გაშენების თუ ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელების საშუალება იმ ფარგლებში, რასაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებული აუცილებელი გზის უფლების პირობები ითვალისწინებს, ამასთან, მათი მითითებით, არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ შეუფასებია კომპანიის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელემ ნერგები დარგო არა წლების წინ, არამედ კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთის აღწერისა და მოსარჩელისათვის პირველი შეთავაზების გაკეთების შემდგომ და რომ აღნიშნული ნერგები დარგული იყო სასოფლო-სამეურნეო ნორმების დაუცველად, ისეთ ნიადაგზე, სადაც მათი გახარება-გაზრდისათვის არანაირი პირობები არსებობდა;

3. ნერგებისთვის თანხის გადახდევინების დაკისრებით სასამართლომ უხეშად დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 409-ე მუხლები, კერძოდ, კანონი ფულადი ანაზღაურების დაკისრებას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. მოცემულ შემთხვევაში კი არსებობს გვაროვნული ტიპის, ჩანაცვლებადი ხასიათის ქონება (კაკლის ხის ნერგები), რომელიც მიმოქცევაშია და თავისუფლად მოიპოვება ქართულ ბაზარზე, ამდენად, მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელი იყო თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა, აუცილებელი გზის უფლების პირობებით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებში.

გ. ა-ძის წარმომადგენელმა ც. შ-ძემ თავის წერილობით პასუხში განმარტა, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ პასუხობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის არც ერთ მოთხოვნას, არ არსებობს მისი დაკმაყოფილების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი. მან სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 11 იანვრის განჩინებით, «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის» წარმომადგენელთა საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის» წარმომადგენლების - ნ. ლ-ძისა და ო. ყ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

აღნიშნული ნორმა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სასამართლოს შეუძლია მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარების შესახებ ზოგადი მითითებით შემოიფარგლოს. ნორმის ამგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოვიდოდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებთან, ისევე როგორც სამოქალაქო სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების მიზნებთან. 390-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. «მოკლე დასაბუთება» არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვით გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დაკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით.

«ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის» ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლის-სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე, როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

საქმეებზე «დევიერი ბელგიის წინააღმდეგ» და «დელკური ბელგიის წინააღმდეგ» ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ «ადამიანის უფლებათა» ევროპული კონვენციის ფრანგულ ტექსტში, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი შეიცავს ტერმინს «დასაბუთებული» (ბიენ-ფონდე), აღნიშნული კი ნიშნავს, რომ განაჩენი კარგად უნდა იყოს დასაბუთებული, როგორც სამართლებრივი, ისე - ფაქტობრივი თვალსაზრისით, მართალია, აღნიშნულ საქმეებში საუბარია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენზე, მაგრამ ეს პრინციპი ვრცელდება სამოქალაქო დავებზე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართაც.

შემთხვევითი არაა, რომ ქართული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არაერთი ნორმით ადგენს სასამართლოს ვალდებულებას დაასაბუთოს თავისი პოზიცია კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა ყოველთვის იწვევს მის გაუქმებას. გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობა პირველ რიგში მხარეთა ინტერესებს ემსახურება, ეს ასევე ემსახურება იმ საზოგადოების ინტერესებს, რომლის სახელითაც ხდება მართლმსაჯულების განხორციელება.

განსახილველ შემთხვევაში აპელანტი სააპელაციო საჩივარში უთითებდა, რომ სასამართლომ საერთოდ არ შეაფასა 2002 წლის 9 სექტემბერს შედგენილი მოსარჩელის მიწის ნაკვეთის, ასევე მასზე არსებული ქონების აღწერის დოკუმენტი, რომელიც თავად მოსარჩელის ხელმოწერით არის დადასტურებული და რომლიდანაც ირკვევა, რომ მიწაზე არანაირი ნარგავი არ არსებობდა, ხოლო თავად მიწის ნაკვეთი დაუმუშავებელი იყო, აგრეთვე ამავე რიცხვით დათარიღებული მოსარჩელის მიწის ნაკვეთის ფოტოსურათი.

აპელანტის მიერ წამოყენებულ ამგვარ პრეტენზიებზე სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასება უნდა იქნეს მიცემული. სასამართლომ ამგვარი პრეტენზიების გათვალისწინებით უნდა მიუთითოს, რატომ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გაიზიარა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, კაკლის ნერგების განადგურებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნაზე მსჯელობისას, 2004 წლის 23 აპრილის ქონების აღწერის აქტით იხელმძღვანელა და მიიჩნია, რომ მოპასუხეს მხოლოდ ამ აქტში მოცემული რაოდენობის - 25 კაკლის ხის კომპენსაცია უნდა დაკისრებოდა. სასამართლომ ჩათვალა,

რომ აღნიშნულ აქტში ასახული მონაცემების სისწორე ხელმოწერით ორივე მხარემ დაადასტურა. ამდენად, ეს დოკუმენტი იყო მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს სარწმუნოდ უნდა მიეჩნია.

გარდა ამისა, კაკლის ნერგების მდგომარეობისა და მათი გაშენების წესების დაცვის შესახებ დასკვნის მიღებისას, სასამართლო დაეყრდნო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეზღვეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დასკვნას, რომლის მიხედვითაც, კაკლის ნარგავები იყო კონდიციური, არ ხასიათდებოდა დაზიანებული ფესვთა სისტემით, ნერგები გადახრილი ან მორყეული არ ყოფილა. საქმეში კი წარმოდგენილი იყო სრულიად საპირისპირო შინაარსის დოკუმენტი - შპს «ძელქვას» ანგარიში, რომელიც სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საპროცესო კანონმდებლობა აღიარებს მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპს, ამდენად, სასამართლოს, თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია ცალკეული მტკიცებულებები არასარწმუნოდ მიიჩნიოს და არ გაიზიაროს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა აისახოს სასამართლო რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებიდან კი არ ირკვევა დავის გადაწყვეტისას სასამართლო რატომ დაეყრდნო მხოლოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დასკვნას და არ გაიზიარა მოპასუხე მხარის მიერ წარდგენილი საპირისპირო შინაარსის დოკუმენტი, ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სასამართლომ სრულად არ გამოიკვლია წარდგენილი მტკიცებულებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ამგვარ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, შეფასება მისცეს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და დავა აღნიშნულის შესაბამისად გადაწყვიტოს.

რაც შეეხება მიწის ნაკვეთის საკომპენსაციოდ 5387,21 ლარის დაკისრების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას, აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. ა-მე ქ. რუსთავში ქალაქის შესასვლელში მდებარე მიწის ნაკვეთის (სარეგისტრაციო #179) მესაკუთრეა;

მოპასუხე «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის» მილსადენის კომპანიამ მას კომპენსაციის გაცემის შესახებ ოფიციალური წერილობითი წინადადებით რამდენჯერმე მიმართა. ბოლო ოფიციალური შეთავაზება 2004 წლის 14 მაისს განხორციელდა, როცა კომპანიამ მოსარჩელეს შესთავაზა მიწის ნაკვეთის საკომპენსაციო თანხა - 5378, 21 ლარი, ასევე, მოსავლისა და სხვა ქონებრივი ზიანის ანაზღაურება 9642,71 ლარი;

«ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის» სარჩელის საფუძველზე, რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღიარა კომპანიის აუცილებელი გზის უფლება მოპასუხეების კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე;

კომპანია მზად იყო, აუცილებელი გზის უფლების სანაცვლოდ გაეცა კომპენსაცია იმ წესების საფუძველზე, როგორც ხდებოდა საკომპენსაციო თანხის გამოთვლა მიწის ნაკვეთების ექსპროპრიაციისას.

საქმის მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ განსახილველი დავის სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი წარმოადგენდა. თავის სარჩელში გ. ა-მე სწორედ ამ მუხლზე უთითებს, როგორც მისი ინტერესის დაცვის სამართლებრივ მექანიზმზე. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით კი, იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს. გ. ა-მემ სასამართლოს სარჩელით სწორედ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ 2004 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით მის ნაკვეთზე კომპანიის აუცილებელი გზის უფლების დადგენის შემდეგ მიმართა, ე.ი. დავა აუცილებელი გზის უფლების კომპენსაციას ეხებოდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან ირკვევა, სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლით, იმსჯელა სწორედ აუცილებელი გზის უფლების კომპენსაციაზე, თუმცა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის დადგენილება, მოპასუხე «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისათვის» გ. ა-მის სასარგებლოდ მიწის ნაკვეთის დაკარგვით მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ 5 378, 21 ლარის დაკისრების შესახებ, არ გამომდინარეობს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ასახული

მსჯელობიდან. აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» და «ე¹» ქვეპუნქტების საფუძველზე, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველები.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების ხარვეზი სამართლებრივად დაუსაბუთებლობა და არ არსებობს მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის აუცილებლობა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

პალატა მიიჩნევს, რომ გ. ა-ძის სასარჩელო მოთხოვნა აუცილებელი გზის უფლების სანაცვლოდ კომპენსაციის მიღების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხე «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას» მოსარჩელის სასარგებლოდ 5 378, 21 ლარი დაეკისროს.

პალატა ითვალისწინებს, რომ ზიანის საკომპენსაციოდ 5378 ლარი მილსადენის კომპანიამ განსაზღვრა და თავად კასატორი მიიჩნევდა მას გონივრულ ოდენობად. ამ თანხის შეთავაზება 2004 წლის 14 მაისის წერილით მოხდა, ანუ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ აუცილებელი გზის უფლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რაც ადასტურებს, რომ წერილში მითითებული თანხა სწორედ სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაცია იყო და არა მიწის ნაკვეთის შესყიდვისათვის შეთავაზებული ფასი; 2006 წლის 27 თებერვლის სასამართლო სხდომის ოქმით კი ირკვევა, რომ კომპანიის წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ შესთავაზა გ. ა-ძეს ზიანის საკომპენსაციოდ 5378 ლარის გადახდა. მიწის ნაკვეთის მესაკუთრე დაეთანხმა აღნიშნულ შეთავაზებას, შესაბამისად, ნაკვეთის ღირებულების დასადგენად მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა საჭირო აღარაა და სასამართლომ «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას» მხარეთა შორის შეთანხმებული ოდენობის კომპენსაცია უნდა დააკისროს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისათვის» სახელმწიფო ბაჟის 1154 ლარის დაკისრების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და კომპანიის სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლების ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 412-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში;

3. აუცილებელი გზის კომპენსაციის დაკისრების ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. დაკმაყოფილდეს გ. ა-ძის სარჩელი აუცილებელი გზის კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილში და «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას» დაეკისროს გ. ა-ძის სასარგებლოდ 5378 ლარისა და 21 თეთრის გადახდა;

5. კაკლის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და სასამართლო ხარჯების განაწილების ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

6. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი კომპანიისათვის» სახელმწიფო ბაჟის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში დარჩეს უცვლელად;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი; ვალის არსებობის აღიარება

განჩინება

ას-237-498-08

3 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 2 თებერვალს შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ« რუსთავის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა და შპს «რუსთავმშენი 2000-სათვის» 113 463, 64 ლარის დაკისრება მოითხოვა. მოსარჩელემ განმარტა, რომ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა« შექმნილი იყო სს „ელექტროგადამცემისა« და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია 2000-ის« შერწყმის შედეგად და აღნიშნული ორი საწარმოს სამართალმემკვიდრეს წარმოადგენდა. 1998 წლის 1 ნოემბერს სს „ელექტროგადამცემისა« და სს „რუსთავმშენის« შორის პირდაპირი მომხმარებლისთვის სემეკის მიერ დადგენილი ტარიფით ელექტროენერჯისა და სიმძლავრის გაცემის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა. აღნიშნული ხელშეკრულებით სს „ელექტროგადამცემისა« სს „რუსთავმშენისთვის« ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურება უნდა გაეწია. სს „რუსთავმშენის« უნდა გადაეხადა ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურების საფასური, ამასთან, 25%-ის გადახდა ყოველი თვის 20 რიცხვამდე უნდა მომხდარიყო. სრული ანგარიშსწორების ვადად სს „ელექტროგადამცემის« მიერ მომხმარებლისთვის საანგარიშსწორებო ანგარიშფაქტურის წარდგენის დღიდან ხუთი საბანკო დღე განისაზღვრა. ხელშეკრულებით, ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურების საფასურის გადახდის ვადების დარღვევისათვის, გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო გადაუხდეელი თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ხელშეკრულება ძალაში 1998 წლის 1 ნოემბრიდან შევიდა და მისი შეწყვეტის ვადა გათვალისწინებული არ ყოფილა.

2002 წლის 27 მარტს სს „ელექტროგადამცემისა« და შპს „რუსთავმშენი 2000-ს« შორის ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურების შესახებ პირდაპირი ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმადაც, სს „ელექტროგადამცემისა« შპს „რუსთავმშენისათვის« სემეკის მიერ დადგენილი ტარიფით ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურება უნდა გაეწია. სახელშეკრულებო პერიოდი გადაცემის მომსახურების დაწყებიდან 2003 წლის 31 დეკემბრამდე დროის მონაკვეთს მოიცავდა. შპს „რუსთავმშენი 2000« ვალდებული იყო სს „ელექტროგადამცემისათვის« გადაეხადა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურების საფასური საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიღებიდან ხუთი დღის განმავლობაში. ანგარიშსწორების ფორმად პირდაპირი გადახდა განისაზღვრა. მომსახურების ღირებულების გადახდის სახელშეკრულებო ვადების დარღვევის შემთხვევაში, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გათვალისწინებული იყო დამატებითი საურავი გადასახდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით. ხელშეკრულება ვალდებულების სამართალმემკვიდრეობით გადასვლასაც ითვალისწინებდა.

2003 წლის 10 თებერვალს მხარეებს შორის ურთიერთანგარიშსწორების ბუღალტრული შედარების აქტი გაფორმდა, რომელსაც სს „რუსთავმშენი 2000-ის« დირექტორი შ. მ-შვილი და მთავარი ბუღალტერი მ. ნ-შვილი აწერდნენ ხელს. აღნიშნული აქტის მიხედვით, 2002 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, სს „ელექტროსისტემის« წინაშე მოპასუხის დავალიანებამ 72 908 ლარი შეადგინა. შემდგომ პერიოდში დავალიანება კიდევ უფრო გაიზარდა და 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 113 463,64 ლარი შეადგინა, საიდანაც 29 424,29 ლარი ძირითადი დავალიანება იყო, ხოლო 84 019,35 ლარი - დარიცხული საურავი.

შპს «რუსთავმშენი 2000-ის» დირექტორმა შ. მ-შვილმა რუსთავის სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართა და აღნიშნა, რომ შპს «რუსთავმშენი 2000» სს «რუსთავმშენის» უფლებამონაცვლეს არ წარმოადგენდა და, შესაბამისად, ამ საზოგადოების დავალიანებაზე პასუხს არ აგებდა. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ« 2002 წლის 17 მარტის ხელშეკრულების პირობა დაარღვია, რომლის თანახმადაც, მხარეებს დავის გადასაჭრელად სემეკისათვის უნდა მიემართათ, გარდა ამისა, აღნიშნულმა საზოგადოებამ მიწოდებული ელექტროენერჯის საფასური სემეკის მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად არ გამოიანგარიშა, რასაც ადასტურებდა შპს «ართ აუდიტის» მიერ განხორციელებული შემოწმება, კერძოდ, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა« შპს «რუსთავმშენი 2000-ს» აწვდიდა როგორც 6-10 კვტ. ელექტროენერჯის, ისე - 110 კილოვატს და მათ მიმართ სემეკის მიერ სხადასხვა ტარიფი იყო გათვალისწინებული. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ« ანგარიშფაქტურა რამდენჯერმე არასწორად გამოწერა, რის გამოც შპს «რუსთავმშენი 2000-ს» ზედმეტი თანხები დაერიცხა. მოსარჩელის განმარტებით, შპს «საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის» მიმართ 2002 წლის 27 მარტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება 2 520, 50 ლარს შეადგენდა. შპს «რუსთავმშენი 2000-ის» დირექტორმა შ. მ-შვილმა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ შპს „რუსთავმშენი 2000-თან« ანგარიშსწორებისას გაზრდილი ტარიფის გამოყენების ფაქტის დადგენა, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის» მომსახურების კანონმდებლობით დადგენილი ტარიფით დაანგარიშება და ზედმეტად დარიცხული თანხის - 46 287,64 ლარის ოდენობით ფულადი მოთხოვნის შემცირება, აგრეთვე, შპს „რუსთავმშენი-2000-ის« მიერ მიღებული მომსახურების საზღაურად 220 602,22 ლარის გადახდილად მიჩნევა მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის« სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „რუსთავმშენი 2000-ს« შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის« სასარგებლოდ 113 463,64 ლარის, მათ შორის, ძირითადი დავალიანების, 29 424,29 ლარისა და დარიცხული საურავის 84 039,35 ლარის, აგრეთვე,

მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 2 836 ლარის, გადახდა დაეკისრა; შპს „რუსთავშენი 2000-ის“ შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; აღიარებულ იქნა, რომ შპს „რუსთავშენი 2000-ს“ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის“ გადახდილი აქვს 220 600,22 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000-ის“ სამართალმემკვიდრეა, შექმნილი ამ ორი საწარმოს შერწყმის შედეგად;

1998 წლის 1 ნოემბერს სს „ელექტროგადაცემისა“ და სს „რუსთავშენს“ შორის სემეკის მიერ დადგენილი ტარიფით „ელექტროგადაცემის“ მიერ პირდაპირი მომხმარებლისათვის ელექტროენერჯისა და სიმძლავრის გადაცემის მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა. აღნიშნული ხელშეკრულება 1998 წლის 1 ნოემბერს შევიდა ძალაში და მისი შეწყვეტის ვადა გათვალისწინებული არ ყოფილა. ხელშეკრულებით სს „ელექტროგადაცემის“ სს „რუსთავშენისთვის“ ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურება უნდა გაეწია, რის სანაცვლოდ ამ უკანასკნელს უნდა გადაეხადა ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურების საფასური. ავანსის სახით 25%-ის გადახდა ყოველი თვის 20 რიცხვამდე უნდა განხორციელებულიყო. სრული ანგარიშსწორების ვადად „ელექტროგადაცემის“ მიერ საანგარიშსწორებო ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 5 საბანკო დღე განისაზღვრა. ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურების საფასურის გადახდის ვადების დარღვევისთვის სს „რუსთავშენი“ პასუხისმგებელი იყო სს „ელექტროგადაცემის“ სასარგებლოდ პირგასამტეხლოს გადახდაზე გადაუხდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

2002 წლის 27 მარტს სს „ელექტროგადაცემის“ და შპს „რუსთავშენი 2000-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შპს „რუსთავშენი 2000-სათვის“ ელექტროენერჯის მიწოდების მომსახურება უნდა გაეწია. მიმღები ვალდებული იყო, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ საანგარიშო პერიოდში მიღებული ელექტრომომსახურების საფასური სემეკის მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად გადაეხადა. სახელშეკრულებო პერიოდმა მოიცვა დროის მონაკვეთი გადაცემის მომსახურების დაწყებიდან 2003 წლის 31 დეკემბრამდე. ანგარიშსწორების ფორმად პირდაპირი გადახდა იქნა არჩეული. მომსახურების ღირებულების გადახდის სახელშეკრულებო ვადების დარღვევის შემთხვევაში, ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის გათვალისწინებული იყო დამატებითი საურავის დარიცხვა 0,2%-ის ოდენობით;

2003 წლის 10 თებერვალს მხარეებს შორის ურთიერთანგარიშსწორების ბუღალტრული შედარების აქტი გაფორმდა, რომელსაც საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები აწერდნენ ხელს. აღნიშნული აქტის მიხედვით, შპს „რუსთავშენი 2000“ აღიარებდა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიმართ 37 373,06 ლარის დავალიანების არსებობას;

შპს «რუსთავშენი 2000» 2000 წლის 16 აგვისტოდან განაწილების ლიცენზიანტი და 6-10 კვ. განაწილების ქსელის მფლობელი იყო;

2000 წლის 1 მარტს შპს «რუსთავშენი 2000-სა» და სს «ქიმბოჭკოს» შორის იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმადაც შპს «რუსთავშენი 2000-ს» კონტრაქტის ქონება, მათ შორის, 110-კილოვატიანი ქვესადგური «ბოჭკო 1» იჯარით გადაეცა. 2003 წლის 1 ივლისს მხარეებს შორის დაიდო მეორე საიჯარო ხელშეკრულება იმავე პირობებით. ხელშეკრულების მოქმედების ვადად 4 თვე განისაზღვრა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებს შორის 2003 წლის 10 თებერვალს შედგენილი ბუღალტრული ანგარიშსწორების აქტი წარმოადგენდა ვალის აღიარების ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც შპს «რუსთავშენი 2000-მა» აღიარა სს «რუსთავშენის» ვალდებულება, რომელიც 1998 წლის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა.

რაც შეეხება 2000 წლის 27 მარტის ხელშეკრულებას, აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ არ გაიზიარა შპს «რუსთავშენი 2000-ის» წარმომადგენელთა მტკიცება, რომ მათ შპს «საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა» 110 კვტ. ელექტროენერჯის აწვდიდა, რომელსაც ისინი სს «ქიმბოჭკოსაგან» იჯარით აღებული ქვესადგურის მეშვეობით იღებდნენ და დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „რუსთავშენი 2000-ს“ მიეწოდებოდა 6-10 კვტ. ელექტროენერჯია. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ შპს «საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ» შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ყოველი შესრულება კი გულისხმობს ვალდებულების არსებობასაც.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს «რუსთავშენი 2000-ს» არ შეუსრულებია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და სრულად არ გადაუხდია მიღებული ელექტროენერჯის საფასური.

რაც შეეხება შპს «რუსთავშენი 2000-ის» შეგებებულ სარჩელს, მის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას სასამართლომ საფუძვლად დაუდო შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ აღიარება იმის თაობაზე, რომ შპს „რუსთავშენი 2000-ს“ შპს „საქართველოს ელექტროსისტემისათვის“ მიღებული ელექტროენერჯის სანაცვლოდ 220 600 ლარი აქვს გადახდილი.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს „რუსთავშენი 2000-ის“ დირექტორმა შ. მ-შვილმა საპელაციო წესით გაასაჩივრა და მისი გაუქმება მოითხოვა. აპელანტმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვე-

ტილება იყო უკანონო და დაუსაბუთებელი, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი შეიცავდა ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს, გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიიჩნია 2003 წლის 10 თებერვლის ანგარიშწორების ბუღალტრული ურთიერთშედარების აქტი ვალის აღიარების ხელშეკრულებად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ივნისის განჩინებით, საქმეში შპს «რუსთავშენი 2000-ის» ნაცვლად მისი უფლებამონაცვლე - შპს «რუსენერგოსერვისი» ჩაერთო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის განჩინებით, შპს „რუსთავშენი 2000-ის“ უფლებამონაცვლე შპს «რუსენერგოსერვისის» დირექტორ შ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა. სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება შპს „რუსენერგოსერვისის“ წარმომადგენელმა შ. მ-შვილმა საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს „რუსენერგოსერვისის“ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თავისი მოთხვნის დასასაბუთებლად კასატორმა შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივ წანამდგვრებზე მიუთითა:

საქმის განმხილველმა სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ თანხა, რომელსაც შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ შპს „რუსენერგოსერვისიგან“ მოითხოვს, შედგება იმ დავალიანებისაგან, რაც წარმოიშვა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და სს „რუსთავშენის“ შორის 1998 წლის 1 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რასთანაც შპს „რუსენერგოსერვისის“ არანაირი შეხება არ აქვს, ასევე, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ არასწორად გამოყენებული ტარიფის შედეგად ხელოვნურად გაზრდილი დავალიანებისაგან;

1998 წლის 1 ნოემბერს და 2002 წლის 27 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებები აბსოლუტურად დამოუკიდებელი გარიგებებია. პირველი გაფორმებულია სს „რუსთავშენთან“, ხოლო მეორე შპს „რუსთავშენი 2000-თან“. საქმეში არსებული სს „რუსთავშენის“ გაკოტრების მმართველის 2007 წლის 7 ივნისის წერილით დადასტურებულია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 11 თებერვლის განჩინებით სს „რუსთავშენის“ მიმართ გახსნილი გაკოტრების საქმის წარმოება დღემდე მიმდინარეობს. ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ შპს „რუსენერგოსერვისი“ და სს „რუსთავშენი“ სხვადასხვა სუბიექტებია;

2003 წლის 10 თებერვლის ბუღალტრული შედარების აქტის ერთ-ერთ მონაწილედ შპს „რუსთავშენი 2000-ის“ მიჩნევა შეუძლებელია, რადგანაც შპს „რუსთავშენი 2000“ შეიქმნა 2000 წლის 24 ივლისს, ამდენად, ბუღალტრული შედარების მხარე იგი ვერ იქნებოდა. არც ერთი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი, რომლის თანახმად, ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი არსიდან. დასახელებული მუხლის გამოყენების შემთხვევაში ცხადი გახდებოდა, რომ ბუღალტრული შედარების აქტში არ შეიძლება იგულისხმებოდეს შპს „რუსთავშენი 2000“, რადგან მის მიერ ბუღალტრული შედარების განხორციელება იმ პერიოდისთვის, როცა ჯერ კიდევ დაარსებულიც არ იყო, შეუძლებელია, ამასთან, აქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ვალის აღიარებად, რადგან მასში გაკეთებულია შენიშვნები, გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს არა სხვა პირის ნაცვლად თანხის გადახდას, არამედ რეალურად არსებული ვალდებულებითი ურთიერთობის აღიარებას;

სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას: თუ შპს „რუსთავშენი 2000“ თანხას იხდიდა 2002 წლის 27 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე, ეს არ გულისხმობს, რომ მას 1998 წლის 1 ნოემბერს დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანებაც გააჩნია;

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ მოთხოვნილი თანხის სხვა ნაწილი გამომდინარეობს სემეკ-ის მიერ დადგენილი ტარიფის არასწორად გამოყენებიდან, კერძოდ, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ 2002 წლის განმავლობაში იწერებოდა ანგარიშფაქტურები ცალკეული ძაბვის მიხედვით სემეკ-ის მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად, ანუ 110 კილოვატზე მიღებული ელექტროენერგიისთვის ამ ძაბვისათვის გათვალისწინებული ტარიფით, ხოლო 6-10 კილოვატზე კონკრეტულად ამ ძაბვისათვის დადგენილი ტარიფის გათვალისწინებით. 2003 წლის დასაწყისიდან შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ უსაფუძვლოდ დაიწყო 6-10 კილოვატისათვის გათვალისწინებული ტარიფის გავრცელება 110 კვტ. ელექტროენერგიაზე, გარდა ამისა, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ 6-10 კილოვატისათვის გათვალისწინებული ტარიფი 2002 წლის განმავლობაში მიწოდებულ ელექტროენერგიაზე გაავრცელა, თუმცა მანამდე გამოწერილ ანგარიშფაქტურებში სხვადასხვა ძაბვისთვის გათვალისწინებულ ტარიფებს ცალ-ცალკე ობიექტურად აღნიშნავდა. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ შპს „რუსთავშენი 2000-ს“ საურავი იმის გამო დაარიცხა, რომ ეს უკანასკნელი 110 კვტ. ძაბვის ელექტროენერგიის მიღებისას მომსახურების საფასურს 6-10 კვტ. ძაბვისათვის გათვალისწინებული ტარიფით იხდიდა. საქმეში არსებული მიღება-ჩაბარების აქტებით აღიარებულია, რომ შპს „რუსთავშენი 2000“ ელექტროენერგიის

მნიშვნელოვან ნაწილს 110 კვტ. ძაბვით ღებულობდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა» თანხის გადახდას 6-10 კვტ. ძაბვისთვის დადგენილი ტარიფით მოითხოვდა;

ის გარემოება, რომ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა» შპს „რუსთავშენი 2000-თან» მიმართებით ტარიფს არასწორად იყენებს, დასტურდება საქმეში არსებული დოკუმენტებიდან, რომლებიც არც ერთი ინსტანციის სასამართლომ არ შეაფასა, ამასთან, სასამართლომ არ გამოიყენა სემეკის 2001 წლის 14 ნოემბრის #12, 2002 წლის 15 ოქტომბრის #12, 2003 წლის 11 თებერვლის #1 დადგენილება და 2003 წლის 15 აგვისტოს #14 დადგენილებები.

შპს «საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის» წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივარზე წერილობითი პასუხი წარმოადგინეს და აღნიშნეს, რომ შპს «რუსენერგოსერვისის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებით, ორივე ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ იგი არ წარმოადგენს სს «რუსთავშენის» უფლებამონაცვლეს, სიმართლეს არ შეეფერება, რადგანაც, შპს «რუსთავშენი 2000-ის» მიერ განაწილების ლიცენზიის მოპოვების შემდეგ, სს «რუსთავშენს» ლიცენზია შეუწყდა, გარდა ამისა, აღნიშნული ორი საწარმო ერთსა და იმავე მისამართზე მდებარეობს და რეალურად, ერთ ობიექტს წარმოადგენს. მხარემ ასევე აღნიშნა, რომ სასამართლომ სწორად მიიჩნია 2003 წლის 10 თებერვლის ურთიერთანგარიშსწორების ბუღალტრული შედარების აქტი ვალის არსებობის აღიარებად. ამ აქტით შპს «რუსთავშენი 2000-მა» ნებაყოფლობით აღიარა როგორც ძველი, ისე ახალი პერიოდის დავალიანება. რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას არასწორი ტარიფის გამოყენების შესახებ, აღნიშნულთან დაკავშირებით შპს «საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის» წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ, სემეკის დადგენილების შესაბამისად, 110 კვტ. ელექტროენერჯის მიწოდება შესაძლებელი იყო მხოლოდ სს «ქიმბოჭკოსათვის», რომელსაც ელექტროენერჯია თავად უნდა გამოეყენებინა, ამდენად, მტკიცება იმის შესახებ, რომ შპს «რუსთავშენი 2000» იჯარით აღებული სს «ქიმბოჭკოს» ქვესადგურიდან 110 კვტ. ძაბვის ელექტროენერჯიას იღებდა, უსაფუძვლოა. რაც შეეხება კასატორის მიერ წარმოდგენილ სემეკის წერილს, მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებით, იგი არ არის ადმინისტრაციული აქტი, მას მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი აქვს და სემეკის კონკრეტული თანამშრომლის სუბიექტურ აზრს ასახავს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავატრების საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ივნისის განჩინებით, შპს «რუსენერგოსერვისის» საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ შპს «რუსენერგოსერვისის» წარმომადგენელ შ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

აღნიშნული ნორმა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სასამართლოს შეუძლია მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარების შესახებ ზოგადი მითითებით შემოიფარგლოს. ნორმის ამგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოვიდოდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებთან, ისევე როგორც სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების მიზნებთან. 390-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. «მოკლე დასაბუთება» არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით.

«ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის» ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ

ვადამი მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ – სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

განსახილველ შემთხვევაში აპელანტი სადავოდ ხდიდა დასაკისრებელი თანხის ოდენობას და ამტკიცებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საერთოდ არ შეაფასა მის მიერ წარდგენილი აუდიტის დასკვნა. მხარე, აგრეთვე, უთითებდა, რომ 1998 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი თავად არ იყო.

აპელანტის მიერ წამოყენებულ ამგვარ პრეტენზიებს სააპელაციო სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს. სასამართლომ მათი გათვალისწინებით უნდა მიუთითოს, რატომ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გაიზიარა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2006 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით შპს «რუსთავმშენი 2000-ს» 1998 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება მხოლოდ შპს «საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას» და კასატორს შორის 2003 წლის 10 თებერვალს გაფორმებული ურთიერთანგარიშსწორების ბუღალტრული შედარების აქტის საფუძველზე დააკისრა, მიიჩნია რა ზემოაღნიშნული დოკუმენტი ვალის აღიარების ხელშეკრულებად. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ ელექტროენერჯის მიწოდების შესახებ 1998 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულება სს «ელექტროგადამცემსა» და სს «რუსთავმშენი» შორის გაფორმდა, შპს «რუსთავმშენი 2000» კი 2000 წელს დაარსდა, ასევე მიიჩნია, რომ შპს «რუსთავმშენი-2000» (უფლებამონაცვლე – შპს «რუსენერგო-სერვისი») სს «რუსთავმშენის» სამართალმემკვიდრეს არ წარმოადგენდა, რადგანაც ამ ორი საწარმოს შერწყმა, მიერთება, გაყოფა ან მათი შერწყმის შედეგად ახალი საწარმოს წარმოქმნა არ მომხდარა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარება ხელშეკრულებას წარმოადგენს.

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულია ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, მიღწეული უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ბუღალტრული ან სხვა თვალსაზრისით და რომელშიც ვალის არსებობაა დაფიქსირებული, ვერ ჩაითვლება ვალის არსებობის შესახებ ხელშეკრულებად, თუ არ დადგინდება, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე. ვალის არსებობის აღიარებად ასევე ვერ ჩაითვლება ძველი ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება ან შეთანხმება, რადგანაც ვალის აღიარება ახალი ხელშეკრულებაა. ბუღალტრული ურთიერთშედარების აქტი კი ძველი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული დოკუმენტია, რომელშიც დაფიქსირებული არაა, რომ შპს «რუსთავმშენი 2000» კისრულობს ვალდებულებას, მეორე მხარეს გადაუხადოს აქტში მითითებული თანხა.

გარდა ამისა, ვალის არსებობის ხელშეკრულება ზოგადად გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. იმ პირობებში კი, როდესაც ხელშეკრულების მხარე ერთი საწარმოა, ხოლო ამ ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ დოკუმენტს ხელს მეორე საწარმო აწერს, რომელიც ხელშეკრულების დადების დროისათვის სამართლის სუბიექტი საერთოდ არ იყო, ამასთან სადავოა უფლებამონაცვლეობის საკითხი, შეუძლებელია მივიჩნიოთ, რომ მხარემ ვალი აღიარა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2003 წლის 10 თებერვლის ურთიერთ-ანგარიშსწორების ბუღალტრული შედარების აქტი ვალის არსებობის აღიარებას არ წარმოადგენს და, შესაბამისად, მხოლოდ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით მხარისათვის თანხის დაკისრება დაუშვებელი იყო.

რაც შეეხება კასატორსა და შპს «საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას» შორის 2002 წლის 27 მარტს გაფორმებულ ხელშეკრულებას, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ შპს «რუსთავმშენი 2000-ის» შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებზე ნაწილობრივ უარის თქმას საფუძვლად დაუდო თავად ამ საწარმოს განმარტება, რომ ისინი არიან 6-10 კილოვატიანი ქსელის მფლობელები, ამ განმარტების საფუძველზე სასამართლომ არ გაიზიარა მტკიცება, რომ შპს «საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა» მათ 110 კილოვატ ელექტროენერჯიას აწვდიდა და ამ ენერჯიას ისინი სს «ქიმბოჭკოსაგან» იჯარით აღებული ქვესადგურის

მეშვეობით იღებდნენ, მიიჩნია, რომ შპს «საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა» შპს «რუსთავშენი 2000-ს» სწორედ 6-10 და არა 110 კვტ. სიხშირის ელექტროენერგიას აწვდიდა და, შესაბამისად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ამ სიხშირის ელექტროენერგიისათვის განსაზღვრული ტარიფი. საქმეში კი წარმოდგენილია სს «ქომბოჭკოსა» და შპს «რუსთავშენი 2000-ს» შორის 2003 წლის 1 ივლისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წერილი შპს «საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისადმი», რომლის თანახმადაც, ვინაიდან შპს «საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა» ელექტროენერგიას გადასცემს მხოლოდ 110 კვტ. ძაბვამდე, ხოლო შემდგომ ტრანსფორმაციას 6-10 კვტ. ძაბვამდე ახორციელებს სს «ქიმბოჭკო», ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი შეადგენს 0,7 თეთრს დღე-ს გარეშე, აგრეთვე, ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტები, ორივე ინსტანციის სასამართლომ კი აღნიშნული მტკიცებულებები შეფასების გარეშე დატოვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე სასამართლოს, თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია ცალკეული მტკიცებულებები არასარწმუნოდ მიიჩნიოს და არ გაიზიაროს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა აისახოს სასამართლო რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა. რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი ზემოაღნიშნული მტკიცებულებები საერთოდ არ არის შეფასებული, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია, გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილია საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის წერილი შპს «რუსთავშენი 2000-სადმი», რომლის მიხედვითაც, ამ საწარმოს შპს «საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის» ელექტროენერგიის გადაცემის საფასური უნდა გადაეხადა ხელშეკრულების პერიოდში მოქმედი სემეკის მიერ დამტკიცებული 110 კვტ. ძაბვის ტარიფით. აღნიშნული დოკუმენტი კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეული და შეფასებული არ არის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ამგვარ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ უნდა გაარკვიოს, არის თუ არა შპს «რუსენერგოსერვისი» სს «რუსთავშენის» უფლებამონაცვლე, შეფასებები მისცეს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, გამოარკვიოს, რა სიხშირის ელექტროენერგიას აწვდიდა შპს «საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა» შპს «რუსენერგოსერვისს», დაადგინოს გამოსაყენებელი ტარიფი და დავა აღნიშნულის შესაბამისად გადაწყვიტოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს «რუსენერგოსერვისის» დირექტორ შ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 4 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.